

# ა ი ჯ ხ

№2 (22) მაისი, 2022 წელი



26 მაისი

რესერტუს შოვინისტური იმპერიას  
უდირსგან განიავლისუფლებს დო -

საქონი - სახატო დოკუმენტები

# გოჯხება

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 2 (22), მაისი, 2022


დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-  
თიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
კემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



# სარჩევი

## 26 მაისი

### **ზორად გამსახურდია**

მიმართვა ქართველი ერისადმი 26 მაისის გამო... ....	3
--	---

### **ზორად გამსახურდია**

საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი გარანტიები ...	4
--	---

### **პემალ შონია**

ძმა ქრისტესმიერი.....	5
-----------------------	---

### **მერაბ კოსტავა**

ლექსები .....	9
---------------	---

### **გიორგი სიჭინავა – 80**

ვულოცავთ გამორჩეულ მწერალს!.....	10
ავტობიოგრაფია .....	12
ყურმოჭრილი შანგია.....	14
ლექსები .....	21
უხვი ჭირნახულით ხელდამშვენებული .....	25
გიორგი სიჭინავას 80 წლის იუბილესადმი	
მისალოცი ბარათი.....	27
სიკეთისა და სილამაზის შემოქმედი .....	28
„რინა მოკო პელაზგური“ .....	30
დაგელოცოს კალამი .....	31
საღვთო ჭვრეტასთან მისული .....	32
მადლიერი მკითხველის გულწრფელი	
მილოცვა.....	33
რაისა მუზიჩენკო.....	34
„უტუ მიქას“ გამარჯვება .....	35

### **26 მაისი**

ზორად გამსახურდიას პრესკონფერენცია მოსკოვში .....	39
--	----

### **მურმან ზაქარაია**

ახალი შიდაპოლიტიკური კურსის აუცილებლობა .....	48
--	----

### **აღდგომა – 30**

### **პემალ შონია**

მებრძოლი და მართალი გაზეთი .....	51
----------------------------------	----

### **ლაშა გვასალია**

ვულოცავთ ყველა „აღდგომელს“ .....	52
----------------------------------	----

### **მურმან ხურცილავა**

ტაშკენტის 25 .....	53
--------------------	----

### **დიდი ღალატის ანატომია**

### **თემები კუპლაშილი**

„ხელმოცარულთა“ ურვა .....	54
---------------------------	----

### **ელენე დვალიშვილი**

ჩემო საყვარელო თანამოქალაქეებო .....	73
--------------------------------------	----

### **მურმან ზაქარაია**

რეპლიკა .....	75
---------------	----

ახალი წიგნები .....	76
---------------------	----

### **სსოფნა მარადიული**

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული .....	80
--	----

### **პოეზია**

#### **თორნიკი ქავშაია**

ლექსები .....	83
---------------	----

#### **რაისა მუზიჩენკო**

ლექსები .....	88
---------------	----

#### **ეთერ აგარონოვა**

ლექსები .....	91
---------------	----

#### **ეველინა გაგიძი**

ლექსები .....	93
---------------	----

#### **ვალენტინა გვილავა**

ლექსები .....	95
---------------	----

# ძიძართვა

## ქაზთველი ერთსაზღვრი 26 მაისის გამო

**მამულიშვილნო! ძმანო და დანო!**

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ააფრიალა დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დააღწია თავი მარქსიზმის დამლუპველ იდეოლოგიას, ვერ უერთგულა ქრისტეს გზას, დიდი ილიას გზას, რამაც ლვთის რისხვა მოგვივლინა და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა.

კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლას, ერის მოაზროვნე ნაწილის განადგურებას, მან ქრისტეს ჯვრის ნაცვლად მასონურ-კომუნისტური წითელი ვარსკვლავი დაუსახა იდეალად ქართველ ერს. ქრისტეს გზა, კაცომყვარეობის გზა შეიცვალა ანტიქრისტეს, ბარაბას დამლუპველი გზით. მაგრამ იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა. როდესაც დადგა იმპერიის მწეხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები, კვლავ აღზევდა თავისუფლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსი, კვლავ აუდერდა ჰიმნი „დიდება“.

მაგრამ ვერაგი იმპერია არ აპირებს ბრძოლის ველის დათმობას. ერთი იმპერია დაემხო, მეორე კი კვლავ განაგრძობს დათრგუნვას ერთა უფლებებისა, რაშიც მას ხელს უწყობს მსოფლიო რეაქცია. კვლავ აბორგდა კაენის სული, გაერთიანდნენ მხეცური ინსტინქტით შეპყრობილი ბნელი ძალები, კვლავ მოუხმეს მოსკოვს გადახვეწილ რენეგატებს, საქართველოს მტრებს, რათა სისხლში ჩაახშონ ჩვენი ეროვნულ-განმათა-

ვისუფლებელი ბრძოლის მონაპოვარნი, მოსპონ ქართული სული, საქართველო კვლავ დაუთმონ განახლებულ იმპერიას, კვლავ აქციონ ანტიქრისტე ბარაბას გზის მიმდევართა სათარეშოდ და საჯიჯვნად.

26 მაისი კვლავ დათრთვილა 6 იანვარმა, საქართველო კვლავ ძაძებში გაეხვია და დაადგა გოლგოთის გზას. ქართველმა ერმა მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ ვერ შეინარჩუნა იგი.

ქართველმა ერმა თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებით აირჩია ეროვნული ხელისუფლება, მაგრამ ვერ დაიცვა იგი. იმდღავრეს და იმრავლეს მოღალატეებმა, ერთგულებას დალატმა სძლია, წითელი ინტელიგენცია, კომუნისტური პარტოკრატია და მაფია გაერთიანდნენ. იმპერია კვლავ სამარეს უთხრის საქართველოს საკუთარი შვილების ხელით.

გრძელდება ქართველთა გენოციდი, იძარცვება საქართველო, იდევნება ეროვნული მოძრაობა.

დღეს საქართველო დილემის წინაშე დგას. ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღდგეს დამპყრობელთა და გადაგვარებულ მოძალადეთა წინააღმდეგ, ქართველნი და არაქართველნი უნდა დაირაზმონ სიმართლისათვის ბრძოლაში. კვლავ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება და აღვადგინოთ სამართლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული და სოციალური კატასტროფა გარდაუვალია.

25 თებერვალს და 6 იანვარს ერთი და იგივე ავტორი ჰიყავს: კრემლის იმპერია, წითელი ჯარი და მათი მეგზურნი, ჩვენი ერის მოღალატენი! საქართველოს ჭეშმარიტმა შვილებმა უნდა სძლიონ მათ და კვლავ აღაზევონ 26 მაისის დროშა.

ძირს ერის მოღალატეთა და ძმათა მკვლელთა ხუნტა!

დიდება ქართველ ერს, დიდება 26 მაისს!

სიკვდილი ან გამარჯვება!

გვფარავდეს ღმერთი!

## ზვიად გამსახურდია

### **საქართველოს სახელმწიფო პრეზიდენტი და მოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი გარანტიები**



ამ მიმართულებით ეროვნულმა ხელისუფლებამ ორ ეტაპად განახორციელა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი უზრუნველყოფა. პირველ ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ცვლილებები შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მიიღო რიგი საკანონმდებლო აქტები, რის შედეგადაც შეჩერდა საკავშირო კონსტიტუციისა და კანონების მოქმედება საქართველოში, შეიცვალა ქვეყნის სახელწოდება, სახელმწიფო სიმბოლიკა და, რაც მთავარია, მოხდა გარდამავალი პერიოდის დეკლარირება. ამით მკვეთრად შეიზღუდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების იურისდიქცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაკანონდა საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ და ფაქტობრივად მომზადდა

მეორე ეტაპი - აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ამ ეტაპის რეალიზაცია დააჩქარა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკათა და, კერძოდ, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა კრემლის აგრესიულმა პოლიტიკამ, რაც ორი უმთავრესი მომენტით იყო განპირობებული: კრემლის უხეში ჩარევით საქართველოს საშინაო საქმეებში (ანტიქართული სეზარატიზმის პირდაპირი ინსპირაცია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა) და სამოკავშირო ხელშეკრულების, აგრეთვე საერთო საკავშირო რეფერენდუმის თავსმოხვევის მცდელობით. ამ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გართულდებოდა სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საბჭოთა კავშირის რეფერენდუმს საქართველომ ბოიკოტი გამოუცხადა, სამაგიეროდ მომზადდა და 31 მარტს ბრწყინვალე შედეგებით ჩატარდა რესპუბლიკური რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90%-მა. მასში დასმულ კითხვას – გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე - დადებითი პასუხი გასცა მონაწილეთა 99.8%-მა. 31 მარტის შემდეგ აღარ არსებობდა არც ერთი იურიდიული არგუმენტი, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამართლებრივი აქტით საქართველოს სახელმწიფო ბრივი აღდგენის წინააღმდეგ. 1989 წლის სისხლიანი კვირის მეორე წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ დღემდებრის უსული ადგილი დაიმკვიდრა 26 მაისის გვერდით, როგორც ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამარჯვების დღემ საქართველოს ისტორიაში.

## პეტრე ქოსტიანი

# ქართველობის უმაღლესი მოცოდნილი



საქართველოს უახლეს ისტორიაში ცნობილი უმნიშვნელოვანესი მოვლენები ერთსა და იმავე თარიღს ემთხვევა; ქართველი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ახალი ეტაპის მაუწყებელი აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენები, ეს ბრძოლა კი დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით. ეს აქტი მიღებულ იქნა 1991 წლის 31 მარტს გამართული საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე, ეს დღე კი ჩვენი ეროვნული გმირის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდისა დაბადების თარიღიც გახლავთ.

სიმბოლური დამთხვევებითაა ცნობილი 26 მაისიც: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე 1918 წელს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დღე

1991 წლის 26 მაისს, რომელზედაც საქართველოს ამომრჩეველი მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ ხმა მისცა ზვიად გამსახურდიას.

...და ბოლოს, ამ დღეს მოევლინა ქვეყანას ქართველი ხალხის ულირსეულესი შვილი, ზვიად გამსახურდიას ქრისტესმიერი ძმა და უღალატო თანამებრძოლი, ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი წინამძღოლი და მებრძოლი და მართალი ქართველის რაინდული სულის განსახიერება - მერაბ კოსტავა!

საყოველთაოდ ცნობილია და ახალს ვერაფერს ვიტყვეთ იმის შესახებ, თუ როგორ მხარდამხარ მოდიოდნენ და თავისუფლების გზაზე ჩამომდგარ წკვარამს კაფავდნენ ზვიადი და მერაბი. მათ ძმობასა და თანადგომას კვებავდა უზენაესი ეროვნული იდეა - სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ხოლო მათს ქრისტესმიერულ ძმობას მეოხად და მედუღა-

ბედ ედგა ის სასიცოცხლო ამინდი და გარემო, რომელიც მუდამ ძალუმად სუფევდა კონსტანტინე გამსახურდიას კოლხურ კოშკსა და ოლღა დემურია-კოსტავას პატარა ბინაში...

ამ ატმოსფეროს, ამ ძმობას, ამ პრძოლასა და თავდადებას უთვალავზე უთვალავი მტერი ჰყავდა, უსასტიკესი საბჭოთა ხელისუფლებითა და მისი დაუწიმობელი უშიშროების ორგანოებით დაწყებული და ეროვნულ მოძრაობაში შემოგზავნილი აგენტებითა და არანაკლებ საშიში ქვემდრომებით დამთავრებული.

დასმენები, ცილისწამებები სრულიად ამაო გამოდგა ორ სულიერად და ერთხორცად შენივთებულ ძმას შორის შუღლის ჩამოსაგდებად; ერთმა მშვენივრად იცოდა, თუ ვინ იყო მისთვის მეორე და პირიქით. რაინდული თანადგომისა და უდალატობის იშვიათი მაგალითითაც ჰეგავდნენ ისინი შოთას „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ პერსონაჟებს, თანაც რეალურ გარემოში და არა შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვაში. ახლა, როდესაც, სამწუხაროდ, ფლიდობას, სარმის გამოკვრასა და ზურგში დანის ჩარტყმას მეტი გასავალი აქვს, განსაკუთრებული მონდომებით უნდა ვზრდიდეთ ჩვენს მომავალ თაობას მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მეგობრობის მაგალითზე. დიახ, ასე უნდა იყოს, მაგრამ ამის ზნეობრივი მოთხოვნებილება უმეცეცხლურო კერასავით მინავლებულია, ამისთვის სად სცალია პოსტუტჩისტურ მმართველ კლანს. არადა, ზვიადი და მერაბი, უპირველესად, სწორედ ზნეობრივი გმირები არიან!

მერაბ კოსტავა სანუკვარი ოცნების ახდენას – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ვერ მოესწრო, ვერც მანამდე ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლას ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით; სოფელ ბორითთან ძალიან საეჭვო ვითარებაში მომხდარი ავტოავარიის შედეგად შეწყდა მისი მინიერი სიცოცხლე, მშფოთვარე, მებრძოლი და შეუდრეველი წუთისოფელი. მერაბის დაღუპვით ზვიად გამსახურდიას ცალი მხარი ჩამოსთალეს, თითქოს დაასუსტეს, საიმედო საყრდენი გამოაცალეს, მაგრამ ზვიადი ამ გასაჭირში უფრო მობილი ზებული გახდა, იბრძოდა მერაბის სახელით და ეს სახელი არასდროს შეურცხვენია.

ამ ჭეშმარიტ რაინდთა მეგობრობის ნამდვი-

ლი ფიცი იყო ზვიად გამსახურდიას სიტყვა, რომელიც მან 1989 წლის 21 ოქტომბერს წარმოთქვა მთაწმინდაზე, მერაბ კოსტავას დაკრძალვაზე. აი, როგორ მიმართავდა ზვიადი თავის საფიცარ ძმას:

„... ძმანო, დღევანდელი დღე 9 აპრილის ტოლია. ღვთის დიდება გადმოვიდა საქართველოზე, ძმანო, რამეთუ ამაღლდა დიდი ქართველი და დანათის საქართველოს, ვითარცა წამებულნი 9 აპრილისანი და მოგვინოდებს თავდადებისაკენ, მამულის სიყვარულისაკენ, ურთიერთსიყვარულისაკენ.

თავისი დიდი გულით მერაბ კოსტავამ გააერთიანა საქართველო. მას ყველა უყვარდა, რამეთუ უწყოდა, უკეთუ არ შეიყვარეთ ურთიერთი, არ შეგიყვარებთ უფალი, ვერ გადარჩება ჩვენი სამშობლო, აი, ეს არის მერაბის ანდერძი: იყვარებდეთ ურთიერთს! მერაბის კრედო ცხოვრებისეული, აი, ის მიზანი, რომლისკენაც უნდა ვიღტვოდეთ ჩვენ.

... და იგი მოგვევლინა, რათა შთაგვბეროს სული გმირობისა, შეუპოვრობისა, მამულისათვის თავდადებისა. ან აღვსდგეთ და მივსდიოთ მაგალითს მისას, რათა ვიხსნათ ერი ჩვენი, გათელილი მტრის ჩექმის ქვეშ. იგი გაგვიძვება, ძმანო! იგი არ მომკვდარა, იგი კვლავ შეგვასმენს თავის გმირულ „შავლეგოს“, კვლავ შეგვასმენს და კვლავ დაამხობს მტერს, დაამხობს და გაათავისუფლებს საქართველოს!“

აქვე მოვიყვანთ ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის, ახლახან გარდაცვლილი ავთანდილ რცხილაძის სიტყვებს მერაბ კოსტავას შესახებ, გამოქვეყნებულს ბ-ნი ავთანდილის წიგნში „მზე კავკასიისა“:

„... მერაბმა უთვალავი სიმწარე ნახა დაუნდობელი წუთისოფლისაგან, ბევრი ცუდიც შეჰკადრეს, ბევრი ცილიც დასწამეს, სატუსალოები და კატორლები არ მოაკლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც თავდადებით, უმწიკვლოდ, უშიშრად, წმინდანივით გაიარა უზნეობით, ბოროტებით, ვერაგობით, შურით სავსე გზა, გაიარა და დარჩა სამშობლოსთვის თავდადების, ერთგულებისა და მსახურების უბადლო მაგალითად“.

... და აი, სიცოცხლეში ამგვარად ნაწამებ-ნა-

ტანჯა ადამიანს სამშობლოს მტრებმა სიკვდილის მერც უამრავი განსაცდელი მოუვლინეს, როდე-საც თავიანთ უზნეობას ბოლომდე ჩამოჰლივეს ნიღაბი, როდესაც მოინდომეს ის, რაც მერაბის სიცოცხლეშივე სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს და ვერც უბედავდნენ: ბზარის გაჩენა ზვიადისა და მერაბის მეგობრობაში, ერისთვის საფიცარი ამ ორი სახელის ერთმანეთთან დაპირისპირება და გარდაცვლილი მერაბის გამოყენება ჯერ-ჯერობით ცოცხალი ზვიადის წინააღმდეგ. ეს სატანური ხერხია, სატანის ხელწერა, რაც უამ-რავ რომანში წაგვიკითხავს და ფილმებში გვი-ნახავს. მას შემდეგაც, რაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოგვიყლეს, ყრუები თუ ბეცები დღემდე იმეორებენ კაგებეშინიკურ, ანუ მზაკ-ვრულ და შტერულ მონაგონს იმის შესახებ, რომ თითქოს ზვიად გამსახურდია „შეცდომებს არ დაუშვებდა“, მერაბი რომ ცოცხალი ყოფილიყო, რომ თითქოს ზვიად გამსახურდია „დიქტატორი არ იქნებოდა“, მერაბი გვერდით რომ ჰყოლოდა და ა.შ.

ჯერ ერთი, ზვიად გამსახურდიას არავი-თარი შეცდომები არ ჰქონდა და, მით უმეტეს, არც დიქტატორი ყოფილა, მეორეც, ლალატში, ვერაგობასა და ცბიერებაში გამოწრთობილი შევარდნაძე და მისი ლაქიები ვერც შეძლებდნენ იმის გაცნობიერებას, რომ სწორედ ღვთისგან მოდის მეგობრობის, ერთგულების, სწორედ რომ ქრისტესმიერი ძმობის, ავთანდილობისა და კაი ყმის ცნებები, რომელთაც მედროვენი, თუნდაც ბევრს ეცადონ, ვერ ჩასწოდებიან, ვერ შესწოდებიან... ასეთი რამ მათვის უცხო ხილია!

ყველას, ვინც გასული საუკუნის 90-იან ლებ-ში, პუტჩის შემდგომ, თვალს ადევნებდა ტელეგა-დაცემებს, გვახსოვს თავის სამუშაო მაგიდასთან მჯდომი შევარდნაძე, მის უკან კი, თვალსაჩინო ადგილას, ყველას დასანახად გამოტანილი მერაბ კოსტავას პორტრეტი. მკვლელს თავისი მსხვერ-პლი ზნეობის შირმად სჭირდება, ნიღბად, რომ ვიღაც გააბრიყვოს და თავი მკვლელად კი არა, უცოდველ ანგელოზად მოაჩენოს; სხვანაირად მგელი ცხვრის ტყავში ვერ გაეხვევა, უღვთო და ურნმუნოლამისაა პირველი მართლმადიდებელი ვერ გახდება, თავის სიგრძე კელაპტარს ხელში ვერ დაიკავებს მისნაირი პუტჩისტების (და ასევე პუტჩისტი პატრიარქის) გვერდით... თავისი ჭკუ-

ით, ვითომ ერისთვის საყვარელი გმირის ხატება დაეხმარებოდა შევარდნაძეს „გადემოკრატება-ში“, მაგრამ „არ გათეთრდების ყორანი...“

მერაბ კოსტავას ამით არა დაჲკლებია რა... პირიქით, რაც დრო გადის, მათ უფრო მაღლდებიან ჩვენი თავდადებული მამულიშვილები, დაწყებული ჩვენი მთაწმინდელებით და დამ-თავრებული იმ რიგითი, უბრალო ქართველებით, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობის იდეალებს... არა, მათ რიგითსა და უბრალოს ვერ ვუწოდებთ, ისინიც დიდი ქართველები არიან, დიდი ბარწმინ-დელები!

დემოკრატობანას თამაში მედროვეთა და ფარისეველთა ჩვევაა. რა თქმა უნდა, როდე-საც ჩათვალა, რომ ტახტი მოიმაგრა, სულით და ხორცით კომუნისტისა და კარიერისტის კა-ბინეტიდან მერაბ კოსტავას სურათიც გაქრა, უკვე ზვიად გამსახურდიაც მოკლულია, ნახე-ვარი საქართველო აოხრებულია, ეროვნული იდეა დათრგუნულია და, როგორც წესი, სადაც ხორბალს არ გაახარებენ, იქ სარეველა ამოდის, სადაც ეროვნული ამოძირკულია, იქ ფსევდო-ეროვნული ჩნდება და ეს დღემდე გრძელდება საქართველოში!

მაგრამ ცოცხალია ერი, ცოცხალია ერის უზენაესი სწრაფვა და მიზანი და ცოცხლობენ მე-რაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, როგორც ერის სიმბოლოები თავისუფლებისა, ერთობისა და რწმენისა.

ზვიადმაც და მერაბმაც სამშობლოსთვის წამებულ წინაპართა გზა გამოიარეს. ახლო წინაპართაგან ეს ხვედრი უპირველესად დიმიტრი ყიფიანსა და ილია ჭავჭავაძეს ერგოთ. ერთი მეფის „ოხრანკაზ“ განირა, მეორეს კი ისევ ქარ-თველებმა ესროლეს ტყვია წინამურთან. ასეთი წინამურები განმეორდა ბორითთან თუ ძველ ხიბულაში – დიახ, ახალი წინამურები, რომელთა შემოქმედნი ისევ და ისევ რუსეთის იმპერია და მისი მსახური ქართველები არიან.

1991 წლის 9 აპრილს, როდესაც საქართვე-ლოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღ-დგენა გამოაცხადა და ეს ტრიბუნიდან ზვიად გამსახურდიამ ისტორიული სიტყვით მსოფ-ლობის აუწყა, ორი წლის წინანდელი 9 აპრილის

მსხვერპლთა სულებთან ერთად მერაბ კოსტავას სულიც ხარობდა ზეციურ სამყოფელში და უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, იმ დღეს ზვიად გამსახურდია ცხადივით ხედავდა თავის ქრისტესმიერ ძმას – გვერდში მდგომსა და უბედნიერესა.

დიახ, 1991 წლის 9 აპრილს ბედნიერი იყო მთელი საქართველო, უფრო ზუსტად, თითქმის მთელი საქართველო, რადგანაც ჩვენ შორის დღემდე ბოგინებენ სამშობლოს თავისუფლების მტრები, ზვიადისა და მერაბის მოძულენი, საბჭოურ-რუსული მენტალიტეტის, ტვინგაყინული, მათ შორის, ბოროტი და შურიანი არსებები, ისეთი არაკაცებიც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ღვაწლის დაკრინებას და ამისათვის იმ აბსურდამდეც მიდიან, რომ თვით 26 მაისის თარიღსაც კი უპირისპირებენ 9 აპრილს, მაშინ როცა სწორედ 9 აპრილმა, დამოუკიდებლობის აღდგენის დღემ მიანიჭა ახალი სიცოცხლე მანამდე, საბჭოთა ოკუპაციის 70-წლიან პერიოდში ისტორიის საკუთრებად ქცეულ 26 მაისს. 9 აპრილის საფუძველზე შეიქმნა თანა-

მედროვე ქართული სახელმწიფო და ეს ქვეყნის კონსტიტუციაშია ხაზგასმით აღნიშნული.

მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად 9 აპრილის, დღევანდელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შემოქმედია! ქრისტესმიერი ძმები დღესაც ჩვენი თავისუფლების სადარაჯოზე დგანან და მოგვიწოდებენ, არ მოვადუნოთ სიფხიზლე და კვლავაც ხელში არ ჩავუგდოთ სამშობლო რუსეთის უბოროტეს იმპერიას, რომელიც დღეს უკრაინის სოფლებსა და ქალაქებს შესევია და მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავს.


დღეს საქართველოს იმითაც უჭირს, რომ ჯერჯერობით არ ჰყავს ზვიადისა და მერაბის ლირსული მემკვიდრე, მაგრამ ღმერთი ყოველთვის მოგვივლენს მამულიშვილებს, რომლებიც იტვირთავენ ჩვენი გმირების ჭაპანს და წინ გაუძლვებიან ერს.

ერთი რამ კი ჭეშმარიტებაა: ერის წიაღში მუდამ იბრიალებს ის ენერგია, რომელიც წინა საუკუნეში ილიას შემდეგ ზვიადმა და მერაბმა დაანთეს და რომელსაც ჩაქრობა არ უწერია!



## გერაბ პოსტავა

ლ თ ხ ე ნ



### ლოცვა

შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,  
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო,  
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,  
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად,  
გარდასახდენი არ განმარიდო,  
ლირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად,  
ჩემის ცხოვრების სამაგალოთოდ.

რამეთუ მწადის, დიდო გამჩენო,  
მოსახდენს ზურგი არ შევაქციო,  
სურვილი შენი, განზრახვა შენი,  
მიზნები შენი ჩემად ვაქციო.

### მამულო ჩემო...

მამულო ჩემო, კვლავ დადგა უამი  
მაღალ ზრახვათა არ დაოკების,  
დროა დაიმსხვრეს სატანის სკამი,  
დროა მტარვალთა დაწიოკების!  
დაე, ალენთონ შენთვის გულები  
და ჩირალდნებად დადგნენ ღამეში,  
და გამხნევებდეს გრძნობა ულევი  
შეწირულ სისხლის სიელვარეში.

### უფალი პევრჯერ გამოცდის რუსეთს...

უფალი ბევრჯერ გამოცდის რუსეთს,  
ვეშაპის მუცლით გასულ იონას  
და აიაზმას გადაასხურებს,  
როცა განწმენდის უამი იელვებს,  
როცა იქცევა ყველა მსახურად,  
როცა ფეხს დაჰპანს გადამთიელებს.

## პურისძე პატივებულ მექანიზმები!

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს, აფხაზე-თიდან დევნილ შემოქმედს, ჩვენი უურნალის მეგობარსა და აქტიურ ავტორს, ტაშკენტის 25-ის ეროვნული ოჯახის ღირსეულ წევრს ბატონ გიორგი სიჭინავას მიმდინარე წლის 10 მაისს 80 წელი შეუსრულდა!

თოხმოცი წლის წინათ, როდესაც ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში ქვეყნიერებას მო-ევლინა, გიორგის მამა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ორესტი სიჭინავა ფაშისტებთან ომში იყო განვეული და ქალიშვილის შემდეგ გაჩენილი ერთადერთი ძის ნახვა არ ეწერა – მისი საფლავიც ათასობით სხვა ქართველთან ერთად უგზო-უკვლოდ დარჩა ქერჩის მიწაზე. ამრიგად, დაბადებიდანვე დაებედა გიორგი სიჭინავას ცხოვრების სუსხი, მაგრამ, ამის მიუხედავად, არასოდეს მოუხრია ქედი, არ შეშინებია ციცაბო აღმართებისა, რადგან მუდამ სიმართლის მხარეს იდგა და ყოველთვის ჰქონდა უფლის შეწევნის იმედი.

გიორგი სიჭინავა საკუთარი ხელწერით, საკუთარი სათქმელით შემოვიდა ქართულ მწერლობაში და თავისი დაუცხრომელი და თანაც მრავალფეროვანი ღვაწლით დღეს უკვე ძალიან უხვ, ძალიან ხარისხიან და ანგარიშგასასაწევ შემოქმედებით მოსავალს იმკის.

ამ მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით გიორგი სიჭინავამ საკუთარ შემოქმედებას ბევრი საგულისხმო თავისებურება მიანიჭა და სწორედაც ამით არის იგი გამორჩეული სხვა კალმოსანთაგან, რასაც ნიჭისა და შრომისმოყვარეობასთან ერთად სულიდან და გულიდან გამოწნული, სისხლსა და ხორცში გამჯდარი, გენიდან მომდინარე თუ ღვთით ნაკარნახევი სხვა მოწოდებაც განსაზღვრავს.

პირველი, გიორგი სიჭინავა ერთნაირად წარმატებულია პროზასა და პოეზიაში, ამ უანრებში ბევრ მწერალს უცდია კალამი, მაგრამ იშვიათია ისეთი შემოქმედი, რომელსაც ერთნაირი ღირსებით დაესაკუთრებინოს როგორც პოეტის, ისე პროზაიკოსის სახელი. გიორგი სიჭინავას კი, დიდებული მოთხოვნებისა და რომანების ავტორს, მაინც ვერ დავუძახებთ მხოლოდ პროზაიკოსს, რადგან იგი ასევე დიდებული პოეზის შემქმნელია, შესანიშნავი პოეტია! სხვა საქმეა, რომ მან შემოქმედებითი მოღვაწეობა პროზით

დაიწყოდა ასე გაიცნო მკითხველმა. დღეს გიორგი სიჭინავას პროზაც და პოეზიაც ორ თანაბარ პინაზე დგას.

მეორე, გიორგი სიჭინავა ერთნაირად წარმატებულია ქართულ და მეგრულ მწერლობაში. მას მეგრულ ენაზეც შექმნილი აქვს უმშვენიერესი ლექსები, რომლებიც ზეპირად იციან სამეგრელოს ყველა კუთხეში; მწერალს ეკუთვნის მეგრულ ენაზე შექმნილი პროზაც, თარგმნილი ლიტერატურაც. გიორგი მეგრულის ბრწყინვალე მცოდნეა, რაც მთავარია, იგი, როგორც მუდამ დაკვირვებული, დინჯი, გონიერი მამულიშვილი, ბერვის ხიდზე კი არ გადის, არამედ ჩვენი ისტორიის მყარ ბურჯებზე მდგარი სიყვარულის განიერი და მძლავრი ხიდით აერთებს ქართულისა და მეგრულს თვალწარმტაც წაპირებს და ამით საუკეთესო მაგალითს აძლევს თითოეულ ჩვენგანს.

მესამე, გიორგი სიჭინავას პროზაც და პოეზიაც გამოირჩევა სიმართლით, სინრთულით, კომუნისტური ცენზურის პირობებშიც ქმნიდა იგი მართალ და მამხილებელ ნაწარმოებებს, იგი ბუნებით დისიდენტია და არასოდეს მორიდებია სიმართლის პირში თქმას. მის ნაწერებში ვერ იპოვით ყალბ, ხელოვნურ, ვიღაცის საამებლად მოხმობილ სტრიქონებს.

მეოთხე, გიორგი სიჭინავა გახლავთ შესანიშნავი უურნალისტი და პუბლიცისტი, იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა აფხაზეთში გამომავალ ერთადერთ ქართულ უურნალს – „რინას“; ჩვენი სამშობლოსთვის უმძიმეს პერიოდში იყო ეროვნული უურნალისტიკის ფლაგმანის, გაზეთ „აღდგომის“ რედაქტორი, გამოსცემს მრავალმხრივად საინტერესო უურნალ „აიას“. მას იცნობენ, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს.

უულოცავთ ჩვენს ღვაწლმოსილ, სასიქადურო მეგობარს 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გახარებას თავისიანებითა და თავისი სამშობლოთი! მას ახალ-ახალი შემოქმედებითი გეგმები აქვს და გვჯერა, იგი კვლავაც გაახარებს თავის მკითხველს ახალი ქმნილებებით!

უფალი იყოს შენთან, ჩვენო გიორგი! კვლავაც დიდხანს ემსახუროს სამშობლოს შენი დალოცვილი კალამი!

**ურნალ „მიჯნის“ რედაქტორი**





### ავტობიოგრაფია

დავიბადე 1942 წლის 10 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. მამაჩემი – ორესტი სიჭინავა პედაგოგი იყო. 1942 წელს იბრძოდა ქერჩის მიდამოებში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, სადაც უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დედაჩემი – ბაბილინა ჭანტურია გარდაიცვალა 1997 წელს. მყავს უფროსი და.

დავამთავრე ორიოლის საერთო ტექნიკური ინსტიტუტის საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი, მაგრამ სპეციალობის განხრით არ მიმუშავია; სკოლის პერიოდიდან ლიტერატურით ვიყავი გატაცებული და შემოქმედებითი საქმიანობა გავაგრძელე.

1967 წელს საცხოვრებლად გადავედი სოხუმში. თავდაპირველად ვმუშაობდი სოხუმის რაიონულ გაზეთში ლიტერატურულ მუშაკად, შემდგომ რედაქტორის მოადგილედ. 1977 წელს გადავედი საოლქო გაზეთის რედაქციაში, სადაც გავაგრძელე უურნალისტური საქმიანობა.

მოთხოვების პირველი კრებული გამოვაქვეყნე 1971 წელს. აფხაზეთში ცხოვრების პერიოდში გამოქვეყნებული მაქვს მოთხოვების

სამი კრებული და რომანები: „გვირილების მინდორი“ და „უთვისტომო“. 1982 წელს თბილისში, გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა ჩემი რომანი „გვირილების მინდორი“ რამდენიმე მოთხოვებასთან ერთად. 1981 წელს მიმიღეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრად. ამავე წელს დავინიშნე ქართული ალმანახის – „რინის“ მთავარ რედაქტორად, სადაც 1987 წლამდე ვიმუშავე.

ჩემი ლიტერატურული პერსონაჟების სულიერი მისწრაფებები, მათი ცხოვრებისეული ხედვები ვერ თავსდებოდა საბჭოური იდეოლოგიის ჩარჩოებში, რის გამოც „ზემდგომი ორგანოების“ მუშაკთა მხრიდან ვისმენდი საყვედურებსა და გაფრთხილებებს. ბოლოს, ფარული და აქამდე ასე თუ ისე შეზღუდული მტრობა აშკარა მტრობად გადაიქცა; ეტყობა, იმსჯელეს და გადაწყვიტეს ჩემი მოშორება, ანუ ჩემი გაგზავნა ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში სასწავლებლად. დამიბარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მიგვიღო (ჩემთან ერთად სხვებიც იყვნენ) და გაგვესაუბრა ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე. მან კომუნისტურად დაგვილოცა გზა და მატარებლის ბილეთებიც დაგვიჯავშნა. მეორე დღეს ბაქოში ჩავიდა ყველა, ჩემს გარდა... მეუკან დავბრუნდი.

იმ დღიდან თითქმის ყველა თავს მარიდებდა, იმიტომ კი არა, რომ ვძულდით, არამედ იმიტომ, რომ ეშინოდათ, რომ შეიძლებოდა ჩემთან სიახლოვეს მათთვის კარიერულ წინსვლაში ხელი შეეშალა.

„დიდი საბჭოეთი“ დაიშალა, საქართველომ დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს. რევანშისტულმა ძალებმა კრიმინალურ დაჯგუფებებთან ერთად დაამხეს კანონიერი ხელი-სუფლება. დაიკარგა აფხაზეთი, სამაჩაბლო... განდევნეს ხალხის არჩეული კანონიერი პრეზიდენტი. მთლიანად ხელში ჩაიგდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სწორედ ასეთ დროს სოხუმში დაარსდა ეროვნული ხელი-სუფლების მხარდამჭერი გაზეთი „ალდგომა“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი მე გახლდით.

პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ დაიწყო მისი მომხრეების სასტიკი დევნა, რის გამოც იძულებული გავხდი ოჯახთან ერთად ცოტა-ხნით ემიგრაციაში წავსულიყავი.

მწერალთა კავშირიდან არავის გავურიცხივარ, მაგრამ კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, პროტესტის ნიშნად როგორც კი მუხრან მაჭავარიანმა დატოვა თავმჯდომარის პოსტი, მასთან ერთად ჩვენც, ეროვნული ხელისუფლების მომხრე მწერლებმა უარი ვთქვით კავშირის წევრობაზე.

სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის, ასევე სამართლოს მოღალატურად ჩაბარების შემდეგ შევარდნაძემ რაღაც ფონდი შექმნა მწერალთა „მოსათაფლად“ და მათ დახმარების სახით 100 ლარს ურიგებდა. მწერალთა კავშირიდან გამომიგზავნეს ერთი ან განსვენებული სოხუმელი პროზაიკოსი და შემომითვალეს, რომ მეც მივიღებდი იმ 100 ლარს, თუკი კავშირში აღდგენის თაობაზე განცხადებას შემოვიტანდი. მე განცხადების მაგიერ პატარა ლექსი გავუგზავნე:

შევარდნაძისა ყმობითა  
ფუნა დაიდგით გობითა,  
მშიერი მოკვდე ჯობია  
გაძლიმას მათხოვრობითა.

მეგობრების თანადგომით ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ დავაარსე უურნალი „აია“, გამოვაქვეყნე მეგრული ლექსებისა და მოთხოვობების კრებულები. ჩემი რედაქტორობით გამოვიდა პირველი მეგრულენოვანი უურნალი „ირიათონი“. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო მისი გამოცემის გაგრძელება ვერ შევძელი. 2017 წელს გამოვეცი ქართული ლექსების კრებული – „ჩემი კუნძული“, ხოლო 2018 წელს 800-გვერდიანი ისტორიული რომანი – „უტუ მიქა“.

ვამთავრებ ორენოვან ახალ რომანს, სადაც მეგრულ-ქართული ტექსტები გვერდიგვერდ იქნება დასტამბული. ჩემი აზრით, აქამდე არ გვქონია საშუალება ასე მასშტაბურად შეგვეჯერებინა ერთმანეთისთვის მეგრულ-ქართული ტექსტები. იქ ნათლად გამოჩენდება, რომ ამ ენებს შორის საკამათო ერთია მხოლოდ, – რომელია უფრო ძველი, რომელია მამა და რომელია შვილი. ამაზე დავა არავის ავნებს, პირიქით, იქნებ მეტად შეგვაყვარს ერთმანეთი.

ბიოგრაფიის წერისას სტანდარტებს ცოტა-თი გადავუხვიე, მაგრამ არა უშავს, ამ ასაკში „ზიგზაგები“ მეპატიება.


ვცხოვრობ თბილისში მყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.



## გიორგი სიჭინავა

## ԿԱՐԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ

ერთი თავი რომანიდან „უტუ მიქა“



ჯვებე შანგიას ბატონის ოთხი ურემი შე-  
შა ემართა საზამთროდ. ჯერ კიდევ გაგანია  
ზაფხული იყო, მაგრამ თადარიგს აქედანვე  
თუ არ დაიჭერდა, ვერ მოასწრებდა ხმელი  
შეშის დამზადებას. ტყე ახლოს იყო, შანგია  
მის განაპირას ცხოვრობდა იჯარით აღებულ  
მიწაზე. პატარა ჯარგვალი ედგა, ისლით გა-  
დახურული. ერთი ქალიშვილი ჰყავდა ჯვებეს.  
აღათია ერქვა მის მეუღლეს და იმ გოგოს  
დაბადების შემდეგ სულ მკვდარ ბავშვებს  
შობდა ის ბედგამწყრალი. ბატონის ხასა იყო  
აღათია. მოპებზრდა და მერე მიათხოვა თა-  
ვის ყურმოჭრილ ყმას. ყურმოჭრილი განგებ  
არ გვითქვამს, მართლაც არ ჰქონდა ცალი  
ყური. ჩვიდმეტი წლის იყო, როცა ხანჯლით  
ჩამოათალა ბატონმა; ორგულობა დასწამა  
მაშინ. ამის შემდგომ ჭკუა ესწავლა და არა  
მხოლოდ მეორე ყურს, არამედ თავსაც რომ  
გაპფროთხილებოდა, ამიტომ დასაჯეს ასე სას-  
ტიკად. გაჭრა სასჯელმა და მერე დროულად  
ასრულებდა შანგია ბატონის დავალებებს.  
ახლაც იმის ცდაში იყო, ნაადრევად შესდგო-  
მოდა საქმეს. ჯარგვლის წინ სალეს ქვასთან  
მოიტანა წალდი და ნაჯახი, დილიდანვე შე-  
უდგა ლესვას. აღათია ჯარგვლის კართან  
იჯდა და ქვასანაყით ბოსტნეულს ნაყავდა.  
შანგიას ერთადერთმა გოგომ თხა და თიქნები  
გარეკა ეზოდან. ჯვებემ ბრაზიანი მზერა გა-

აყოლა რატომძაც და იგი ჭიშკარს რომ  
გასცდა, ლესვა შეწყვიტა, ცოლს ჩუმად  
გადაულაპარაკა:

— შარშან ერთი ციდა არ იყო ეგ  
ღმერთგამწყვრალი და ამ ერთი წლის  
განმავლობაში როგორ აიყარა ტანი...  
ქალო, ანი მაინც მითხარი სიმართლე...  
ნამდვილად ჩემია ეგ ბავშვი თუ ბატონი-  
დან გამოგყვა?

– თავი დამანებე, კაცო, რამდენჯერ  
გითხარი, შენია-მეთქი!

— რად გინდა, ასეც რომ იყოს, მეო-  
რე უბედურებას უნდა ველოდე მაინც.  
ისე გაიზარდა და დამშვენდა, დაინახავს  
ონი, მოეწონება და გამოაპამს წითელ  
ტკის, შენ რომ გამოგაბა ისე. ჯობია დამა-  
ჩემი რომ არის და არ წაიყვანს თავისთან.

აღათიამ არაფერი უპასუხა, თავჩილუ-  
რი იჯდა და გამალებით ნაყავდა საკმაზ  
ნეულს.

შანგია სალეს ქვას მიუბრუნდა ისევ. კარ-  
ანს ლესა რკინა, მერე თითოთ მოსინჯა  
ხხის პირი და კვლავ (კოლისკენ მოიხედა.

— ყოველთვის მინდოდა მეთქვა: მე რომ  
ვარ და ის თეთრია, მართლა ჩემი თუა,  
ომაა ასე?

— რა იყო, კაცო, რა მოგივიდა ამ დილით.  
ეტი წელია ამ ბავშვს უყურებ და ახლა  
ნ, რომ თეთრია? — გაწყრა აღათია. — მეო-  
ურიც უნდა მოეჭრა ბატონს და მერე არ  
ოდი ასეთებს.

— ხმა ჩაიკმინდე შენ! — წამოიყვირა შან-  
ი. — მაშინ ბავშვი ვიყავი, უგ რომ მიქნა...

— შენ რომ ყური მოგაჭრეს, სწორედ იმ  
არის ახლა ბაჩილას ბიჭი და ნახე, რა ქნა!  
ის მაგივრად ლეღვი თუ გიდევს მკერდში,  
ი რას გიშველის.

— ესე იგი, უნდა მომეკლა?

— რას ჰქვია მოგეკლა!.. როგორ უნდა მოა?

— უფრთხილდები?

– ჭირსაც წაულიხართ ორთავენი. არც მას წავუყვანივარ ჩემი ნებით და არც ის უკითხავს ვინმეს, შენ რომ გამოგყოლოდი.

– მე რას მსაყვედურობ. ხასა იყავი და ქალი გაგხადე.

– ყურმოჭრილი კაცის ცოლობა ბევრად უკეთესი არ არის იმაზე, რაც ვიყავი.

– არა, შენ ისე მედიდგულები, თითქოს ძალით მოგიტაცე. არ იქნება შენი საშველი. ქალი იმას ჰყვარობს ყოველთვის, ვისთანაც პირველად დაწვა.

– ნებით თუ დაწვა, კი!

– თუ ჩემია, მაინც ობოლია ეს ბავშვი.

– ვითომ რათაო?

– უსიყვარულოდ და უღმერთოდ დაბადებული ბავშვი ობოლზე უარესია.

– სიყვარულის რა იცი შენ, გაგიგონია რაღაც.

შანგიამ კამათი არ გააგრძელა. იცოდა, ალათია ვერაფერს დაუთმობდა. ცალი ყური რომ არ მოეჭრა ბატონს, სხვაგვარად მოიქცეოდა შანგია: აიძულებდა, პატივი ეცა და დამორჩილებოდა, მაგრამ ცალყურა კაცის გაბრაზებას, აბა, რა ძალა ჰქონდა. პატივაყრილსა და დამცირებულს ყველა ზემოდან უყურებდა, მასავით მდაბინიც კი. თავს მაშინ გრძნობდა ღირსეულად, როცა სადმე შორეულ სოფელში წავიდოდა. იქ არავინ იცნობდა ჯვებეს, მოჭრილ ყურსაც არავის უჩვენებდა. თავზე ყაბალახი ისე ჰქონდა წამოხვეული, ყურები საერთოდ არ უჩანდა და არც არავინ დაეჭვებულა, ცალყურა რომ იყო. მშობლიურ სოფელში კი ყაბალახი რას უშველიდა, ისედაც ყველამ იცოდა მისი ამბავი.

ნაჯახი და წალდი რომ ალესა, წამოდგა. ნელი ნაბიჯით ჩაუარა გვერდით ჯარგვლის კართან მჯდარ ალათიას და შიგ შევიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ალათიაც მიჰყვა. ცოტაოდენი საგზალი მოემზადებინა და ჩანთაში ჩაულაგა.

შანგიამ სამუშაო იარაღებთან ერთად ბატონისგან წათხოვარი შტუცერიც გამოიყოლა. ყოველი თვის ბოლოს წადირის ხორცი ემართა ბეგარად და თოფიც ამიტომ ათხოვა ბატონმა. თვეში სამ დღეს ჰქონდა მისი ტარების ნება, სამ დღეში უნდა მოესწორ შველის ან გარეული ღორის მოკვლა. დღეს სანადიროდ

არ ეცალა, მაგრამ ტყეში მარტო გასულს, იარაღი უეჭველად სჭირდებოდა. ეზოდან ისე გავიდა, რომ ხმა არ ამოუღია. ალათიას მიერ წათქვამი მწარე სიტყვები ჯერაც ვერ მოენელებინა. ტყისკენ ვიწრო ბილიკი მიდიოდა, პატარა ბორცვებზე დაკლაკნილი. რცხილა უნდა მოეჭრა ჯვებეს და ამიტომ ტყის სიღრმეში მოუწვევდა შესვლა, ვინაიდან იქით ეგულებოდა ხნიერი და წახევრად გამხმარი ხეები. რამდენიმე ხეს წააქცევდა, ტოტებს ჩამოაჭრიდა და დაპობდა, მერე საურმე გზამდე ზურგით უნდა გამოეზიდა. მთავარი იყო ხეების მოჭრა და მათი დაპობა, გამოტანას მერეც მოასწრებდა.

განცალკევებით მდგარი ძველთაძველი, ტოტებგანიერი რცხილა ამოარჩია ჯვებემ. ხმობა შეჰპარვოდა ასწლოვან ხეს და მხოლოდ კენწეროებზე ესხა ფოთლები. ეტყობოდა, მომავალ წელს ამ მეჩხერ ფოთლებსაც ვერ გამოისხამდა ბებერი რცხილა. ირგვლივ შემოუარა შანგიამ და დაასკვნა, მარტო ამ უშველებელ ხეს დაუცვივდებოდა ოთხი ურემი შეშა, უფრო მეტიც: თავისთვისაც მორჩებოდა ერთიორი თვის სამყოფი. ოღონდ ეგ იყო, ძალზე მსხვილი ტანი ჰქონდა, თანაც დაძარღვული და გაკაუებული. გაუჭირდებოდა მისი მოჭრა და მერე შეშად დაპობა, მაგრამ ამაზე უკეთეს ხეს ახლომახლო ვერ ხედავდა და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეუდგა მუშაობას. რეინასავით გამკვრივებულიყო ბებერი რცხილა. ეტყობოდა, გამხმარი ფესვები ჩვეულებრივად ვერ ისრუტავდა მიწიდან წყალსა და სინოტივეს, ამიტომ, ზედმეტად გამაგრებული, ნაჯახს ისხლეტდა. არ ეშვებოდა მკლავლონიერი შანგია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უხათქუნებდა საგულდაგულოდ ალესილ წაჯახს. როგორც იქნა, რამდენიმე წაფოტი გამოაძრო და მერე შედარებით უფრო ადვილად წაუვიდა საქმე. ხის ჭრაში განვრთნილი იყო, რადგან რაც თავი ახსოვს, სულ უზიდავდა ბატონს შეშას. მთავარი საზრუნავი ის ჰქონდა, რომ ისე წაექცია ეს ვეება ხე, გარშემო მდგომისთვის არ ევნო და არ დაელენა. ფიქრობდა, წახევრამდე თუ ჩაჭრიდა, მერე სიმძიმე გადაწონიდა და ადვილად წაიქცეოდა.

მეტად გაუძალიანდა რცხილა შანგიას. შუადღემ უკვე მოატანა და წახევრამდეც ვერ

ჩაჭრა ხის ძირი. ასე თუ გაგრძელდებოდა, დაღამებამდე ვერ მოასწრებდა წაქცევას. ნახევრად ჩაჩენილი ხის მიტოვება, თუნდაც შუაგულ ტყეში, საშიში იყო. ზოგჯერ მოულოდნელად ამოვარდებოდა ქარი და ვინ იცის, რომელ მხარეს წააქცევდა. ცოტა რამ საგზალი წამოლებული ჰქონდა, მაგრამ წახემსებას არ აპირებდა. იდგა და ოფლში გახვითქული, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ურტყამდა ნაჯახს. მხოლოდ მაშინ დაისვენა, როცა არაქათი მთლად გამოეცალა და ნაჯახის მოქნევაც კი გაუჭირდა. დიდხანს არ დაუსვენია, სული ოდნავ რომ მოითქვა, ისევ შეუტია ხეს. ნახევარზე ბევრად მეტი უკვე ჩაჭრილი ჰქონდა, მაგრამ რცხილა ისევ მკვიდრად იდგა, გეგონებოდათ, სულაც არ გრძნობდა ტანზე მიყენებულ ჭრილობას. კიდევ რამდენიმე ნაფოტი რომ ამოაცალა, ე, მაშინ დაიწყო ტკაცუნი და ჭრიალი, ნელ-ნელა გადაიხარა გვერდზე, ბოლოს კი საშინელი ზათქითა და ტოტების ლანუნით დაეხეთქა მიწაზე. შვებით ამოისუნთქა შანგიამ, ნაჯახი დააგდო და წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა დასასვენებლად. ძველი, გახუნებული ჰერანგი ოფლით დალბობილიყო და ტანზე ეწებებოდა. უეცრად ნელმა სიომ დაუბრა, სასიამოვნოდ დაუარა მოთენთილ სხეულზე. სიგრილის შეგრძნებამ ოდნავ გამოაცოცხლა, მაგრამ განძრევის თავი მაინც არ ჰქონდა. კარგა ხანს მონუსხულივით იჯდა მოჭრილ ხეზე და მერე შეკმაზული მწვანილი ამოიღო. აქ, ტყის შუაგულში, ერთდროულად მოისტუმრა სადილიცა და ვახშამიც.

უკვე ღამდებოდა. შანგიამ სამუშაო იარაღები ხის ფულუროში გადამალა, გარედან ბალახბულახი მოაყარა და მხოლოდ თოფს დაავლო ხელი. წალდი და ნაჯახი ხვალაც დასჭირდებოდა და ამიტომ წალება-წამოლებას აქ დატოვება არჩია. თოფი მხარზე გაიდო და ნელი ნაბიჯებით გაუყვა შინისკენ მიმავალ ბილიკს. უხალისოდ ბრუნდებოდა შინ. არც ჰქონდა გააზრებული, რომ შინისაკენ მიდიოდა. მისთვის შინ და გარეთ სულერთი იყო. საღამო ხანს ყოველი სულიერი უბრუნდებოდა თავის ჩვეულ ადგილს. შანგიაც მიდიოდა იქით, საითაც საკუთარ ფეხებს მიჰყავდა. ასე უვლია თავისი დღე და მოსწრება და უჩვეულო არაფერი ხდებოდა მის ამღამინდელ ყოფაშიც.

რატომძაც თავს დამნაშავედ გრძნობდა, მაგრამ ის ვერ გაერკვია, ვის წინაშე რა ბრალი მიუძლოდა. ერთი რამ უცილოდ სწამდა: ყველა და ყველაფერი გამწყრალი იყო მასზე, ყველან საყვედურობდნენ და არიგებდნენ. არავის არ უყვარდა შანგია. არც ცოლი ჰყვარობდა, თვითონაც არ ეხატა გულზე, მაგრამ შერთეს და რა უნდა ექნა. აი, ის გოგო რომ შეერთო შანგიას, ერთხელ რომ ნახა ჯარალუაზე, რა ბედნიერი იქნებოდა მაშინ. რა ლამაზი იყო და რა მოციმციმე თვალები ჰქონდა! უნდოდა მასთან ახლოს მისვლა, გაცნობა და დალაპარაკება, მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ყური მოჭრილი, მაგრამ სხვა რამ სჭირდა სასირცხო: დახეული შარვალი ეცვა, საჯდომგამობრდღვნილი, და ახლოს ვერ მიესვლებოდა. იდგა ხალხის ჯგროს ამოფარებული და შორიდან შეცყურებდა იმ ლამაზ გოგოს, რომელმაც ერთი ნახვით შეუნთო ცეცხლი მის გულსა და გონებას. მერე არც კი უნახავს, მაგრამ მისი სახე, მის თვალთა ელვარება აქამდე ახსოვს. არც დედ-მამის სიყვარული განუცდია შანგიას. ამბობენ, ორთავე სახადმა გადაიყოლა, როცა თვითონ სულ რაღაც სამი წლისა იყო. არ იცის მათი საფლავიც. იყვნენ და ისე გაქრნენ, თითქოს არც კი ყოფილან. თვითონაც რომ მოკვდება, დამარხავენ საღმე და დაიკარგება მისი საფლავიც, მხოლოდ დიდებულთა სამარხებს ინახავს მიწა.

ყურს რომ სჭრიდნენ, შიშისგან ისე იყო გათანგული, არც კი გაუგია, რა უქნეს; ტკივილიც არ უგრძნია უეცრად. მიწაზე დაგდებული სისხლიანი ყურიღორმარომშეახრამუნა, მაშინ შემოეყარა გულზე და გონება დაკარგა. მისდა გასაკვირად, თავადმა დასაჯა ის ღორი, დაკულევინა და ძალლებს მიუგდო საჯიჯვნად.

რა ახსოვს შანგიას კარგი, რომ ვინმე უყვარდეს?! საკუთარ თავსაც არ მოჰყერებია არასდროს. ხაფანგში გაბმული ცხოველის შიშით დაიარება ამ ქვეყანაზე. სიცოცხლემისჯილს სიკვდილის ეშინია მაინც. გაურკვეველი შიშია მისი მამოძრავებელი ძალა. სიკვდილი ყველაფერზე უარესია, რაც შეიძლება მოხდეს. იცის, კაცი რომ მოკვდება, აღარ არსებობს იმ დღიდან. ერთადერთი, რაც გააჩნია, არსებობსა მხოლოდ, სხვა არაფერი ჰქონია ამ ქვეყანაზე. მიდის ღამის ბინდუნდში და როცა ბნელა,

თავს უფრო მშვიდად გრძნობს. ბურუსშია ირგვლივ ყველაფერი გახვეული. ღამეული სიბნელე აუჩინარებს მისადმი მტრულად განწყობილ ცასა და მინას, მთებსა და ველებს. ო, ეს დალოცვილი უმთვარელამე, რარიგ წყნარია და უშეოთველი! ბატონს უკვე ღრმა ძილით სძინავს, გზაზე კი იშვიათად გამოჩინდება ვინმე. ახლა მარტოა და მხოლოდ საკუთარი გულისცემა ესმის.

გვიან ღამით დაბრუნდა შანგია ჯარგვალში. ცოლსა და ქალიშვილს ჯერ კიდევ არ ეძინათ. აღათიას კერიაზე ცეცხლი დაენთო და მკრთალ შუქზე პილპილებს ნემსავდა, გასახმობად ამზადებდა აცმას. ჯვებემ შტუცერი საწოლქვეშ შემალა და გარეთ გამოვიდა; ეზოში ხის ქვეშ ჩამოჯდა, ოდნავ დანამულ მდელოზე. მისმა გოგონამ, ცირულიმ, მარტო რომ დაიგულა, ფეხაკრეფით მიეახლა ბაბაიას.

– რა გინდა, გოგო, წადი და დაიძინე! – შეუწყრა შანგია.

– ბაბაია, რაღაცა უნდა გითხრა, – ოდნავ გასაგონი შიშნარევი ხმით უთხრა ცირულიმ.

ცუდად ენიშნა ასეთი ფრთხილი ნათქვა-მი შანგიას და სისხლი ძარღვებში ჩაეყინა. სუნთქვა შეეკრა. ყოველთვის უბედურების მოლოდინში იყო რატომღაც.

– რა მოხდა? – მოუთმენლად იყითხა ჯვებემ.

– საღამოს თხის მოსაყვანად რომ წავედი, ოცხიმურეს მაღლობზე, ძველი ჯიხას ნანგრევები რომ არის, ის ბიჭი ვნახე მე...

– ვინ ბიჭი ნახე, შე გადარეულო! – ვერა-ფერი გაიგო შანგიამ.

– აი, ის ბიჭი... ტყეში რომ იმაღება...

შანგია გაფითორდა. გაოგნებისგან პირი დააღო და მოჭრილმა ყურმა წივილი დაუწყო.

– შენ საიდან იცნობ იმ ბიჭს, როდის გინახავს, რომ გეცნო? – ჩურჩულით უთხრა ჯვებემ.

– ის იყო. აბა, სხვა ვინ უნდა იყოს?! ბალაბულახი შეაგროვა და შიგ შეიტანა, ნანგრევებში. ეტყობა, ღამეს იქ ათევს.

შანგია გასუსული უსმენდა და ბრიყვულად იყურებოდა.

– მერე, დედაშენს უთხარი ეგ ამბავი?

– კი. მოვუყევი ყველაფერი და გამაფრთხილა, არსად არ წამოგცდეს, თორემ და-

ვილუპებითო... იცი, რა კარგი ბიჭია, ბაბაია... მაგისთანა ამ მუხურში არ მინახავს არავინ.

– რა იცი, კარგია თუ ცუდი? რა უნდა გენახა შორიდან ამ სიბნელეში? – არ ესიამოვნა იმ ბიჭის ქება შანგიას.

– ახლოს მივედი და ბუჩქებში ჩავიმალე.

– გაგიჟებულხარ და ეგ არის! – გაპრაზება ვერ დამალა ჯვებემ.

– ბაბაია, წადი და მოიყვანე აქ. ჩელტის საწოლზე დავაწვინოთ ამაღლამ.

– შენ სრულ ჭკუაზე არა ხარ, წამდვილად. ის ხომ არ გინდა, ყველანი ამოგვხოცონ დადიანის კაცებმა?!

– ამაღლამ ვინ გაიგებს და ხვალ ადრე წავა ტყეში. წადი, ბაბაია, ჩუმად მიდი და უთხარი, ჩვენთან მოვიდეს.

– კიდევ არ წამოგცდეს ეს სისულელე! არ იქნება ის ახლა იქ! ცოტას დაისვენებდა და წავიდოდა სხვაგან. ასეთია აბრაგების წესი: დიდხანს არ ჩერდებიან ერთ ადგილას. მიდი ახლა შენ და დაიძინე! დედაშენს არ უთხრა, რომ ეგ ამბავი ვიცი... ფიქრიც არ გაძედო, თორემ გაიგებენ!

განაწყენებულმა ცირულიმ ტუჩები აიბზუა და უხალისოდ შევიდა ჯარგვალში.

შანგია ერთხანს მონუსხულივით იჯდა მდელოზე; ახლა ისეთ საიდუმლოს ფლობდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ისე უცნაურად დაიმოკლა კისერი, გეგონებოდათ, მუცელში საკუთარი თავის ჩამალვას აპირებსო. გაახსენდა: მაგ ბიჭის გამცემს აზატობას რომ ჰპირდებოდა მთავარი. უეცრად მაცდურმა ფიქრებმა გაუელვა თავში. თანდაყოლილი შიშის გრძნობა, აქამდე ხაჯალურივით რომ შემოხვეოდა ტანზე, თითქოს რაღაც უხილავ-მაძალამ გაუქრო თვალის დახამსამების უმალ და ისეთი განცდა დაეუფლა, რომლის მსგავსი არ სწვევია ჯერაც. ეგონა, ვიღაც ეფერებოდა და ესიყვარულებოდა. გაოგნებული აქეთი-იქით აცეცებდა თვალებს, იმ ვიღაცის ხილვა უნდოდა, მაგრამ ვერ პოულობდა. გუმანით გრძნობდა, ის „ვიღაცა“ ისევ მისსავე სხეულში იყო ჩამალული და იქიდან გამოსვლას ლამობდა. ეგ კი დაუჯერებელი რამ გახლდათ. როგორ შეიძლებოდა ერთ შანგიაში მეორე შანგიაც არსებულიყო? არადა, ის უცხო აშკარად ალაპარაკდა, ჭინკასავით ამოძვრა

მისი არსებიდან. ჯვებემ შიშისგან თვალები დახუჭა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. თვალდა-ხუჭულმა უფრო აშკარად დაინახა საკუთარი თავი, ოღონდ ისეთი კი არა, აქამდე რომ იყო: ადრინდელი შანგია იხილა, საღ-სალამათი, ჯან-ღონით სავსე და ყურმოუჭრელი...

„„შედნიერება კარზე მოგადგა!“ – ეუბ-ნებოდა შინაგანი ხმა. – „ახლა თუ არ ივარ-გე, სამუდამოდ დაიღუპები. ერთხელ მაინც გათამამდი, შე ლაჩარო! მიდი და გაეცი ის ყმანვილი. გახდითავისუფალი გლეხი, ადექი, ნაძირალავ და ყურმოჭრილო მონავ, ირბინე უკანმოუხედავად, სულ რაღაც ორიოდე ვერ-სი გაშორებს ბედნიერებასთან. ის ასე ახლოს არასდროს ყოფილა შენთან. ახლა აქ არის, მიიტანე შენი მძმორი ოხარკალუს საგუშაგომ-დე... რა სიბრალული და ვისი სიბრალული!.. შენ ვინ შეგიბრალა? შენ რომ არ ქნა, სხვები იზამენ. იმის სიკვდილი ახლა შენი სიცოც-ხლეა. არ არის ბედნიერება უბედურების გა-რეშე. ადექი და წადი, ნუ ყოყმანობ, თორემ დაგასწრებენ“.

შანგია გველნაკენივით წამოხტა და ჯარ-გვლისკენ გაიხედა ანაზდად. კარი მიხურული იყო, ალბათ დაწვნენ ალათია და ცირული. „ო, ჩემო პატარა ცირული! პატარა კი არა, გაზრდილხარ უკვე. მოგწონებია და გულში ჩაგვარდნია ის განწირული ბიჭი. არა უშავს, ბაბაია, მეც მომეწონა ვიღაცა ჯარალუაზე, ერთხელ შევავლე თვალი და მომეწონა, მაგ-რამ დამეკარგა და ვეღარ ვიპოვე მერე. ვერც შენ იპოვი იმ ბიჭს ვერასდროს, მაგრამ არა უშავს. შენ ის მკვდარიც გაგაბედნიერებს. აზატი რომ გახდები, ვეღარ შეგაბამს ბატო-ნი წითელ ლენტს, არ გაიზიარებ დედაშენის ბედს... კიდევ შეგიყვარდება ვინმე“...

მამლის ყივილმა გამოაფხიზლა შანგია. შუალამე გასულა უკვე და მოცდის დრო ალარ იყო. ჯარგვლისკენ წავიდა ფრთხილი ნაპი-ჯებით, კარი ნელა შეაღო, მერე საწოლისკენ გაიხედა ანაზდად. დედა-შვილს ჩასძინებოდა ღრმა ძილით, მშვიდად სუნთქავდნენ ორთავე-ნი. შანგია ფეხაკრეფით მივიდა მეორე ლოგინ-თან, ქვეშ დამალული თოფი და ტილოს ნაჭერ-ში გახვეული ვაზნები გამოიტანა უხმაუროდ. გარეთ რომ გამოვიდა, ცას ახედა, პირჯვარი გადაიწერა. ღმერთს შესთხოვა დახმარება და

შემწეობა. განა უღვთობას სჩადიოდა შანგია? აბა, ვინ დაარწმუნებდა თავის სიმუხთლეში? დამონებულს თავისუფლება სწყუროდა; ნუ-თუ ეს ბოროტება იყო?! არა და არა! მხოლოდ ახლა, ამაღამ მოეძალა ეს უცნაური წყურვი-ლი. სად იმალებოდა აქამდე? ან როგორ გაძ-ლო უწყლოდ და უჰპაეროდ.

წავიდა! ჯერ ფრთხილი ნაპიჯებით მი-დიოდა, შემდეგ ძუნძულით და ბოლოს ისე ირბინა, ცხენიც ვერ დაეწეოდა სადოლედ გაწვრთნილი. გზაგასაყართან შეჩერდა ფიქ-რარეული. ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. ცირულის ნათქვამი რომ მიეტანა საგუშაგოზე და მერე ის ყმანვილი არ დახვედროდა მდევ-რებს ნაციხართან, რა პასუხი უნდა გაეცა მა-შინ? გადაწყვიტა, ჯერ სამალავისკენ წასული-ყო, საკუთარი თვალით ენახა, მართლა იქ იყო თუ არა, მერე დაარწმუნებული და გულდაჯე-რებული მიუტანდა ამბავს გუშაგებს. ამ ფიქ-რებით ოცხიმურეს გორაკისკენ აიღო გეზი. ფრთხილად შეუყვა აღმართს. ისე მიდიოდა, თითქოს მინას ფეხს არ აკარებდა, მსუბუქად, მჩატედ მიიწევდა წინ, რათა ფეხის ხმა არ გა-ეგო იმ აბრაგს. ბოლო ასიოდე საჟენი დაოთ-ხილმა ფორთხვით გაიარა და ძველი კედლების ნანგრევებს მიადგა. სუნთქვაც ისე დაიგუბა, თითქოს წყლის სიღრმეში ყვინთავდა. ნელა წამოიმართა და კედლის ნარჩენებს იქით გა-დაიხედა. ის იქ იყო. ბნელოდა, მაგრამ მაინც შეამჩნია. გული სიხარულით აევსო შანგიას. ფრთხილად გამობრუნდაუკან და დაღმართზე დაეშვა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. სულიერიცა და უსულოც – ყვე-ლაფერი ღრმა ძილს მოეცვა ცისქვეშეთში. ალიონი ახლოვდებოდა უკვე, იცრიცებოდა ღამის მრუმე სამოსელი. აჩქარება მართებდა ჯვებეს. დაღმართს იქით ისევ აღმართი იწ-ყებოდა. წინ პატარა გორაკი იყო. ამ გორაკს რომ შემოუვლიდა, მერე გავაკებულზე გა-დიოდა ოხარკალუსკენ გაჭიმული შუკა-გზა. მოკლეზე უნდა მოეჭრა დროის მოსაგებად. ამ მიზნით შემოვლით ბილიკს გორაკზე ასვლა არჩია. ის იყო, თხემზე აბობლდა და ქვევით დაშვებას აპირებდა, რომ უეცრადდ რამდე-ნიმე ცხენოსასნ მოჰკერა თვალი. ისინი აქეთ, ოცხიმურისკენ მოაჭენებდნენ ბედაურებს. ამის დანახვაზე გაშრა, გაფითრდა ჯვებე.

მერე შუბლზე ხელი იტკიცა და ველური ღრიალით დაემხო მიწაზე. ცხადი იყო, ვიღაცამ დაასწრო საბედისნეროდ. მორჩა, გათავდა! სიზმარივით გაქრა ყველა იმედი. სხვას ერგო ის ბედნიერება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ თავისი ეგონა და თითქოს ხელში ეჭირა. „ვავა, ჯვებე შანგია, ვანორღვენო მუთუნიში იღპალი“!<sup>1</sup> – ქალივით მოთქვამდა იგი და სიმწრისაგან თმებს ინენავდა. მერე თვალი ისევ გზისკენ გაექცა. მაღლობიდან აშკარად ჩანდა, თუ როგორ გააფთრებით მიინევდნენ შეიარაღებული მხედრები ოცხიმურეს გორაკისკენ. ათი ცხენოსანი დაითვალა შანგიამ. მიწიდან წამოიმართა და ციხის ნანგრევებისკენ გაიხედა. იმ მხრიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნანგრევების ზემოთ, აღიონის მკრთალი ნათლით შეფერილ ცაზე ფაფუკი ღრუბლის ფთილები მოცოცავდნენ, საიდანლაც გადმოხვენილნი და ერთმანეთს დადევნებულნი. „ეტყობა, ჯერ კიდევ სძინავს“, – გაიფიქრა ჯვებემ, – „გარს შემოუვლიან და ვერსად გაიქცევა... მოკლავენ მაგ საცოდავს“... მოულოდნელად სიბრალულის გრძნობა გაუჩნდა შანგიას. იმედგაცრუებულსა და ხელმოცარულს, ახლა ისიც საკუთარი თავივით ეცოდებოდა. „გეგონა, ამაღამ შენი ღამე იყო, შანგია!“ – საკუთარ თავს ეუბნებოდა სასონარკვეთილი. – „მოჭრილი ყურის გამთელების ღამე გეგონა, მონობიდან გამოსვლისა და კაცური ყოფის დაბრუნების უამის დადგომა გეგონა... არ ინება ღმერთმა შენი ბედნიერება. იმ საცოდავი ბიჭის სიკვდილის მომსწრე გაგხადა ბედმა. ამისთვის ამოსულხარ აქ, რომ ამ საშინელებას უყურო, მისი სისხლი დაინახო, უცქირო, თუ როგორ გამოათრევენ ნანგრევებიდან მის დაცხრილულ გვამს, როგორ წაათრევენ თოკებამობმულს სოფელში ხალხის დასანახად. ო, ცირული, შეუკუდმართო გოგო, რა ეშმაკმა დაგანახვა იმ ბიჭის მოსვლა ამ დაწყევლილ ნოჯიხევში? შენ რომ არაფერი გეთქვა, მე ახლა ამ დღეში არ ჩავვარდებოდი, ტკბილად მეძინებოდა ჩემს ჩელტის საწოლზე... მე ხომ არასოდეს მიოცნებია აზატობაზე?.. მე ხომ აქამდე არასოდეს გამცრუებია იმედები? რად ამაფორიაქე, რად ამინენე სული?.. არა, მე ამას არ უნდა ვუყურო! უნდა გავეცალო აქაურობას! აქ სისხლის

სუნი ტრიალებს“.

გორაკიდან ჩამოსვლა და ტყეში დამალვა განიზრახა შანგიამ. გული ეთანაღრებოდა. ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს იმ ბიჭის მკვლელობაში, რაც რამდენიმე წუთში უნდა მომხდარიყო, თვითონაც მიუძღვდა ბრალი. რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ გასცა იგი. მასაც ხომ იგივე უნდოდა? სხვას რომ არ დაესწრო, თვითონ მოიყვანდა მკვლელებს. „ეგ რამ გაფიქრებინა, შე უბედურო?“ – საკუთარ თავს უჩიოდა ჯვებე. – „სული რატომ წაინყმიდე? რატომ არ დაუჯერე ცირულის? მოგეყვანა ის ბიჭი შენს ჯარგვალში და აარიდებდი ამ უბედურებას. ახლა სად მიდიხარ და სად იმალები? აქ თავადები გჩაგრავდნენ, იქ კი ღმერთი განარისხე შენი მუხანათობით. ანი საითაც გინდა, იქით იარე, კაცისგან და ღმერთისგან მოძულებულო!“

უნებურად ისევ გადახედა გზას. სულ ახლოს იყო დადიანის მხედრობა, სულ რამდენიმე წამში ჩაუვლიდნენ იმ გორაკს, რომლის თხემზე შანგია იდგა და მერე ასიოდე საუენი თუ იქნებოდა ოცხიმურემდე. სასონარკვეთილებამ შეიძყრო იგი. იქნებ დაეყვირა და გაელვიძებინა ის ბიჭი, მაგრამ უაზრობად ეჩვენა ესეც, ვინაიდან აქედან ხმას ვერ მიაწვდენდა რიყის ლოდებით შემორაგულ ნანგრევებამდე. უნებურად გაახსენდა, შტუცერი რომ ჰქონდა წამოღებული. აი, თოფის ხმას კი ნამდვილად გაიგონებდა ბაჩილა! ბევრი არ უფიქრია, ჩახმახი შემართა და ჰაერში გაისროლა შანგიამ. ეს ქნა და თვითონვე შეაშინა საკუთარმა ქმედებამ. „ნუთუ მე გავისროლე?“ – ეჭვმა გაუელვა წამით. რაღაც განგება მართავდა უნებურად, ბედისნერა ათამაშებდა ხან აქეთ, ხან იქით. დამფრთხალი და დაბნეული, ლოდებს ამოეფარა და შიშით ჩაიხედა ქვევით. რაღაც გაურკვეველი ყვირილის ხმები მოესმა იქიდან. დაინახა, დაფეთებული ცხენოსნები თუ როგორ უგზო-უკვლოდ დარბოდნენ და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, მერე გონს მოეგნენ და ერთმა მათგანმა მაღლობისკენ გაიშვირო ლაგმის ტარი. საპასუხო სროლამაც არ დააყოვნა ქვემოდან. ტყვია ლოდს მოხვდა და წივილით აისხლიტა მაღლა. შანგია მიხვდა, თუ რა ხაფანგში გაჰყო თავი.

– აი, აქ არის, აქ იმალება! – გარკვევით

<sup>1</sup> ვაი, ჯვებე შანგია, არაფრის ბედი არ გქონია!

გაიგონა ვიღაცის ლრიალი. მაღლობიდან დამრეცი კალთა ეშვებოდა და თხემზე ცხენითაც ადვილად შეიძლებოდა ამოსვლა. ჯვებე შიშმა ააწრიალა, გონება დაებინდა და აღარ იცოდა, რა ექნა.

– არა, ის არა ვარ. შანგია ვარ მე, ჩქოტუას კაცი! – დაიყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ პასუხად რამდენიმეჯერ ერთმანეთის მიყოლებით გავარდა თოფი. მიწაზე დამხობილ შანგიას ტყვიებმა გადაუფრინა თავს ზემოთ, ერთი-ორი კი ლოდს მოხვდა და პატარა კენჭები ჩამოამსხვრია.

სხნა არსაიდან ჩანდა. ხედავდა, ამ მაღლობიდან ცოცხალი ვერ ჩამოვიდოდა. ყვირდა, მე ეს და ეს კაცი ვარ და რას მემართლებითო, მაგრამ პასუხად სროლის ხმა ისმოდა მხოლოდ. ბაჩილას მსხვერპლი ყოფილა შანგია. ამ დილაუთენია სხვის მაგივრად უნდა მომკვდარიყო.

– ახია ჩემზე! – სლუჟუნით ამოიღნავლა განწირულმა. მისი აზრით, რაც ეკუთვნოდა, იმას უზღავდა განგება.

არ გაეგონა შანგიას ღობეში მომწყვდეული კურდლის ამბავი, ერთხელ მელიტონ ჩიჩუარომ მოუყვა კონწარს, მაგრამ ხაფანგში მომწყვდეულს, იმ კურდლის გამბედაობა გადაედო უნებურად. შიში მშობელია ლაჩრობისა, თუმცა ზოგჯერ მისგან საოცარი შემართებაც იბადება ხოლმე.

თავი ასწია შანგიამ და ლოდებს შუა, ლრიჭოდან გაიხედა. დაინახა, რამდენიმე ცხენოსანი რომ ამოდიოდა ფერდობზე. მან სასწაფოდ ამოილო უბიდან პატარა თახჩა, სადაც ვაზნები ეწყო. საშინელმა ბოლმამ და ზიზღმა დაუარა ერთბაშად. სულის სიღრმეში წლობით დაგუბებულმა შურისძიების გრძნობამ ზევით ამოხეთქა ვულკანივით. საკუთარ თავს ვერ ცნობდა შანგია. ის ახლა სულ სხვა კაცი იყო, სხვა ადამიანი, საკუთარ თავზე გამარჯვებული და დაუმარცხებელი. იარაღი ლოდებშუა გაყოდა დაწინაურებულ მხედარს ესროლა. შიგ გულში გაუყარა ტყვია. მან გარკვევით დაინახა, თუ როგორ ავარდა უნაგირიდან ვება კაცი, გაიგონა, როგორი სასოწარ კვეთილი ხმით

დაიყვირა, ახავაიო, და მერე იმასაც შეასწრო თვალი, თუ როგორ გაგორდა ტომარასავით დალმართზე იგი. ახლა მეორესაც ესროლა და მოარტყა მასაც. ცხენს ჩამოეკიდა კაცი. უზანგზე შერჩენდა ცალი ფეხი, დაფეთებული ულაყი ერთხანს ჭიხვინით მიათრევდა მიწაზე, მერე, როგორც იქნა, გაითავისუფლა თავი ჩამოკონწიალებული ტვირთისგან და ოცხიმურეს მაღლობისკენ გაუტია გავეშებულმა. მომხდური ბევრი იყო, მოდიოდნენ ფართოდ გაშლილნი და ხან მარჯვნივ ისროდა შანგია, ხან მარცხნივ. მერე ვაზნები შემოელია. იარაღი იქვე დააგდო და ტყისკენ გაიხედა. ამ დროს იყო, ტყე რომ შეინძრა უცცრად, მერე მიწამაც რყევა იწყო და შექანდა, გადაფერდდა დედამიწა... თითქოს მკერდში ცხელი შამფური გაუყარესო, საშინელი ტკივილი იგრძნო. მუხლები მოეკეცა და მიწაზე პირალმა გაიშლართა. მიხვდა, რომ კვდებოდა. ცას ახედა მიწავლებული თვალებით და ღმერთს შესთხოვა: „უფალო, შემინდე ცოდვები და შენ მიწყალობე აზატობა!..“

ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე მხედარი ამოვიდა თხემზე. შანგია პირალმა ეგდო ლოდებშუა, სისხლში მოთხვრილი.

– ეს ის არ არის! – თქვა ერთმა და კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ შეათვალიერა ცხედარი.

– როგორ თუ არ არის? აბა, ვინ არის ეს ოხერი? – გაკვირვებით ჰკითხა მეორემ.

– ეს შანგიაა, თემრაზ ჩქოტუას ყურმოჭრილი ყმა.

– აბა, რატომ გვესროლა ამ ლორის-შვილმა?

– ყაჩალები ვეგონეთ ალბათ.

– იარაღი ვინ მისცა ყმას, ან აქ ვინ დააყენა გამთენისას?..

– იარაღი ბატონისაა. ყოველთვიურად ნადირის ხორცი ემართა ბეგრად. ალბათ სანადიროდ იყო გამოსული...

– ჩვენზე ინადირა ამ ძალისშვილმა?!

– დაიყვირა შავჩოხიანმა და უსულო გვამს წიხლი ჩაარტყა.

არაფერი უგრძნია შანგიას. მისი დამცირება უკვე შეუძლებელი იყო.

## გიორგი სიჭინავა

ც 1 1 1 ४ ८



### პროზაული ფიქრები ლექსად

არ ჩერდება მზე და მთვარე,  
დედამიწაც მუდამ ბრუნავს,  
რაც დრო-ჟამმა მომიტანა,  
ისევ უკან დაიბრუნა.  
ვინ დასწოდება ამ სამყაროს  
სიღრმესა და სიდიადეს,  
ჯერ სადა ვარ, კიდევ ბევრი  
მოსახლელი ვალი მადევს.  
ბოლოს ღმერთი ამაცილებს  
ყველა ჭირს და განსაცდელსა,  
ამ სულს ზეცას ჩავაბარებ,  
მიწას – სულის ტანსაცმელსა.  
ეჭვებს მაინც ვერ ვიცილებ,  
სიმწრისაგან დამდის ოფლი,  
ვინ ვიქნები, რა ვიქნები,  
როცა ორად გავიყოფი.  
მოვიარე მთა და ბარი,  
ვის არ ვკითხე,  
ვის არ ვუხმე,  
ამაოა ყველაფერი,  
არვინ არის მოპასუხე.  
ერთხანს ფიქრით, ოცნებებით  
სულის სარეველა ვთოხნე,  
ვერაფერს რომ მივაგენი,  
გული ლექსით მოვიოხე.

### ის, რაც ზამხა წამიშალა

განწირულია დასავიწყებლად  
წარსული, უამით გადანისლული,  
არ ვიცი, ვინ ვარ და სად ვიწყები  
ან რა ხნისაა ეს ჩემი სული.  
სხეულს დაუდგენს დრო-ჟამი თარიღს,  
სულს ვერ შეიცნობს წლითა და რიცხვით,  
სული არასდროს ყოფილა მკვდარი,  
ამსოფლად მხოლოდ სამოსელს იცვლის.  
არ მახსოვს, ადრე ვიღვწოდი რარიგ  
და რას მიმზადებს ბედი ამჯერად,  
ან ეგ სოფელი, ბილნი და მდარე,  
კვლავ რა ცოდვისთვის მერგო სასჯელად.  
ხომ არ ვიდექი ჯვარმცმელთა ბრძოში,  
ხომ არ ვიძახდი: ჯვარს აცვით იგი!  
ბიბლიის ნაცვლად მე, ფუძემოშლილს,  
ხომ არ მწამლავდნენ დემონის წიგნით.  
ვინ შემახსენოს, რა გზები განვვლე,  
რამდენჯერ მძლია ვნებამ და ნდომამ,  
ჩემს სულში სავლე თუ იქცა პავლედ,  
ან თუ ირწმუნა აღდგომა თომამ.  
ასწლეულები გულგრილად დუმან,  
დროს არ ჰყავს მტერი და არც მოკეთე,  
იქნებ, ლაჩრულად ვიდექი ჩუმად,  
როცა პაატას თავი მოკვეთეს.  
ფიქრით, ოცნებით ველტვი წამიერს,  
ვარ ამნაირი ზნის და ბუნების,  
სალამოს რასაც მოვინანიებ,  
დილით მსხვერპლი ვარ იმავ ცდუნების.  
მაინც იმედით შევცქერი ზეცას,  
ცა ლურჯია და დაუსაბამო,  
რაღაც უცნაურს ველოდი დღესაც  
და მერამდენედ დავშვრი ამაოდ.  
სურვილებს უყვართ სულის წვალება,  
ფორიაქი და ამაო გარჯა,  
რა უნდა ნახოს კაცის თვალებმა,  
ირგვლივ დაღლილი ფერების გარდა?!  
ზოგჯერ თითქოსდა მანუხებს არც რა,  
ჭირისგან ლხენით ვსწავლობ განდგომას,  
ზამთარში ვერ ვგრძნობ ბუნების ჯვარცმას  
და გაზაფხულზე – მკვდრეთით აღდგომას.  
ახალი დღენი როცა ვინატრე,  
მუდამ წინ დამსვდა ჟამი განვლილი

და დღემდე მართავს სოფელს პილატე,  
ცოდვებისაგან ხელდაბანილი.  
ჯერ არ ჩანს ზღვარი და წყალგამყოფი,  
გაჩუმებულა ვარსკვლავთ კრებული...  
ჩემში კვლავ იბრძის, ვით იაკობი,  
სული, სხეულზე აჯანყებული.

ის ქაღალდის ყვავილები.  
სურვილები დამრჩა ობლად,  
მახარებდა რაიც ოდეს,  
რაც არ ჭკნება წუთისოფლად,  
არც ჰყვაოდა არასოდეს.

## მა და ჩემი პელურა

### პანთეონი

სულს შეჰყურია აგონია  
სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრით,  
ზოგს სამოთხე არ ჰგონია, –  
პანთეონის ლობის იქით.  
აღარ ცხრება დიდებისთვის  
ჯგლეთა, კამათი და დავა,  
მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის,  
სული რომელ მხარეს წავა.  
გვამი მიწას მიეჩვევა,  
სულს კი განსჯის მამაჩვენი,  
ზოგჯერ ერთურთს არ ემთხვევა  
ღვთის და კაცის განაჩენი.  
რაც სოფელმა დააწესა,  
თურმე სიზმარ იყო მიწის...  
გვამი პანთეონში წევს და  
სული ჯოჯოხეთში იწვის.

თითქოს ოდნავ აცივდა,  
დღეა ფერისცვალების,  
სამხრეთისკენ დაიძრნენ  
ჩრდილოეთის ქარები.  
შემოდგომის ტკივილის  
შეგუებას ვეცდები,  
ხეს ფოთლები დასცვივდა,  
დაგვტოვებენ მერცხლები,  
მაგრამ არსად არ წავა  
ჩემი სოფლის ბეღურა,  
ერთმანეთის ერთგულნი  
ვრჩებით უწინდებურად;  
თავზე ქუდი, სულ მუდამ,  
ჩვენებური გვეხურა,  
სადაც გვშობა ბუნებამ,  
იქ მოვკვდებით გლეხურად.

## ადამის გოდება

### ქაღალდის ყვავილები

შემოდგომა წყნარად მიდის,  
ჩაცხრა მცხუნვარება მზისა,  
უცხო ქალი ყვავილს ყიდის,  
ფერად ყვავილს ქაღალდისა.  
ტყუილს მოკლე ფეხები აქვს,  
მაგრამ ელტვის შორ მანძილებს,  
თურმე სადღაც ერთდებიან  
სიცრუე და სინამდვილე.  
ვიღაც უნუგეშოდ კვნესის,  
ქარი ქრის და სიცივეა,  
შორით ყალბი ფიცი მესმის,  
სადღაც ყალბი სიცილია.  
ღიმილი თუ ყვავილს ჰგავდა,  
ცრემლებიც ხომ ყვავილია...  
თურმე ერთგულების გარდა  
ყველაფერი ადვილია.  
ახლა დაეჭვების დროა  
და ტკივილით გადის წლები...  
ზოგჯერ ჩემთან ჩუმად მოაქვთ

სადაც არ ვიყოთ მე და შენ,  
იქვე გაჩნდება მესამეც,  
ამ ბოროტ წუთისოფელში  
სატევარს მუდამ ლესავენ.  
ღალატის მარადისობით  
გულში ისარი მესობა,  
სიზიფეს ნაცვლად აღმართზე  
დღეს ჩემი სული კვნესოდა.  
აღარ მშორდება წარსული  
და შენ სულმუდამ მახსოვდი,  
ნეკნი ამტკივდა ისევე,  
როგორც კი მომიახლოვდი.  
ისა ხარ, სხვა ვინ იქნები,  
იმავე ცოდვით გიცანი,  
არაფერი არ შეცვლილა,  
დრო-ჟამი გამოვიცვალეთ.  
ზეცამ აბელი იძვილა,  
მიწამ ამრავლა კაენი,  
სამყარო გამიუცხოვდა,  
მესაუბრება სხვა ენით.

ცბიერს ბრძენკაცი ვუწოდე,  
დაცემას – სულის ცხონება,  
ვინატრე კაცთა მოდგმისთვის  
გველის ჭუა და გონება.  
ვდგავარ აღმართზე და ვხარობ  
ამოზიდული ლოდითა,  
მაგრამ კვლავ დამიგორდება, –  
ასეა ხვედრი ცოდვილთა,  
გადაქანცული მოვდივარ  
გაუგებრობის სოფლიდან,  
ის, რაც სიბრძნის ქვა მეგონა,  
საფლავის ლოდი ყოფილა.

## დროსთან კამათი

არ მეგობრობ არავისთან,  
არ გსურს არვის ნახვა,  
უცნობივით ჩაივლი და  
წარსულისკენ წახვალ.  
თუ ვერ შეგასწარით თვალი,  
უნდა ვენდოთ გუმანს, –  
რომ წარსული მომავალთან  
სულ ერთ წრეზე ბრუნავს.  
წუთისოფლის სიმფონიას  
მოაქვს მძაფრი განცდა,  
ბადებს მწარე ირონიას  
სურვილები კაცთა.  
დაატარებ ველურ ვნებებს  
გაუხედნავ მერნის,  
ქვეყნად შენი დაურვება  
ჯერ ვერ შეძლო ვერვინ.  
ქაოსიდან შობილ ყოფას  
კვდომის შიშით ზაფრავ,  
ვინ გარგუნა ამა სოფლის  
გვირგვინი და დაფნა.  
ვიცი, მალე მიმატოვებ,  
დღეს შემიცვლი ლამით,  
სულზე კი ვერ იბატონებ  
თუნდაც ერთი წამით.  
წუთისოფლად მეფედ გიცნეს,  
ზეციერს ვერ წვდები...  
გესტუმრე და მოგიციცქნე  
თვეები და წლები.

## დარჩელი

„სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული...“  
გალაკტიონი

არ ვიცი რისთვის, არ ვიცი რატომ,  
მომენატრა და წავედი მარტო,  
მაგრამ არ დამხედა „ჩემი დარჩელი“,  
ვერ დამიბრუნებს მას თვით გამჩენიც

მე ახლა ისევ ეულად ვრჩები,  
ქარს წაუღია ბავშვობის წლები.  
შემოვიარე შუკები ვიწრო  
მხედებოდნენ, მაგრამ ვერავინ მიცნო,  
ძეხორციელის უმწეო ხსოვნას,  
განა შეეძლო წარსულის პოვნა?

## იმაზი

ოქროს ქალამნებს იცვამს  
და მაინც ბედზე წალვლობს, –  
არ აღმოაჩნდა ვისაც  
მარტივი ყოფის ალლო.  
გქონდეს იმედი ხვალის  
და ნუ გექნება მეტად,  
თვალმა დალიოს წყალი,  
გულს გაუნელებს სევდა.  
არ მოშორდება თვალებს  
მიუღწეველი ახლო,  
მუდამ ხვალ არის ხვალე,  
სადაც იმედი სახლობს.  
ლარნაკში ჩამჭკნარ ყვავილს  
უიმედობა ერქვა...  
მაინც იმედი ხვალის  
ნუ მოგიშალოს ღმერთმა!

## მაინც უნდა ნავიდე

ვცდილობ, მაგრამ თავს ვერ ვაჩვევ  
ამ ცვალებად ამინდებს,  
რამდენიც რომ დიდხანს დავრჩე,  
მაინც უნდა წავიდე.  
გული ჩემი ეჭვით წვალობს,  
როგორ მინდა, ცდებოდეს,  
თვითონ ხომ არ გაგეცალო,  
სანამ მოგბეზრდებოდე.  
მიჭირს იმედების პოვნა  
და თავს მორცხვად გარიდებ,

რამდენიც რომ შემაყოვნო,  
მაინც უნდა წავიდე.  
არავისთან არ გსურს დავა,  
ხარ მარადის მდუმარი,  
ამ სოფლიდან მე რომ წავალ,  
სხვა მოგივა სტუმარი.  
მიმორბიან სადღაც ახლოს  
დრო და უამის მსტოვრები,  
ვინც წავიდა, არვინ გახსოვს,  
არც მე გემახსოვრები.  
ვცდილობ, მაგრამ სულს ვერ ვაჩვევ  
წუთისოფლის ამინდებს,  
რამდენიც რომ დიდხანს დავრჩე,  
მაინც უნდა წავიდე.

### სერიუმის დორთა

მაღლორენქო, სერ-უკმელა,  
ითამ აშო დუმართინი,  
ამსერ გვალო შხვა რექ დო ვარ  
კინ თინა რექ, ლუმა რდინი...

თხუმში  
(ოცქვაფური)

ჯიმაცალო საიმენდო,  
საცოროფო თხუმე,  
ვამთასექ, ვამირგექ,  
სქანით ქემოირთუმ.  
  
ჩქინო ვარე თავადიში  
მოინალე ჭყონი,  
სი ორექ ჭკორეფინკემა  
მართალი დო ბონი.  
არძა ჩქიმი გაჭირება  
სქანდა მუკომპონე,  
სქან იმენდით ფთასუნექ დო  
სქან იმენდით ფხონგ,  
ჩქიმი შური ქოთომცალო  
სქან ცას გილამცონ.

თხუმში დანდა,  
თხუმში ბოგა,  
თხუმში დიშქა,  
თხუმში ოდა,  
თხუმში ქვიჯე,  
თხუმში კუბო...  
სი ორექ ჩქიმი მინჯე  
დიხაში ჟი დო  
დიხაში თუდო.  
  
ჯიმაცალო საიმენდო,  
საცოროფო თხუმე,  
ვამთასექ, ვამირგექ,  
სქანით ქემოირთუმ.

### გენეზი

მა ვორექ ცენჯი, –  
ცოდაში მოჯგირე,  
ნტება მოკო დო  
ინგირი მოძინე.

კორკილი<sup>1</sup> ბძირი –  
ჟი მაბუდ ხოკო,  
რინა თეჯგუა  
მა ხოლო მოკო.

დაბადებაშე  
ათუხე თუდო  
დო ართო მოულ  
ცუდე დო კუბო.

გილვორექ შარას,  
ჭარაშ მონდურე,  
მა უმინჯურო  
ოკო დობლურე.

სო მეულ, ჩქიმე ინგირი,  
სო რე მიხურთქინექნი,  
მუთ გიჩინა, ეთეურე  
ზღვას ქიმშადინექნი.

რზენიში სანძლოს ითებუქ  
მალალი გვალაში დგნაბად,  
ზღვა, ჩხანა დო ქარ-ბორია  
გინგოჩევანც მუნაფათ.

აშო ჭვემათ დუმართუქ,  
აშო ნირსო დუმართუქ,  
აშო თირო დაუმართუქ...  
მუკი-მუკი გუმართუქ.

ინგირი

აკა წუნც ვესვანჯეგე,  
გილუ ღორონთიში ნძალა,  
მიბურჯანქ დო ზღვაშა მეილ  
თირ გვალაშე გვმნაჭვალა.

ენოუნქ სქან რობუს,  
მუთა გიჩქ გინორთიში,  
დლასგ ვაგაბანდლუ შარა  
გენურაფილ ღორონთიში.

მა შარას ქიგლაფსქიდი,  
ირფელ ართო აკვათე,  
ეშმაკიში გოზაკვილქ  
ვამიჩქ ნამ ზღვას ვაკათე.

<sup>1</sup> ცენჯი – ლტოლვილი.

<sup>2</sup> კორკილი – კუ.

## უკვი ჭირნახულით ხელდაგშვენებული

მიმდინარე წლის 10 მაისს 80 წელი შეუსრულდა ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, აფხაზეთიდან დევნილ შემოქმედს გიორგი სიჭინავას.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ქართველი მკითხველი ბატონ გიორგის იცნობს, როგორც პროზაიკოსსა და პოეტს, პუბლიცისტსა და ჟურნალისტს. ეს მრავალმხრივობა თანაბრად არის გაჯერებული ხალასი ნიჭით, ნოვატორობითა და ცხოვრების ღრმა ცოდნით. რაც მთავარია, კალმის პირველი მოსმიდან დღემდე მისი მთავარი იარაღი მუდამ იყო სიმართლე, პირდაპირობა და უკომპრომისობა, ამაზე მეტყველებენ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოცემული მისი რომანები, რომლებშიც დაურიდებლად არის მხილებული კომუნისტური სინამდვილის მანკიერებანი. კალმით ბრძოლა შემდეგშიც მოუხდა გიორგი სიჭინავას, როდესაც იგი, ამჯერად უკვე როგორც გაზეთ „აღდგომის“ რედაქტორი, არ ეპუებოდა სისხლითა და ნგრევით მოსული პუტჩისტების დაშინებებსა და რეპრესიებს; გიორგი სიჭინავა დღესაც შეურიგებელია იმ სიმახინჯეთა მიმართ, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ ფესვი გადგმული ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

გიორგი სიჭინავა უმამო შვილების თაობას ეკუთვნის, რომელთა მშობლები მეორე მსოფლიო ომს შეენირნენ. მეტიც, მას მამა თვალითაც არ უნახავს და არც მისი სითბო ღირსებია, რადგანაც მამამისი, ორესტი სიჭინავა, მის დაბადებამდე იყო ომში განვეული და სამუდამოდ შერჩა ყირიმის ტრამალებსა თუ კატაკომბებს. დედამ, ქალბატონმა ბაბილინა ჭანტურიამ, დიდი გაჭირვების მიუხედავად, ღირსეულად გაზარდა ქალ-ვაჟი და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მშობლიური დარჩელიდან ცხოვრების დიდ გზაზე ღირსეულად გასუ-

ლიყო ჩვენი იუბილარი. მის თაობას კარგად ახსოვს გიორგი სიჭინავას თამამი პირველი ნაბიჯები, ის თავდაჯერებული პირველი განაცხადი, რომ შემოქმედის მხატვრული კალამი მოემსახურებოდა მხოლოდ სიმართლეს და ყოველგვარ მანკიერებათა მხილებას.

გიორგი სიჭინავამ ერთნაირად მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო როგორც ქართულ პროზას, ასევე პოეზიას. მის დიდი ხნის წინათ დაწერილ მოთხოვნებსა და რომანებს არც ახლა დაუკარგავთ აქტუალობა, ამიტომაც კარგი საქმე იქნებოდა მათი ხელა-ხალი გამოცემა, ამით თანამედროვე მკითხველი, პირველ რიგში, ჩვენი ახალგაზრდა თაობა, უკეთესად გაიგებდა, თუ რამდენად სერიოზული შემოქმედია ბატონი გიორგი. იგივე შეიძლება ითქვას მასზე, როგორც პოეტზე. გიორგი სიჭინავა საკუთარი ხელწერის მქონე ლირიკოსია მეტაფორული აზროვნებით, მდიდარი ლექსიკით, ღრმა და წრფელი განცდით, მახვილი, დაკვირვებული ხედვით....

გიორგი სიჭინავა სოხუმში წლების განმავლობაში რედაქტორობდა ლიტერატურულ ჟურნალ „რინას“. აქედან მოყოლებული, დღემდე ნაყოფიერად და შინაარსიანად მოღვაწეობს იგი, როგორც რედაქტორი და გამომცემელი. დღეს ბატონი გიორგი ჟურნალ „აიას“ რედაქტორ-გამომცემელია და უმთავრესად მისი დამსახურებაა, რომ ამ ჟურნალს უამრავი მკითხველი ჰყავს.

გიორგი სიჭინავამ ეს 80 წელი თავაუღებელ შრომაში გალია. მას არასოდეს ჰქონია ლალი და დალხინებული ცხოვრება, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მისი ოჯახიც დევნილად იქცა და ხშირად იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ სადმე თავისთვის დამჯდარიყო და ეწერა. ახლა ამას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული

პრობლემები დაემატა, თუმცა საგანგაშო არაფერია და გვჯერა, რომ სულით კვლავაც ძლიერი და მომავალ გეგმებზე მოფიქრალი მწერალი კვლავაც დიდხანს გაახარებს მკითხველს თავისი დახვეწილი, შინაარსიანი შემოქმედებით.

გილოცავთ, ჩვენო სახელოვანო მეგობარო, ამ ლამაზ, მშვენიერ იუბილეს – ლამაზსა და მშვენიერს სწორედ შენი ნიჭიერი, მართალი კალმის, შენი პატიოსნებისა და

წესიერების, შენი ღირსეულად გამოვლილი გზის წყალობით! გისურვებთ ამ გზის კვლავაც დიდი ხნით გაგრძელებას, მტკიცე ჯანმრთელობას, ოჯახურ სითბოსა და სიკეთეს. დაე, კვლავაც დიდხანს ემსახურე შენს სათაყვანებელ სამშობლოს, კვლავაც მრავალჯერ გაგვახარე – შენ ხომ კიდევ ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი!

უფალი იყოს შენი მფარველი წუთისოფლის ამ გრძელ და ძნელ გზაზე!

გურამ აბაშიძე, მურმარ ზაქარაია, ლუარა გამყრელიძე, ირინა ტალიაშვილი, ზაურ გახარია, რობერტ აეტრიაშვილი, ჯემალ შონია, ლაშა გვასალია, გურიონტოგაია, გია ხუგუა, ედემ კვირტია, ტიტე მოსია, გულიკო ხარჩილავა, კახა მოლაშება, გურამ მოლაშება, ნონა ერგალია, მურმან ხუცილავა, ვახტანგ ხარჩილავა, ვალერი გაბელია, კახა ქეცხაია, თენა ზაქარაია, დავით ზაქარაია, განგული ხუგუა, თორნიკე ძავშჩაია, რაისა მუზიჩენკო, ზურაბ კვარაცხელია, ალინა ბალიშვილი, ანზორ სიჭინავა, მადონა მაძალარია, კოტე ნაზარეგია, სოსო ლაგვილავა, ედემ იზორია, ზაჟალ ჯალალიძე



გიორგი სიჭინავა, გია ხუპუა, ზაურ მოლაშხია

## გიორგი სიჭინავას 80 წლის თემითური მისაღობაზე შეხვედრი

გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოსა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრს, არაერთი პროზაული და პოეტური წიგნების, მათ შორის გახმაურებული რომანის „უტუ მიქას“ ავტორს ბატონ გვანჯი (გიორგი) სიჭინავას ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. ფასდაუდებელია ბატონი გიორგის, როგორც პროზაიკოსის დვანლი ქართული ლიტერატურისათვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მწერალი უშიშრად ილაშქრებდა საბჭოთა წყობისა და თანმდევი მანკიერი მოვლენების წინააღმდეგ, რომლის გამოც ის არასასურველ ავტორად მიიჩნეოდა ოფიციოზის მხრიდან და მოკლებული გახლდათ „ჩინ-მედლებსათუ ტემლაკებს“. მისთვის მთავარი ილიასეულდად, მწერლის დანიშნულება და მამულიმვილური მოვალეობის აღსრულება გახლდათ. მაგრამ იდეური პრინციპების პირუთვნელ დამცველსა და ღირსეულ კალმოსანს განსაკუთრებული სიყვარული ერგო მისი აღმატებულება მკითხველების მხრიდან და მთელი ცხოვრება უდიდეს ჯილდოდ სდევდა და სდევს ეს პატივისცემა და მოზინებითი დამოკიდებულება. გემოვნებიანმა მკითხველმა მის არაერთ რომანთან და მოთხობასთან ერთად, გამორჩევით შეიყვარა რომანი „გვირილების მინდორი“ და მოთხობა „ივანე და დაბმული ძალლი“.

ჩვენი საუკუნის გარიურაჟზე მკითხველმა სითბოთი და სიყვარულით მიიღო პოეტური კრებულები ქართულ და მეგრულ ენებზე და



სხვა დიდებული წიგნები.

თუმცალა, მწერლის მთავარ ნაწარმოებად ჩჩება „უტუ მიქა“ – ჩვენი ქვეყნის ავტედითი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი პერიოდის ამ-სახველი მხატვრული და მაღალოსტატური ქმნილება. უტუ მიქასა და მართალია თოდუას, რომანის მთავარი გმირების, ყოფისმიერი წეს-ჩვეულებანი, მას შემდგომად, მისაპატი გამხდარა მრავალი ახალგაზრდისა და დაკვირებული მკითხველისათვის. მწერლის შემოქმედების საგანი და თემა სამშობლოს თავისულებისა და პიროვნული ღირსების დასაცავად ბრძოლაა, რომელსაც ხერხემლად გასდევს ტრადიციისა და საუკუნეებით მოპოვებულ ზენ-ჩვეულებათა სიყვარული. თუმცა ავტორი არასდროს მორიდებია უზნეობისა და მანკიერ წეს-ჩვეულებათა სააშეარაოზე გამოტანას და დაგმობას!

გიორგი სიჭინავა სოხუმში რედაქტორობდა აფხაზეთის მწერალთა კავშირის ერთადერთ ბეჭვდით ორგანოს – უურნალ „რინას“. ვისი ხელმძღვანელობის დროსაც აღმანახმა ძველ აღიარებასთან ერთად შეიძინა სიცინცხლე, რაც გამოიხატებოდა, ახალგაზრდა და „შერისხული“ ავტორების წარმოჩენასა და მხარდაჭერაში.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბატონი გიორგის როლი ეროვნულ მოძრაობაში და ლეგენდარულ გაზიერ „აღდგომის“ რედაქტორობა, აფხაზეთისა და სოხუმის დაცემა, ემიგრაციი გადახვენა ოჯახთან ერთად და „მეორე ეტაპი“ მის შემოქმედებასა და მოლვანეობაში, რომლის გვირგვინი გახლდათ უურნალი „აია“.

ბატონი გიორგი მრავალმხრივი და უანრმავალი შემოქმედია, მას უმუშავია თითქმის ყველა მიმართულებით ლიტერატურაში და ყველგან წარმატებით. შეძლო გამოეკვეთა საკუთარი სტილი და ხმა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა მისი განვითარებისა და გამრავალფეროვნების საშუალები.

მოგესალმებით, ბატონო გიორგი, თქვენი მეგობარი მწერლები, გილოცავთ ამ მეტად მნიშვნელოვან საიუბილე თარიღს და ჯანის სიმრთელესთან ერთად გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს საფიცარი ქვეყნისა და ძვირფასი ოჯახის საკეთილდღეოდ!

მრავალუამიერ!

პატივისცემით,

**საქართველოს მცხოვრილი კავშირის  
სამეცნიერო რეზილიერი  
ორგანიზაცია**

## სიკეთისა და სილამაზის შემოქმედი

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ წლების განმავლობაში და ამჯერადაც ისტორიის სახელმძღვანელოებში სამეგრელოს გლეხთა აჯანყებისა და მისი მეთაურის – სახალხო გმირის უტუ მიქას შესახებ ძალზე მწირი და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვანი ინფორმაცია იყო მოცემული. ეს ისტორიული ფაქტი და მისი გმირობის ამბავი უმნიშვნელო სახის მოვლენად იყო მიჩნეული, რასაც მთელი რიგი სუბიექტური და სხვა სახის მიზეზი აქვს.

მაშინ, როდესაც ისტორია, მეცნიერება ხანდახან დუმილს არჩევს, პოეზია და მწერლობა იტვირთავს ხოლმე ჭეშმარიტი ისტორიკოსის, მემატიანის როლს; ხშირად მეცნიერის, ისტორიკოსის სათქმელს მწერალი, შემოქმედი იტყვის და ამგვარად ნათქვამი ისტორიული სიმართლე ადგილად აღწევს თავის მიზანს და უმაღ იპყობს მკითხველის გულს. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მწერალ გიორგი სიჭინავას ისტორიული რომანი „უტუ მიქა“. როგორც იტყვიან, რომანი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი; მასში აღწერილია არა მარტო სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ისტორია და მასთან დაკავშირებული პროცესები, არამედ თითქმის დოკუმენტურად, ისე როგორც ეს ნამდვილ ისტორიულ რომანს შეეფერება, მაღალი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი, ოდესმე ძლევამოსილი ქართული სახელმწიფოს შემადუღაბებელი კუთხის – სამეგრელოს ტრაგიკული წარსული, გაუხარელი აწმყო და ნათელი მომავლის იმედი, ისტორიული პერსპექტივა.

რომანი, ისევე როგორც გიორგი სიჭინავას შემოქმედება, საინტერესოა ფილოსოფიური თვალსაზრისით. იგი ძალზე ღრმა ფილოსოფიური საზრისისა და პლასტების მატარებელია. ზოგიერთი მისი პრესონაჟი ნიცშეს „ზარატუსტრას“ მოგვაგონებს (ვალურია ქარდა), ხოლო მის მთავარ გმირში პერსონიფიცირებულია მთელი კოლხური ცივილიზაციის საუკეთესო ღირებულებითი მახასიათებლები: სიბრძნე, სიკეთე, სილამაზე, რაინდული სულისკვეთება

და მოყვასისა და ქვეყნის სიყვარული. მისი პათოსი ზოგადსაკაცობრიო სახის მატარებელია – ესაა პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლა, რასაც უტუ მიქას თავისუფლებისა და თანასწორობის ფორმულა: „კაცის კაცი არ უნდა იყოს!“ – ადასტურებს. ადამიანი თავისუფლებისთვისაა გაჩენილი და თუ რაიმესთვის ღირს ამქვეყნად ყოფნა და ბრძოლა, ესაა თავისუფლება.

მწერალი და შემოქმედი გიორგი სიჭინავა სწორედ რომ თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი უშიშარი რაინდია. მას არ შეშინებია მაშინ, როდესაც ყოველნაირად ებრძოდნენ ეროვნულ იდეალებს და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას ხელს უშლიდნენ. ყოველივე ეს მან ზვიად გამსახურდიას გვერდით დგომით დაადასტურა. იგი დღემდე დარჩა ეროვნული იდეალების ერთგული.

გიორგი სიჭინავა თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, შემოქმედებითი საქმიანობითა და პატრიოტიზმით, კაცურიმოყვარეობით ადასტურებს, რომ შემოქმედება, ახლის ქმნა და საზრისის ძიება ცხოვრების განსაკუთრებული წესია და ამ წესით მცხოვრები ადამიანები უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებენ.

ცალკე თემაა გიორგი სიჭინავას ნოველები, მოთხოვნები და საოცრად ფილოსოფიური პოეზია. მისი შემოქმედებითი სამყარო გამორჩეულია ღრმა ესთეტიზმით, რომელიც კანტის „დაუინტერესებელ მზერას“ მოგაგონებს კაცს. ესაა სიკეთისა და მშვენიერების ესთეტიკა – „გვირილების თესვა“, ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ტექნიკური ცივილიზაციის ზეობისა და ზეხელოვნურობის სტადიაში მყოფ ადამიანურ ყოფას, გიორგი სიჭინავა გვირილების მთესველად გვევილენა.

რაც შეეხება გიორგი სიჭინავას პოეზიას, უმაღ მარტინ ჰაიდეგერის სიტყვები გაგახსენდება: „ენა ყოფიერების სახლია“. არავინ არ იცის (და ალპათ თვითონ პოეტმაც), თუ როგორ ახერხებს პოეტი გიორგი სიჭინავა, მეგრულ ენაში ჩაასახლოს და ოსტატურად ჩააწინა ყოფიერების იდუმალებით მოცული

შრები. ამ საქმეში მას ბადალი არ ჰყავს და, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ის მეგრულ - ლა-ზური სიტყვისა და ლექსის დიდოსტატია.

სინტერესო შემოქმედი, პროზაიკოსი და პოეტი გიორგი სიჭინავა კიდევ უფრო საინტერესო და მომხიბვლელი ხდება ახლობლების, მეგობრებისა და მისი სათაყვანებელი კოლე-გების წრეში ქართულ სუფრასთან. ქართულ სუფრასთან მასთან ერთად გატარებული დრო

შემოქმედებითი აზროვნების ზეიმი და შეუც-ნობლის შეცნობის მორიგი ვირტუოზული გაკ-ვეთილებია ყველასათვის.

### **ბატონი გიორგი!**

გილოცავთ 80 წლის იუბილეს და გისურ-ვებთ ბედნიერებას და სიკეთეს. ბერთოლდ ბრეხტისა არ იყო, ულევი, ულევი სიკეთე გე-კუთვნით თქვენ, რადგან სიკეთისა და სილა-მაზის შემოქმედი ბრძანდებით.

**ირაკლი კალანდია,**  
ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი,  
პროფესორი,  
საქართველოს ფილოსოფიურ  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,  
**პახა ქეცხაძია,**  
ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი,  
პროფესორი,  
საქართველოს ფილოსოფიურ  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



\* \* \*

ვულოცავთ გამოჩენილ მწერალსა და საზო-გადო მოღვაწეს, ორენოვან კალმოსანს ბატონ გი-ორგი სიჭინავას 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ულევ სიხარულს შემოქმედებით წარმატებებთან ერთად. ბატონი გიორგი ჩვენთვის, ახალგაზ-რდა მწერლებისთვის მუდამ მისაბაძი და ბიძგის მიმცემი გახლდათ, მისი დიდებული მეგრული

პოეზია ხალხის უდიდესი მოწონებითა და სიყვა-რულით სარგებლობს. ის ზეპირად იციან, ხშირად კითხულობებ სხვადასხვა საჯარო შეხვედრებსა თუ საიუბილეო და ლიტერატურულ საღამოებ-ზე. სახალხობა ხომ ასე ყალიბდება, და იქცევა ადამიანური სიყვარულის ბიბლიად.

ღმერთმა მრავალ იუბილეს მოგასწროთ ჯანმრთელობითა და წარმატებით!

პატივისცემით

**ახალგაზრდა გემოქმედთა გაერთიანება „ეორეას“ სახელით:**  
**გერდია ხელაძე, ლიტო გეთია, მარიამ ცავავა, ლექსო გერიშვილი, მარიამ კორტავა**



## კახა მოლაშეია, გვანცა მოლაშეია

### **„რინა მოკო პელაზგური“**

1996 წლის ერთი ჩვეულებრივი საღამო იყო. მამაჩემი, ზაურ მოლაშეია, განსხვავებულად გახარებული მოვიდა სახლში. მითხრა, ჩემს სიყრმის მეგობარს გიორგი სიჭინავას შევხვდი, ის აფხაზეთში ცხოვრობდა და აქტიურად ვერ ვკონტაქტობდით, თუმცა, ახლა ძირითადად თბილისში იქნება, გეგმები აქვს, უურნალ „აიას“ გამოცემა უნდა და ანი უფრო ხშირად ვნახავთ ერთმანეთსო...“

მისი სიხარულის მიზეზიც სწორედ ეს ხშირად ნახვის შესაძლებლობა იყო.

მწერალ გიორგი სიჭინავას იმ პერიოდში ვიცნობდი როგორც გაზეთ „აღდგომის“ რედაქტორს, იმ გაზეთისას, რომლის ფურცლებზე გამოტანილ მართალ სიტყვას უამრავი ქართველი სულმოუთქმელად ელოდა. ისიც კარგად მესმოდა, რომ 90-იან წლებში, სამხედრო კრიმინალური გზით მოსული ხელისუფლების მიმართ ესოდენ კრიტიკული გამოცემის რედაქტორობა საკუთარი სიცოცხლით გარისკვას ნიშნავდა და ამისთვის ტყვიის პირისპირ იარაღით ხელში დგომაზე არანაკლები ვაჟუაცობა იყო საჭირო.

მალევე წილად მხვდა ბედნიერება თავადაც შევხვედროდი და მას შემდეგ, გიორგი სიჭინავას პირადად გაცნობა და უურნალ „აიას“

დაბადება ჩემთვის ერთმანეთთან ასოცირდება.

ბავშვობის მეგობრობა ნამდვილად განსხვავებული გრძნობაა, იმ პერიოდიდან მოყოლებული მართლაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბ-ნი გიორგი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო და ამისთვის სულაც არ იყო საჭირო რაიმე განსაკუთრებული მიზეზის არსებობა.

ბ-ნო გიორგი, წლები წლებს მიემატა და უკვე ოჯახის ახალგაზრდა წევრებსაც არაერთი ტკბილი მოგონება გვაკავშირებს თქვენთან. მეამაყება, რომ ჩემი ცოტნეს ნათლია ბრძანდებით და მამაჩემთან თქვენი პირადი მეგობრობა, აგრე უკვე წლებია, ოჯახებს შორის ნათელმირნობაში გადაიზარდა. მრავალუამიერ, ლერთმა ნუ მოშალოს თქვენი ფეხი ჩვენს ოჯახში.

წერილის სათაური თქვენივე წიგნის ერთერთი განყოფილებიდან ვისესხე. ის კარგად ასახავს თქვენს ცხოვრებისეულ კრედოს – ქვეყნის სიყვარული, ერთგულება და პატრიოტობა თავის თავშივე გულისხმობს წარსულის მემკვიდრეობის კარგად გააზრებას, მის მოვლა-გაფრთხილებასა და შთამომავლობისთვის შეურყენელად გადაცემას.

აქვე მინდა მოვიყვანო მამაჩემის თქვენდამი მოძღვნილი ლექსი:



### რად დუშესართ, გზებო...

გიორგი სიჭინავას

რად დუშესართ, გზებო, წლებო ბავშვობის,  
სახურავებო – ჩამოთოვლილო...

რად გვიღრენს ეს დრო – სისხლის გამშრობი,  
ძმაო დევნილო! ძმაო ლტოლვილო!

გული, მრავალჯერ სევდით მოხნული,  
ისევ გამხნევებს, რომ გადარჩები...  
სიზმრად მოგტირის შენი სოხუმი,  
გადაბუგული ბორგავს დარჩელი!

თუმცა ღლიცინებს მნარედ მომხდური,  
შენ მაინც უნდა შენი აშენო...  
არ დაგანებებს ჯიში კოლხური –  
არ თქვა ბოლომდე სიტყვა საშენო!

უხსოვრობიდან დრო-უამს მოხეთქილს –  
ჯერარსმენილი წამლით ვწამლობდით...  
და საქართველო – დიდი კოლხეთი  
კვლავ ამაღლდება უფლის წყალობით.

2010 წ.

ზაურ მოლაშხიას ოჯახის სახელით გილოცავთ 80 წლის იუბილეს. ღმერთმა ჯანმრთელობა  
და ენერგია არ მოგაკლოთ, რომ კიდევ მრავალი წელი ასე ლირსეულად და თავდადებით ემსა-  
ხუროთ თქვენს ქვეყანასა და მართალ სიტყვას.

უფალი გფარავდეთ!



## დაგელოცოს კალამი!

ჩემო გიორგი! სულით და გულით გილოცავ ლი შენი პროზაული და პოეტური ქმნილებებიც  
დაბადების ამ მშვენიერ თარიღს – 80 წელი ხომ პირველ რიგში სიმართლეს, სიკეთესა და ზნე-  
შენი გამარჯვებით არის აღსავსე, შენი გზის ობას ქადაგებენ. შენი ქართული და მეგრული  
გამართლებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ლექსები ძალიან შეიყვარა მკითხველმა სწორედ  
რადგან ცხოვრების იოლი გზა არ აგირჩევია; ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გამო. ასეთი-  
მწერლის გზა ისედაც ძნელია, ისეთი მწერლის ვეა შენი პროზაც, ხოლო სქელტანიანი რომანი  
გზა კი, რომელიც კალმითაც და აქტიური სა- „უტუ მიქა“ შენი შემოქმედების გვირგვინად და  
ზოგადოებრივი მოწოდებითაც ემსახურება თანამედროვე ქართული მწერლობის უმნიშვნე-  
ხალხს, კიდევ უფრო მეტ სიძნელესთან და ლოვანეს შენაძენად მიმაჩნია!  
რისკთან არის დაკავშირებული.

შენ ამ სიძნელეების არ შეგშინებია, რვა მოძრაობაში, გაზეთ „აღდგომაზე“, უურნალ „აი-  
ათეული წლის აღმართი ისე ამოიარე, რომ არც აზე“, ჩვენს ტაშკენტის ოცდახუთზე, სადაც ჩვენ  
პრინციპები, მრნამსი არ შეგიცვლია და არც სულ ერთად ვიყავით, ვართ და ვიქნებით.  
შენი კალამი მოუთვინიერებია სუსხიან დროს, დიახ, ვიქნებით, ჩემო ძმაო, რადგან მჯერა,  
როდესაც ყველა შემოქმედს თავზე ადგა ხი- რომ კვლავაც გაგვახარებ შენი წიგნებით, კვლა-  
ლული თუ უხილავი ცენზორი კომუნისტური ვაც აისრულებ შემოქმედებით გეგმებს.  
საზოგადოებისა.

შენ მაშინაც მეამბოხე იყავი და ის ადრეუ- დღეები ჩვენს აფხაზეთში აღგვენიშნოს!

მაგალი ხუგუა

## საღვთო ჭურეტან მისული

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, თქვენ, ბატონო გიორგი, მოგილოცოთ დაბადებიდან 80 წლის იუბილე...

თქვენ, მრავალთაგან გამორჩეულმა „სხვამ“, ყველაფერზე წინ დააყენეთ დიადი საქმე - ჩვენი ქვეყნის ისტორიული, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა. თქვენ მოუხმეთ მუზებს! მუზებმაც არ დააყოვნეს მოსვლა!

მუზები უმეტესად სულით სათნოებს ემოყვრებიან...

თქვენ იშვიათი ნიჭის მაღმერთებელთა გულის გასახარად შეძელით შეგექმნათ დახვენილი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები. თქვენ თან იახლეთ მშვიდობა, რწმენა და პატიოსნება, რამაც, დიდი განსაცდელების მიუხედავად, მოგიყვანათ დღემდე, რითაც თქვენმა ქარიზმამ და თქვენმა სამწერლო გარჯილობამ გაიმარჯვა, ჯილდოების, ცრუ ხოტბაშესხმის, რეკლამების

გარეშე გაიმარჯვა!...


დრო ყოვლისმპურობელის დასარეკს რეკავს.

დრო, ციალშენარევი დრო, ცისა და მიწის ხელშესახები ხის კენწეროდან ჩამოიფერთხა და წინ დაგილაგათ ოთხმოცი ფურცელი - ოთხმოცი წელი. ო, ეს იმ ფერმანძილთა დაპორიზონტებაა, სადაც კეთილგონიერს ეიმედება ღმერთი და არა მთელი თავისი არსებობის მანძილზე დაგროვილი საწუთისოფლო ღვაწლი. აქვე სათავეს იღებს „საღვთო ჭვრეტის“ მსურველთა ლოცვით გამოთხოვილი წლები.

ღმერთმა მოგმადლოთ თქვენ, ბატონო გიორგი, თქვენი სავსე („მწიფე“) ცხოვრებისათვის საჭირო კვლავ არაერთი გადასახედი.

გისურვებთ მხნეობას და მომავალ წარმატებულ საქმიანობას!..

**თორნიკე ქავშვაია**



## ქადაგი ქათებულის გულწრფელი მიღოცა

იუბილეს ვულოცავ ბატონ გიორგი სიჭინავას. მადლიერი ვარ და გულწრფელად ვიზიარებ მოსაზრებას მის რომანზე „უტუ მიქა“. დიდებულია, დაუკინებარი და გულშიჩამნვდომი ეს შესანიშნავი ნაწარმოები; თუმცა შემზადებული ვიყავი სხვა ადამიანებისგან მოსმენილით და უურნალ „მიჯნის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ბატონი მურმან ზაქარაიას წერილებით... რეალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

„ეგო“-ს და „კოსმო“-ს თავსებადობა მიწიერი ცხოვრებისა და ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრი და მასაზრდოებელია... თუ პირველი ადამიანურ ლირსებას, მსოფლმხედველობას, ცნობიერს და ქვეცნობიერს, საკუთარი ხალხის სიყვარულს, სარწმუნოებრივ, ისტორიულ და მრავალ სხვა შრეს და ფენას მოიცავს... ტრაგიკული ფინალი კი, შემზარავი, მაგრამ მეტყველია... ვიხსენებ შექსპირს, თუნდაც ლორკას, და, საერთოდ, ყველა დრამატული ნაწარმოების ტრაგიკულ ფინალს...

ყველა კეთილდღეობას ვუსურვებ გენიოსის კალამს, მას რაღაც ზეციერი ძალის მიერ ბოძებულ მადლით ძალუძს ამ და სხვა ხერხებით მკითხველზე გასაოცარი იმედის და სიკეთის ჩამსახველი ზემოქმედება. ხაზგასმით აღნიშნა იმავე ლორკამ ლიტერატურული ნაწარმოების უმთავრეს ლირსებაზე, რომ ის – ნაწარმოები – მკითხველისთვის უნდა იყოს საინტერესო.

მწერლის, ისტორიის მკვლევარის კვალდაკ-

ვალ ისტორიულ კოლიზიებში და პერეპეტიებში იძირები, პერსონაჟთა საოცარ ამბეჭს ისმენ, ბევრ რაღაც ნაცნობს და ძვირფასს პოულობ. ამას ემატება სიყვარული და აღტაცება მშვენიერი მშობლიური ლანდშაფტების აღწერისას და რაც მთავარია, ქართული ენა, ანკარა მდინარე-სავით რომ მოედინება. ვინ იცის, იქნებ საკუთარ თავსაც ეძებ და პოულობ და კიდევ ბევრი სხვა რამ, უხვად რომ არის მიმოფანტული ძვირფასი კრისტალებივით რომანის ფურცლებზე. ქალური გადმოსახედიდან მაინც გამოსტაცებს, გამოარჩევს გონება რაღაც ეპიზოდს, თვალწინ გაგიელვებს ან ტატული, ან თუთაცირა. პირველი სიყვარულით და სათნოებით რომ გაგაოცებს, მეორე კი სალ კლდესავით ცივი და სასტიკია, მერე კი – ნირნამხდარი და საბრალო; და, რა თქმა უნდა, დედოფალი, მშვენიერი, ცხენზე ამხედრებული და მომხდურთან საბრძოლველად შემართული.

ბევრია სათქმელი, თუმცა წერტილს ვსვამ. ისევ და ისევ გულითადად გილოცავთ, ბატონო გიორგი, ოთხმოცი წლის იუბილეს. იდლეგრძელეთ, დიდხანს გვეიმედებოდეს ერთმანეთი.

სპეციალურად არ ჩავლრმავებულვარ ლიტერატურული პრემიების „იერარქიაში“ და იმედია, ძალიან გაბედულ ნათქვამზეც არ დამძრახავენ, ჩემთვის კი უდავოა, თავად შოთა რუსთაველი არ დაიშურებდა ამ ძვირფასი ნაწარმოებისთვის თავისი სახელობის პრემიას.

### პოეტი ეთერ აგარონოვა

## ԽԱՂԵԱ ԶՄՅՈՒՅԵՅՑԹ

### ЖИЗНЬ КАК ФАКЕЛ (Юбилею Георгия Сичинава посвящается)

В нынешний торжественный юбилей, талантливого поэта и прозаика, создателя исторических произведений Георгия Сичинава, мне хотелось бы пожелать ему в будущем еще несколько десятилетий такой же мастерской, интереснейшей творческой деятельности в качестве романиста, мыслителя и поэта.

Его рассудительная, оригинальная проза, над которой он очень много работает, просто очаровывает и захватывает, проникает в самые сокровенные и глубинные уголочки сердца современного читателя. Сколько чувств, эмоций, переживаний затрагивают нас в этих книгах. Мы ими и восхищаемся, и гордимся, и отдаём дань труду и мысли писателя, мыслям, поистине выстраданным всей жизнью, всеми ее мгновениями, переживаниями Георгием Сичинава на его нескончаемо плодотворном, нелегком пути.

Пройдя тревожный путь,  
И тягостный, и бренный,  
Как Прометей зажег  
Вновь пламя для людей,  
Наполнив свежим духом  
Истоки родников  
Сокрытых, заржавевших  
Покрытых пленкой отторженья.  
Вдыхать же полной грудью  
Ты учишь молодых,  
И даже умудренных;  
И тех, кто жизнь прошел,

\* \* \*

Подборка нынешних моих стихов, как кажется мне, почти стопроцентно верно отражают его чуткие, утонченные переживания и всечасно одолевающие беспокойные думы – поскольку одухотворенность поистине мистическая отличает этого человека в нашем эгоистическом современном мире.

Это будто олицетворение какой-то космической глыбы, титаническое напряжение мыслительной деятельности – и глубина проникновения в изучаемый материал; это постижение проникновенное, девственное и истинно природное. То есть совершенное.

Сколько вдумчивых, духовных размышлений вложено в материал текста: сколько правильно направленных плодотворных патриотических подъемов для молодежи родило все, им созданное.

Невозможно забыть, осться равнодушным и безучастным, изучая и беря на вооружение такие эпохальные произведения.

И верящих в себя.  
Не уронив достоинств,  
Гордости и чести,  
И сохранив весь аромат  
Цветов и ощущений –  
Всех тех, что в памяти твоей  
В твоей вмещающей душе.  
Огонь невидимый – он пышет  
Все ночи, утра, вечера...  
И создаешь гореньем мысли  
Труды, склоняясь дотемна...



## მუსიკაზე ზაქარაია

# „უტე მიქა“ გამარჯუბა

სამშობლოს ბედზე მოფიქრალი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი სიჭინავა აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ზედაპირული გაცნობაც საკმარისია, რომ დავრნმუნდეთ მისი ნიჭის მრავალფეროვნებაში; შესაბამისად, ფართოა მისი მოღვაწეობის დიაპაზონიც: პროზა და პოეზია, პუბლიცისტიკა, უურნალისტური საქმიანობა რაიონული გაზეთის ლიტმუშაკობიდან აფხაზეთში გამომავალი ერთადერთი ქართული ალმანახის – „რინის“ რედაქტორობამდე.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლები, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით ხასიათდება, გიორგი სიჭინავასთვის ახალ ასპარეზს ხსნის. მწერალი ამ პროცესებს სულიერად და მორალურად სრულიად შემზადებული შეხვდა. მას უკვე გამოცემული ჰქონდა მოთხოვნების კრებულები: „დაბრუნება“, „სამი ცისფერი რგოლი“, „მოლოდინი“, რომანები: „გვირილების მინდორი“ და „უთვისტომო“, რომლებშიც იმ დროისთვის ძალზე გაბედულად იყო დასმული საკითხი პიროვნების თავისუფლებისა ეროვნული თვითმყოფადობის კონტექსტში, ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მისი აქტოური მონაწილეობა კანონზომიერი იყო. გიორგი სიჭინავა იყო გაზეთ „აღდგომის“ რედაქტორი და ერთ-ერთი გამომცემელი, ხოლო ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ დააარსა უურნალი „აია“, რომლის მთავარ რედაქტორად დღემდე მუშაობს.

განსაკუთრებულია მისი მოღვაწეობა მეგრულ ფოლკლორსა და პოეზიაში.

\* \* \*

რომანში დიდი სოციალური კონფლიქტის ფონზე მიმდინარე თავდაცვითი ომის მოქმედებითი აღწერით ხდება ისტორიული სიმართლის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნა. რომანი ილებს ეპოპეის სახეს.

მისი შემოქმედებითი გამარჯვებაა ის, რომ მან მოახერხა იმ გლეხების სულიერი სამყაროს წარმოჩენა, რომელთაც ყოველგვარი სოციალური თუ პოლიტიკური უფლებები წართმეული ჰქონდათ. მათგან ჩამოაყალიბა მოფიქრალ და მოაზროვნე ადამიანთა მთელი დასი და გვიჩვენა, რომ ძველთაძველი კოლხური გენოკულტურის შემნახველი და მანარმოებელი სწორედ ხალხია და არა გადაგვარებული, კოლაბორაციონალისტი ზედაფენა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. ამას ადასტურებს უტუს მჭევრმეტყველური სიტყვა, წარმოთქმული გენერალ კოლუბიაკინის „უტუს ლაშქართან“ შეხვედრის დროს. ის ამბობს: „ომერ ფაშას ჯარის გასვლის შემდეგ ბატონებმა დაიწყეს ბავშვების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა. ჩვენი ბატონები თვით ისმალებზე უფრო სასტიკი გახდნენ, პირუტყვი უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ჩვენ“ (იქვე, გვ.45). ამ საშინელებას აღწერს მწერალი და ამის გამო მას ბრალი დასდო სამეგრელოს თავად-აზნაურების ზედმეტად გაკრიტიკებაში, ეს უვიცობაა.

შეიძლება ითქვას, რომ მან არათუ გადააჭარბა მაშინდელი სამეგრელოს თავად-აზნაურთა კლასობრივი (სოციალური) სახის დახატვაში, არამედ ზედმეტად ფაქტოლოგიურადაც კი აღწერა ის. ზედმინევნით რეალურად გვიჩვენა მათი ადგილი და როლი აჯანყების გაჩაღებასა და ამ ცხელ კვალზე სამეგრელოს სამთავროს გაუქმების დაჩქარებაში.

ავტორის სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო მაღალმხატვრულ დონეზე გადაწყვიტა ჩვენი ისტორიის და ისტორიული რომანებისთვის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, – ხალხის როლის და ადგილის წარმოჩენა ისტორიის განვითარებაში. რომანის მთავარი საზრისის მატარებელი პერსონაჟები სწორედ რომ ხალხის წიაღიდანაა წამოსული.

ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ მათი უმრავლესობა რეალური პიროვნებები არიან და მათი ცხოვრების შესახებ თითქმის ყველაფერი დეტალურად ახსოვდა ხალხს, არაფერი რომ არ ვთქვათ სასამართლო ოქმებზე, სხვადასხვა წარდგინებაზე („დანო-

სებზე”), მაღალი წოდების პირთა ახსნა-გან-მარტებებზე და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ძალზე რთული ვითარების წინაშე დგება ავტორი, ის ან უნდა დაჰყვეს ამ მშრალი ისტორიული ფაქტების მიმდინარეობას და მაშინ უცილობლად დაზარალდება შემოქმედების მხატვრულ-შემეცნებითი მხარე, ან საერთოდ უარი თქვას ამ ისტორიულ რეალობებზე და სრულად ყველაფერი დაუმორჩილოს საკუთარ შემოქმედებით სურვილებს და მაშინ აუცილებლად დაზარალებს არა მარტო ისტორიულობას, არამედ თვით რეალიზმს, როგორც შემოქმედებითობის მთავარ საზრისა. მაგრამ ეს თითქმის დილემური სიტუაცია მშვენივრად გადაჭრა ავტორმა ისე, რომ შეძლო ისტორიული სახის შენარჩუნება როგორც თვითონ მოვლენისთვის, ასევე საკუთრივ ამ მოვლენათა წარმმართველ თუ მონაწილე ყველა პიროვნებისთვის. ამას-თან, არც მხატვრულ-შემოქმედებითი მხარე დაზარალებია და არც რეალიზმს მისდგომია რაიმე ჩრდილი. მაგალითისთვის, მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთხელ (ჩვენ ზემოთ, „ფიქტის კაცთა“ სახის დახასიათებისას, საკ-მაოდ შევეხეთ მთავარ გმირთა პიროვნულ ხასიათს) მივაქცევთ მთავარი გმირის – უტუ მიქას პიროვნების ფორმირების ერთი შტრიხის – მჭევრმეტყველების ნიჭის ავტორის მიერ მხატვრულად გააზრებას.

უტუ მიქას, როგორც სახალხო ტრიბუნის, ფორმირებაზე ზემოთ დამონშებული მონოგრა-ფიის ავტორი წერს: სამჭედლო შეიქმნა უტუს-თვის საუკეთესო შეოლა ხალხის ფართე მასის გასაცნობად, მათი რეალური მდგომარეობის აღსაქმელად. თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ მჭედელს პატივს სცემდნენ და სცემენ სამ-ღვდელოების თანასწორად, როგორც საღვთო პირებს, ნებ.სოლომონის თანამიმდევრებს (ი.ქო-ბალია), ჩვენთვის ცხადი შეიქმნებაო უტუს პიროვნების ფართო პოპულიზება. ყოველი უბრალო გასაჭირისთვის ხალხი მიმართავდა მჭედელს თავისი პრობლემის ახსნისთვის. მჭედელი ძალაუნებურად უნდა გამხდარიყო გულთმისანი. ამგვარმა ისტორიულმა ტრადი-ციამ „უტუს მზამზარეულად მისცა მართებული საშუალება, ნათლად წარმოედგინა ხალხის საშინელი სინამდვილე, მისი ჭირი და ვარამი“. ასე ყალიბდება უტუს ცხოვრების ობიექტური, რაციონალისტური მხარე. მაგრამ, როგორც მონოგრაფიის ავტორი გვიხასიათებს, არა-ნაკლებ საინტერესო იყო მისი სუბიექტური,

ინდივიდუალური თვისებები. წერა-კითხვის მცოდნე და მჭევრმეტყველი, ის მთელი არ-სებით ემტერებოდა თავგასულ ბატონებს, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა თავის სიტყვაში, ბავშვებს იტაცებდნენ და ყიდდნენ, ხოლო ხალხს უფრო უარესად ექცეოდნენ, ვიდრე ომერ ფაშას ოკუპანტი ჯარისკაცები. ამიტომ „ყოველგვარი საშუალებით შურს იძიებდა მათზე თავის თანამომეთა საუკუნეებით შეურაცხყოფის გამო“ (იქვე, გვ.71). მისივე თქმით, რუსის მოხელის მიერ ასეთი დახასიათება აჯანყების ლიდერისა ბევრად არ სცოდას, უტუს სახელის ხსენება მთელ სამეგრელოში დღესაც პოპულარულია (XX საუკუნის ოციანი წლები), ყოველ მოხუცს შეუძლია მასზე რამდენიმე მაგალითის აღნუსხვა, სადაც ნაჩვენები იქნება თავადაზნაურობასთან შეურიგებელი განწყობის დასადასტურებლად. მათდამი ასეთი მისაბაძი და საანდაზო ნიმუშად ქცეული გმირი დიდი მხატვრულობით, პოეტურად (მოიადურად) გააცოცხლა მწერალმა. მას ახლებური სული მთაბერა, რაც მთავარია, ხალხის წიაღიდან წამონეული გმირებით არცთუ განებივრებულ მწერლობას შესძინა ნამდვილი სახალხო ლიდერისა და ტრიბუნის ქეშმარიტი სახე.

უტუსთვის სახალხო ტრიბუნის წოდების „მინიჭებაში“ არც ისტორიოგრაფია და არც მწერლობა რომ არ აჭარბებს, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ზუგდიდის ოლქის მმართველ, სახალხო პოეტს, რაფიელ ერისთავს დედოფალი ეკატერინე მოსთხოვს: „მომიყვანეთ სამეგრელოს რევოლუციის დანტონიო“ (იქვე, გვ.71). ეს ფაქტი ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ „თამამ“ მოსაზრებასაც ადასტურებს, რომ სამეგრელოს გლეხთა ეს აჯანყება რაღაც შეზღუდული, ღრმად ბატონყმურ ჩარჩოებში ჩაკეტილი მოვლენა კი არ ყოფილა, არამედ ის წარმოადგენდა პოსტბონაპარტიისტული ევროპული სახალხო მოძრაობებისა და რევოლუციების ლოგიკურ გამოძახილს. ამიტომ, რაგინდ ირონიულად არ ეთქვა მას ეს ფრაზა, მთემელიც და გამგონიც კარგად გრძნობდა, რომ ამ სახალხო მოძრაობას ასულდეგმულებდა ის ზოგადი იდეალები, რომელიც აბობოქრებდა ევროპის კონტინენტს. ხოლო რაც შეეხება ბელადობას – აჯანყების ლიდერობას, საკუთრივ მხედართმთავრულ ნიჭს, უტუ ამ საკითხშიც შესაბამის სიმაღლეზე დგას.

უტუს განკარგულებაში იყო 14000-იანი

ლაშქარი. მან შეძლო, ამ სამხედრო საქმეში განუსწავლელი უბირი გლეხებისგან შეექმნა ისეთი ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც, როცა ჯერი დადგება, შეძლებს, შეებრძოლოს რუსის რეგულარული ჯარის დანაყოფებს. მონიღრაფის ავტორი აღნიშნავს: უტუ თამამად მიუძღვის წინ ამ ლაშქარს, რაც ნათელს ყოფს მოსაზრებას, რომ ის არ იყო დაშორებული სარდლობის მთავარ მოთხოვნილებებს, რომ მას შეეძლო თანამიმდევრულად დაეცვა წესრიგი და სიმტკიცე ამ „ზღვა ხალხში“. ეს არ გამორჩენია კოლუბიაკინს, რომელიც მეტად გაკვირვებული რჩებოდა უტუს ლაშქრის ამ თვისებებით და მიაწერდა მას დასავლელობის გავლენას (იქვე გვ.73). მაშასადამე, დასტურდება იგივე მოსაზრება, რომ ამ აჯანყებაზე იდეური გავლენა აქვს დასავლეთს და არა რუსეთს. რათქმა უნდა, აჯანყებას ამ მსოფლმხედველობით წარმართავს მხედარმთავარი, ამიტომაა, რომ ხალხმა მას ადგილობრივი „დადიობა“ არ აკმარა, არამედ „კეისრობა“ უბოძა და ისევ დასავლეთს დაუკავშირა. უტუს ჯარის დანახვაზე გაიძახოდნენ, „კეისრის ჯარს გაუმარჯოს“, მას უზენაესი მმართველის სახელი მიანიჭეს (იქვე, გვ.73, შენიშვნა 1).

ასეთ სიმაღლემდე აიყვანა ის ხალხმა, მისი  
მაღალნიჭიერებისა და მხედრული თვისების  
გამო, ამიტომ იყო, რომ მიუჟედავად მთა-  
ვარმართებლის – ბარიატინსკის ბრძანებისა,  
ვერც კოლუბიაკინმა და ვერც დიკრუსიმ გაბე-  
დეს მისი დაჭერა, სანამ მყარად არ მოიკიდეს  
ფეხი სამეგრელოში. ისინი ატყობინებდნენ  
მეფისნაცვალს: „უტუს დაკავება ხელახლა  
დაბადებს გლეხებში ახალ ალელვებასო“ (74).

ამ ისტორიული ფაქტებისა და მოფიქრალ  
კაცთა „ტრიოს“ სუბიექტური თუ აბიექტუ-  
რი თვისებების მაღალმხატვრულად აღნერით  
ავტორმა შეძლო ხალხის სულისკვეთების  
ჭეშმარიტად გადმოცემა, მის სააზროვნო სიღ-  
რმეებში ჩახედვა, მათი გენოკულტურული და  
ფსიქომორალური საზრისმომცველობის, გონე-  
ბით საწვდომი სამყაროს ნარმოჩენა.

ამდენად, რომანში ეპოქის სულის, სუბი-  
ექტური თუ ობიექტური სამყაროს მამოძრა-  
ვებელი ძალების, საზრისის გამსაზღვრელი  
ხალხია. ამიტომ ეს ისტორიული რომანი ხალ-  
ხის სულისკვეთების და მისგან მომდინარე  
სიმართლისა და სამართლიანობის ათვისების  
და განვრცობადობის მასშტაბურობით აღ-  
ბათ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი უნდა იყოს

ახალი დროის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ნანარმოების საზრისმანარმოებელი უმთავრესი პერსონაჟები, ისტორიული თუ გამონაგონი, სწორედ რომ ხალხის წიაღიდან არიან გამოსულნი.

ჩვენი შეხედულებით, ძალზე საყურადღებო  
და მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველი მათგანი:  
მთავარი გმირი უტუ, მუდამ მართლის მთქმე-  
ლი – მართალია თუ მითავამდელი კოლხური  
სიბრძნის მატარებელი ვალურია, ყველა ისინი,  
მიუხედავად მათი გლეხური წარმომავლობისა,  
სრულყოფილი პიროვნებები არიან. მათი „მე“  
არ არის შეზღუდული ოდენ თავისი სოცია-  
ლური შიდა არსით, არამედ მათი სააზროვნო  
ენერგიის პოტენციალი შორს სცილდება კლა-  
სობრივი სტრუქტურის მიერ შემოთავაზებულ  
ურთიერთგანმზიდავ დაპირისპირებულობის  
ველს, ღრმად იჭრება როგორც საერთო-ნაციო-  
ნალურ, ასევე ზოგადსაკაცობრიო სივრცეებში.  
ამის დასტურად ავტორის მიერ უტუს მიმართ  
სიტყვაკაზმულად თქმულიც კმარა. ის უტუზე  
იტყვის: „რკინის მომთვინიერებული ადამიანი  
სხეულსაც ადვილად ათვინიერებსო, ასე იტ-  
ყოდა ხალხიო“.

ამ მოკლე წინადადებაში ავტორმა მოგვცა  
არა მარტო მთავარი გმირის, – კონკრეტული  
„მე“-ს ბუნებრივი სახე, არამედ დაკვირვებულ  
ქართველ მკითხველს აუცილებლად თვალწინ  
წარმოუდგება მეცნიერულად ყველა საფეხურ-  
ზე დადასტურებული და საყოველთაოდ აღი-  
არებული მეტალურგის მამამთავარი ხალიბ-  
ჭანების ტომი; ან კიდევ, მის მეწამლეობაზე  
მსჯელობისას შეუძლებელია არ გაახსენდეს  
ადამიანთა სხეულის მკურნალი, მედიცინის ეპ-  
ონიმი მედეა და კიდევ უფრო შორეული, მისი  
ბუნების წიაღთან შერწყმული, ბალაზეულობით  
წამლობის დიდი მანიპულატორი მამიდა –  
კირკე, რომელმაც ოდისევსის ამაღლა ღორე-  
ბად აქცია მათი ღორული საქციელის, უფრო  
უსაქციელობის გამო (ტყუილად არ უწოდა მას  
ვლ. ალფენიძემ „ღვთისმშობელი“). ამდენად,  
ავტორმა ერთ წინადადებაში ჩაატია მრავა-  
ლათასწლიანი ისტორია მეტალურგ-მეწამლე  
ხალიბ-ჭანებისა (ზანების) და მჭედელ-მეწამლე  
ჯვარელი უტუ მიქას ბუნებრივ ნიჭიერებაში  
გააცნობიერა ის. ამაშია მისი შემოქმედებითი  
ნიჭის ძალა.

მაშასადამე, მოცემული კონტექსტით ხდება ლიტერატურით ისტორიისა და ისტორიზმის ასახვა. საკუთრივ ლიტერატურისთვის კი (ამ

რომან-ეპოპეისთვის) ისტორია (კონკრეტული ფაქტები) მოდელირებას ახდენს მთელი ჩვენი გენოკულტურისას: რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ.

მწერალს შეეძლო მზამზარეულად გადმოეტანა ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები, ზეპირსიტყვიერი მოცემულობები, მაგრამ ამას ის ხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში აკეთებს – კონკრეტული ისტორიის მხატვრულად ასახვის პროცესში ახდენს ეროვნული საზრისმომცველობის, გენოკულტურული მოცემულობების წარმოჩენას, მითოლოგიზმებში კი ერის სულიერი სამყაროს აღქმასა და სინამდვილის (ჭეშმარიტების) მეტაფორულად გააზრებას... ამასთან, ეპოქის სიტუაციური ანალიზის მეშვეობით, ამყარებს მსოფლმხედველობრივ (იდეურ) კავშირს ევროპულ რევოლუციურ თუ პოლიტიკურ პროცესებთან და წარმოაჩენს ამ შიდარეგიონალური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების სახეს. ის მთლიანობაში ასახავს მოდგმის (ერის) სახის მაიდუნტირებელ სულიერ სამყაროს თანამედროვეობის თვალსაწიერიდან.

რომანში და ისტორიულადაც უტუ გამარჯვებული გმირია. მისი სოციალური ბრძოლის ნაყოფი ჩანს... ბატონყმობა გაუქმებულია... ზღვარდაუდებელ ჩაგვრასა და თავგასულობას თავადაზნაურობისას, მართალია, უსამართლო, მაგრამ მაინც დაკანონებული ზღვარი დაედო... ის მოესწრო ყველაზე მთავარს: ხალხის მისადმი უსაზღვრო ნდობის აღდგენას... სწორედ ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნითა და რუსული რეჟიმისადმი ზენოლით მოხდა მისი მშობლიური წენდიხის თემის პირველ მამასახლისად არჩევა.

ამდენად, უტუ ნამდვილი სახალხო გმირია, ხოლო ტრილოგია „უტუ მიქა“ – სრულყოფილი რომან-ეპოპეა. თავისი მხრივ, როგორც ლიტერატურული თეორიის თუ კრიტიკის თვალსაზრისით მიღებულია, ეს უკანასკნელი, „რომანი – ეპოპეა ეპოსის მწვერვალია და რეალიზმის უმაღლესი გამოხატულება“ (ა.ჩიჩერინი). მაშასადამე, ტრილოგია „უტუ მიქა“ მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ერთ-ერთი „უმაღლესი მიღწევა“, რადგან მასში სრულყოფილადაა აღწერილი როგორც სათანადო ეპოქის ცხოვრების პანორამა, ასევე ხალხის სულიერი სამ-

ყაროს შემოქმედი ძალა, რომელსაც, როგორც ავტორი განმარტავს: რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეთნოსის ამ სულიერ ღირებულებებს მაინც ის ბოგანო მასა ქმნიდა... ხალხური გენი ყოველგვარ ვითარებაში მუშაობდა და იღვნოდა; ეს ცხოვრებისეული საზრისის შემოქმედი ადამიანები ქმნიდნენ ეპოქალურ შედევრებს – ეპოსებს, ზღაპრებს, ცეკვა-თამაშებს და ამით ცხოვრებას უფრო საინტერესოს და მომხიბვლელს ხდიდნენ, მაშინ როცა წოდებრივი ზედაფენის ღირსებად ამ ეთნიკური სულიერების შემოქმედი ხალხის მორჩილებაში ყოფნა მიაჩნდათ. სწორად მიუთითებს ავტორი, მათ ამ „ლირსების“ ულირსობის შეგრძნების უნარი არ გააჩნდათო (121). ასე შეეძლო ავტორმა მოდგმის ეპოქალური სურათის დახატვა და იმის დადასტურება, რომ ყოველგვარი შემოქმედება მიუთითებს შემოქმედზე... ქართული რომან-ეპოპეის უკანასკნელი მოპიკანი ხომ არ იქნება ეს კლასიკური სტილის ტრილოგია, ამას მომავალი გვიჩვენებს ალბათ.



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზოად გამსახურდისა პრესკონფერენცია მოსკოვში 1991 წლის 3 ივნისს



3 ივნისს, მოსკოვში ყოფნის დროს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზოად გამსახურდიამ გამართა პრესკონფერენცია საზღვარგარეთელი და ქართველი ურნალისტებისათვის, პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი.

პრესკონფერენციას დაესწრო 60-ზე მეტი კორესპონდენტი, კერძოდ, მსოფლიოს შემდეგი ქვეყნებისა და საინფორმაციო სამუალებათა წარმომადგენლები: ფინეთი – „ტურქ სანომატი, იაპონია – გაზეთი „ჰაკაჰატა“, ლიტვა – მუდმივი წარმომადგენლობა, რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „სამარტინი“, მოსკოვი – „გრუზინსკოე სლოვო“, რადიო „როსია“, დიდი ბრიტანეთი – „ბრიტანია“, ინგლისის ტელევიზია – „ტე-ე-მი“, დიდი ბრიტანეთი – „ფაინენშლ ტაიმსი“, იაპონია – „ასაჰი“, აშშ – ურნალი „ნიუს უიკი“, რადიოსადგური „ეხო მოსკვი“, კანადა – გაზეთი „ტორონტო სტარი“, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი, დიდი ბრიტანეთი – „გარდიანი“, საფრანგეთი – „მონდი“, ფინეთი – „ჰელსინკი სანომატი“, დანია – „ბეილიგსკე ტიდენდე“, რუსეთის ტელევიზია, საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის – მოსკოვი, დიდი ბრიტანეთი – „როიტერის“ სააგენტო, იაპონია – „კიოდო ცუსინი“, ქუვეითი – „საფთალ ქუვეითი“, იტალიის ტელევიზია, საკდესი, „როსიისკაია გაზეტა“, ლატვია – მუდმივი წარმომადგენლობა, „მოსკოვსკი ნოვოსტი“, მოსკოვი – „გრუზინსკოე სლოვო“, რადიო „როსია“, დიდი ბრიტანეთი – „ბი-ბი-სი“, საკდესი – მსოფლიო სამსახური.

პრესკონფერენციას ფართოდ და ობიექტურად გამოიხმაურნენ სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებანი. თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ ამ პრესკონფერენციის შესახებ გადმოცემულ კომენტარში ჩვეულებისამებრ შეეცადა ფაქტების დამახიჯებას, კერძოდ, კომენტარში გაყალბებული იყო პრეზიდენტის პოზიცია სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მიმართ, და ეს მაშინ,

როდესაც პრეზიდენტის ყველა განცხადებაში ნათლად ჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკა ხელს არ მოაწერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას და რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უცვლელი რჩება.

დღეს გთავაზობთ ამ პრესკონფერენციის  
ანგარიშს.

ზ.გამსახურდია – რომელ ენაზე გსურთ ვისაუბროთ, რუსულად თუ ინგლისურად? გთხოვთ წარმოგვიდგინოთ თავი. ვინ დაიწყებს?

კითხვა – რის შესახებ იყო საუბარი გუშინ-დელ შეხვედრაზე კრემლში?

პასუხი – საუბარი იყო რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობაზე. გუშინდელი შეხვედრა გაიმართა იმ მიზნით, რომ ლონდონში წასვლის წინ შექმნან იღუზია რაღაც ერთიანობისა. მე ვფიქრობ, სსრკ-ის პრეზიდენტი ცდილობს დასავლეთში მოახდინოს შთაბეჭდილება, რომ მას რესპუბლიკებისაგან აქვს თანხმობა 9+1 ხელშეკრულებაზე, თუმცა შეხვედრაზე იყვნენ იმ რესპუბლიკების წარმომადგენლებიც, რომლებმაც უარი განაცხადეს, ხელი მოაწერონ სამოკავშირო ხელშეკრულებას. იქ ესწრებოდა ჩვენი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. იყო ძალიან გულახდილი საუბარი სსრკ-სთან ჩვენს ურთიერთობაზე. მინდა გადმოგცეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გუშინ პრემიერმა პავლოვმა გამოგზავნა. ეს ნიშავს ეკონომიკური ომს საქართველოს წინააღმდეგ, საიდანაც ჩანს, თუ რა ურთიერთობაა ცენტრსა და საქართველოს შორის, ეს არის რეალური ეკონომიკური ბლოკადა, საქართველოს დისკრიმინაცია და ეკონომიკური ბლოკადის დასაწყისი ჩვენს წინააღმდეგ. ამ დოკუმენტით პავლოვი უბრძანებს შინაგან ჯარებს ყველა სასურსათო რეზერვის კონფისკაციას. მე მინდა გადმოგცეთ თქვენ ეს დოკუმენტი. დღეს დასავლეთს უცხადებენ, რომ მათ კარგი დამოკიდებულება აქვთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან და საქართველოსთან, რომ არანაირი დანოლა არ არსებობს და მომავალი ურთიერთობა შესანიშნავი იქნება. აქვე აცხადებენ იმასაც, რომ არავითარი ძალდატანება არ მოხდება ბალტიისპირეთისა და საქართველოს რესპუბლიკებზე, რათა სსრკ-ის შემადგენლობაში დარჩენ - იანაევმა ეს „შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა. ამ დროს კი პავლოვი ასეთ ბრძანებას იძლევა. შეადარეთ მათი სიტყვა მათ საქმეს, თუ როგორ შეესატყვისებიან ერთმანეთს.

კითხვა – ბი-ბი-სის ტელეკომპანიის კორე-პონდენტი – როგორია თქვენი აზრი გორბაჩოვისათვის ამერიკის დახმარების თაობაზე. თქვენ მომხრე ხართ თუ წინააღმდეგი და რატომ?

პასუხი – მე მომხრე ვარ სსრკ-ში რეალური რეფორმისა, რაც რესპუბლიკების ნამდვილდამოუკიდებლობას გულისხმობს. მაშინ ეს ჭეშმარიტი რეფორმა იქნება. ამის გარეშე და კომუნისტური სისტემის ლიკვიდაციის გარეშე სსრკ-ში არაფერი შეიცვლება. მათ კი არაფრის შეცვლა არ სურთ. პავლოვი ძალიან კონსერვატიული და რეაქციული კომუნისტია. სანამ პავლოვის მთავრობა იარსებებს, არავითარი რეფორმა არ იქნება. მხოლოდ ნამდილი რეფორმების შემდეგ შეიძლება გაეწიოს დახმარება, მაგრამ ინვესტიციების სახით და არა კრედიტების სახით, კრედიტებისა, რომლებიც არავინ იცის, სად ქრება.

კითხვა – ე.ი. თქვენ დახმარების წინააღმდეგი ხართ?

პასუხი – მე დახმარების წინააღმდეგი ვარ, თუ არ იქნება რეფორმები, ნამდვილი რეფორმები. თუკი რეალური რეფორმები ჩატარდება, მაშინ, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია დახმარების გაწევა და მისი მომხრე ვიქნები.

კითხვა – შეგიძლიათ თუ არა გვითხრათ, როგორი ურთიერთდამოკიდებულება, როგორი კონტაქტებია მოსალოდნელი დასავლეთთან?

პასუხი – ჩვენ უკვე დავდეთ ხელშეკრულებები რამდენიმე რესპუბლიკასთან, მოლდოვას-თან, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან. ახლა მოსალოდნელია ხელშეკრულებები რუსეთთან და აზერბაიჯანთან. მაგრამ ჩვენ არა ვართ თანახმა, ხელი მოვაწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

კითხვა – რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს?

პასუხი – დიახ, ჩვენ ვამზადებთ აღმოსავ-  
ლეთ ევროპასთან ურთიერთდამოკიდებულე-  
ბების გეგმებს.

კითხვა – როცა სამოკავშირეო ხელშეკრულება ძალაში შევა, შეიცვლება თუ არა თქვენი დამოკიდებულება რუსეთთან და იმ რესპუბლიკებთან, რომლებიც ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ?

პასუხი – ისინი, რომლებიც ემზადებიან ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულებას შეინარჩუნებენ. ამჟამად სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი სათუოა. თქვენ, ალბათ, იცით, რომ

გუშინ უკრაინაში სერიოზული გამოსვლები იყო. კრავჩუკისაგან თხოულოდნენ, რომ ხელი არ მოაწეროს ხელშეკრულებას. დიახ, ვიმეორებ, სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი დღეს საეჭვოა.

კითხვა – (გვრიტიშვილი – საკდესის მსოფლიო სამსახურიდან)

პირველი შეკითხვა – რა არის მოსკოვში თქვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანი, რადგან აქ ხშირი სტუმარი არ ბრძანდებით?

მეორე შეკითხვა – გუშინ ბრიფინგზე გორბაჩივის თანაშემწემ დასავლეთელ უურნალისტებთან საუბრისას ახსენა თქვენი მოსალოდნელი შეხვედრა გორბაჩივთან. იცით თუ არა ამის შესახებ და პერსპექტივაში თუ არსებობს ასეთი რამ? იყო თუ არა ამაზე მოლაპარაკება?

მესამე კითხვა – ამ დღეებში თბილისში „კიშინიოვის ფორუმის“ მონაწილეთა შეხვედრა დამთავრდა. რას გვეტყვით მის შედეგებზე?

პასუხი – პირველი ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ამერიკის საელჩოს მოწვევა ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხება გორბაჩივთან შეხვედრას, მან გუშინ მიმიწვია კრემლში, მაგრამ ჩემი პრინციპი გახლავთ არ შევიდე კრემლში მანამ, სანამ საქართველო არ იქნება დამოუკიდებელი და თავითადი საბჭოთა კავშირისაგან. რაც შეეხება შეხვედრას, რომელიმე სხვა ადგილას, ეს ჯერ განხილვის საგანია და ეს საკითხი გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაწყდება.

მესამე – რაც შეეხება თბილისში „კიშინიოვის ფორუმის“, გუშინ გაიმართა ფორუმის მონაწილე სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ბატონი გიორგი ხოშტანია და ამის შესახებ იგი მოგითხოვთ, რადგან მე იმ დროს მოსკოვში გახლდით.

გ. ხოშტარიას პასუხი – ამ შეხვედრას ჰქონდა არა იმდენად სახელმწიფოებრივი, რამდენადც სახალხო მოძრაობათა მოქმედების კოორდინაციის საკითხი, შედეგებს ასე დავახასიათებდით: ცენტრი, როგორც რესპუბლიკებს შორის ურთიერთმოქმედების მექანიზმი, საჭირო არ არის. იგი ზედმეტი მექანიზმია. რესპუბლიკებითავისუფლად უკავშირდებიან ერთმანეთს და არავითარი ვერტიკალური სტრუქტურა არ არის საჭირო. მოკლედ, აი, ეს შემიძლია გითხოვთ.

კითხვა – თუ არიან საქართველოს ხელმძღვანელობაში ყოფილი კომუნისტები და თუ შეინარჩუნეს მათ პარტიის წევრობა?

პასუხი – საქართველოს ხელმძღვანელობა-სა და ხელისუფლებაში არის რამდენიმე კომუნისტი. მათ შორის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. მათ არავინ აიძულებს გავიდნენ კომუნისტური პარტიის რიგებიდან, არავინ სთხოვს პარტიილეთის გადაგდებას.

კითხვა – პირველი შეკითხვა – არსებობს თუ არა შესაძლებლობა, რომ ცენტრი სამხედრო ოპერაციებს გამოიყენებს თბილისში, როგორც ეს ბალტიისპირეთში იყო?

მეორე შეკითხვა – როგორ უყურებთ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და მონარქისტების კამპანიას, რომელიც მიმართულია სამხედრო ცენტრების პიკეტირებისაკენ?

პასუხი – პირველი – სამხედრო ოპერაციების ასეთი საფრთხე ყოველთვის არსებობს, მითუმეტეს, თუკი ცენტრში სამხედრო გადატრიალება განხორციელდება და ხელისუფლების სათავეში მოექცევიან შავი ძალები, როგორიცაა, მაგალითად, დეპუტატთა ჯგუფი „სოიუზი“ და მსგავსნი. მათი გამარჯვება ადრე უფრო სარწმუნო იყო, მაგრამ ახლა ნაკლებად სავარაუდოა.

მაგრამ გვაშფოთებს ასეთი დოკუმენტები. აյ პირდაპირ ნაბრძანები აქვს ჯარს ყველა სასურსათო მარაგისა და ყველა სახელმწიფო რეზერვის კონფიდენციალური. დიახ, კონფიდენციალური მისი გადაცემა სუკს, შსს და ჯარს. ე.ი. საქართველოში, სადაც ასეთი ძლიერი მიწისძვრა მოხდა და დაინგრა ნახევარი საქართველო, სადაც 160000 ადამიანი უსახლვაროდ, უპროდუქტოდ, ყოველგვარი სახსრის გარეშე დარჩა, აგზავნიან ასეთ დროს ამ ბრძანებას, რათა ყველაფრის კონფიდენციალური მოახდინონ. წარმოგიდგენიათ? ამას შეუძლია გამოიწვიოს შეიარაღებული კონფლიქტი, შესაძლებელია ისიც, რომ ასეთი პროვოკაციული ბრძანებით კონფლიქტამდე მივიდეთ, როგორც ეს ბალტიისპირეთში, ვილნიუსში მოხდა. რაც შეეხება პიკეტირებას, მისი გამოყენება ისევ სამხედრო ოპერაციების პროვოკირებისათვის შეუძლიათ. როცა ჩვენ ხელისუფლების სათავეში მოვედით, საქართველოში იყვნენ ძალები, რომლებსაც საერთოდ სურდათ სამხედროებთან შეჯახების პროვოკირება. ჩვენ ისინი დროულად დავაკავეთ და ამით სამქალაქო ომი და ინტერვენციის საშიშროება აღვკვეთეთ.

კითხვა – თქვენი დამოკიდებულება დღევანდელი მოპიკეტებისადმი?

პასუხი – ეს არ იყო სამხედრო თავდასხმა. ეს

გახლდათ მშვიდობიანი დემონსტრაცია. მაგრამ ისევე ძალზე სახიფათოა, ვინაიდან მოსკოვს შეუძლია ასეთი აქციების გამოყენება საქართველოში ჯარების გამოგზავნის საბაბად.

კითხვა – თქვენ უკვე გყავთ ეროვნული გვარდია, რომელშიც რამდენიმე ათასი კაცი მსახურობს. რა სახის შეიარაღება აქვთ მათ? შესაძლებელია თუ არა მათი გამოყენება საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ?

პასუხი – მათი შეიარაღება ჩვეულებრივია: ავტომატები, შაშხანები. ეს შინაგანი ჯარია – მილიციის ჯარი. ეს არ არის არმია. ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მილიციას კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლაში ეხმარებიან. დიახ, ეს არ არის არმია.

კითხვა – მათ თქვეს, რომ შემდგომში აპირებენ ჩამოყალიბდნენ, როგორც არმია.

პასუხი – ჯერ არა, ჯერჯერობით ეს გადაჭარბებული შეფასებაა.

კითხვა – საქართველოს ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და სხვა დაწესებულებებთან შეერთების გამო თქვენ სამსახურიდან გაათავისუფლეთ ამ ინსტიტუტის დირექტორი, სსრკ-ის სახალხო დეპუტატი ვალერიან ადვაძე, რის შედეგადაც მან დაკარგა სამუშაო, დაკარგა მან თავისი პროფესიული ჩვევებისა და ოსტატობის გამოყენების შესაძლებლობა. არის თუ არა ეს პრეზიდენტის არჩევნებში თქვენი ძირითადი მეტოქის მიმართ გარკვეული რეპრესიული ქმედება?

პასუხი – იგი მე არ გამითავისუფლებია. მე ასეთ საკითხებს არ ვწყვეტ. ამგვარ საკითხებს წყვეტს ეკონომიკური კომისია, რომელმაც ინსტიტუტების რეორგანიზაცია მოახდინა და იქ აირჩიეს სხვა. განა ეს ჩემი ბრალია? ჯერ ერთი, იგი იქ დანიშნული გახლდათ კომპარტიის, შევარდნადის, პატიაშვილისა და სხვათა მიერ. ახლა კი, როცა არჩევნები გაიმართა, იქ სხვა აირჩიეს. იგი ამჟამად ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კათედრის გამგეა. საერთოდ, მისი ფიგურა ძლიერ გაზვიადებულია. ვითომცდა ის გენიალური ეკონომისტი იყოს, სინამდილეში კი რიგითი ეკონომისტია. შეერთდა ორი ინსტიტუტი და შეიქმნა ახალი საფინანსო პროფილის ინსტიტუტი, სადაც გამოცდილი ფინანსისტი იყო საჭირო. ის მარქესისტული პოლიტიკური ეკონომისის ისტორიკოსი გახლავთ. ასეთი ისტორიკოსები კი ჩვენ აღარ გვჭირდება, რადგანაც აღარც მარქესიზმია ჩვენში და აღარც მარქესისტული პოლიტიკონომია. მეორეც, იგი ჩემი მე-

ტოქე არასოდეს არ ყოფილა. თქვენ შეცდომაში შეგიყვანეს. მე ხმების 87% მივიღე, მან კი 7%. ის ჩემთვის საშიში არასოდეს არ ყოფილა და არც მომავალში იქნება. ამაში გარმუნებთ.

კითხვა – (რადიოსადგურ „მოსკოვსკოე ეხოს“ კორესპონდენტი)

თქვენ გსაყვედურობენ, რომ სდევნიდით პოლიტიკურ მოწინააღდეგებს. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ჯაბა იოსელიანი. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

პასუხი – ჯაბა იოსელიანი ჩემი მეტოქე არ არის. იგი დიდი დანაშაულებრივი შენაერთის, შეიძლება ითქვას, „არაოფიციალური არმიის“, ბანდის ატამანია. მისი წევრების უმრავლესობას დანაშაულებრიი წარსული აქვს. მრავალი მათგანი რამდენჯერმე მსჯავრდებული არის ქურდობისათვის. მათ იარაღის მეშვეობით საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროფესიონალი რეკეტირები – რეკეტირთა არმია იყო და მთელი საქართველოს მოსახლეობას ძარცვავდა. მათი იზოლირება თვით მოსახლეობამ მოითხოვა და რასაც აქ ჯაბა იოსელიანზე წერენ, აბსოლუტური დეზინფორმაციაა. იგი პროფესიონალი ქურდია, ქურდობისათვის და ბანდიტობისათვის ოთხჯერ ნასამართლევი. ამ ბოლო ხანს პროვოკაციული ქმედებები დაიწყო. არმიასთან შეტაკებების პროვოკირებას ცდილობდა. მას დავალება ჰქონდა, საქართველოში სამოქალაქო ომი და ინტერვენცია გამოეწვია. და იყო კიდევ ამის ძალზე სერიოზული საფრთხე. მისი იზოლირება რომ არ მოგვეხდინა, ახლა საქართველოში სამოქალაქო ომი იქნებოდა, იმიტომ, რომ მას ჰყავდა 12000-იანი ჯარი, რომელიც მთელ საქართველოში საშინელებებს სჩადიოდა, ასე რომ, ნუ დაუჯერებთ ყოველგვარ ზღაპრებს.

კითხვა – კიდევ ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება. თქვენ, ასე ვთქვათ, პრესასთან კონფლიქტი გაქვთ. რამდენიმე ცნობა იყო იმის შესახებ, რომ აიკრძალა სხვადასხვა გამოცემა, რომ პრესის მუშაობა იზღუდება.

პასუხი – ყველაფერი ძლიერ გადაჭარბებულია. ერთადერთი გამოცემა „მოლოდიოუგრუზი“ გაუქმდა იმის გამო, რომ კომკავშირი აღარ არსებობს. იგი იყო კომკავშირის გაზეთი და როცა აღარ არის კომკავშირი, რა საჭიროა კომკავშირის გაზეთი. ის სხვა გაზეთს შეუერთდა, ვინაიდან „მოლოდიოუგრუზი“ გულისხმობდა საქართველოს კომკავშირს.

კითხვა – პირველი შეკითხვა. როგორ უყუ-

რებთ ელცინის დამაჯერებელ, ტრიუმფალურ გამარჯვებას რუსეთის არჩევნებში? მეორეც, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, დასავლეთის ქვეყნები ჯერჯერობით თავს იკავებენ აღიარონ საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორ შეაფასებდით ამ სიტუაციას და როგორ იმოქმედებთ მომავალში?

პასუხი – ელცინს და ნამდვილ რუს დემოკრატებს მხარს უჭერს ქართველი ხალხი და პირადად მეც. ჩვენ მივესალმებით ამ არჩევნებში გამარჯვებას და გვაქვს დიდი იმედიც, რომ რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლება დამყარდება. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს აღიარებას, ეს მომავალში იქნება. დღეს მე რამდენიმე ამერიკელი სენატორისაგან წერილი მივიღე. ისინი ცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას, საქართველოს ცნობენ, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას და მიესალმებიან არჩევნებში ჩვენს გამარჯვებას. ასე, რომ ამერიკის სენატი და კონგრესი სულ უფრო და უფრო უჭერენ მხარს ჩვენს დამოუკიდებლობას და მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგება დღე, როდესაც ამერიკის კონგრესი და სენატი ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

კითხვა – რამდენმა სენატორმა მოაწერა ხელი წერილს?

პასუხი – ხუთმა სენატორმა. სენატორმა ვილსონმა, მიტჩელმა და სხვებმა.

კითხვა – შეკითხვა გიორგი ხოშტარიას:

რას იტყოდით გავრცელებული იზრის შესახებ, რომ საქართველოში იღახება ადამიანთა უფლებები და არიან პოლიტპატიმრები?

პასუხი – სენატორი დე კონსილია და სხვები, სულ 35, შემოდგომაზე მოსკოვში ჩამოვლენ. სენატორი დე კონსილია სათავეში უდგას კონგრესთან არსებულ ჰელსინკის ჯგუფს. მოსკოვის შემდეგ გვეწვევიან საქართველოში და ბოლოს და ბოლოს დარწმუნდებიან, თუ რამდენად რეალურია ის ბრალდებები, რომლებსაც ჩვენ გვიყენებენ. რაც შეეხება პოლიტპატიმრებს, რომელი დემოკრატიული ქვეყანა შეურიგდება შეიარაღებულ ოპოზიციას, რომელიც აცხადებს, რომ იგი ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს არ ემორჩილება და იარაღით ხელში მის დამხობას აპირებს, იმუქრება სამოქალაქო ომით. ამასთან, თავდასხმები პრეფექტურებზე, მილიციისათვის იარაღის წართმევა... თქვენ დამისახელებთ ერთ ქვეყანას მაინც მსოფლიოში, რომელიც ამას შეურიგდება?

ზ.გამსახურდია – 275 მანქანაა მოტაცებული საქართველოში. ამასთან მკვლელობები, ადამიანის მოტაცება და ა.შ.

კითხვა – მე „იზესატიიდან“ ვარ. მინდა ერთი საკითხი დავაზუსტო. ეხლა ედუარდ შევარდნაძის პიროვნებასთან დაკავშირებით აქტიური პროცესები მიმდინარეობს. თქვენი დამოკიდებულება დემოკრატიული რეფორმების მოძრაობისადმი და იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ამ მოძრაობაში გაერთიანდნენ. მათ შორის ხომ ერთ-ერთი მთავარი ადგილი ედუარდ შევარდნაძეს უკავია.

პასუხი – მე ჯერჯერობით თავს შევიკავებ და გამოკვეთილ პოზიციას არ გავამუდავნებ, ვინაიდან თავადაც ჯერ არ ვიცი. მე ველოდები მათი პოზიციის გამუდავნებას საბჭოთა კავშირის კომპარტიის მიმართ. ველოდები მათ პლატფორმას, როცა ისინი ცნობენ რეპუბლიკები დამოუკიდებლობას. როცა გამოააშკარავებენ ისინი თავიანთ პოზიციას ამ ორ საკითხზე, მაშინვე გეტყვით ჩემს აზრს. ჯერ არ ვიცი, თუ რა შინაარსი აქვს ამ მოძრაობას. შემდგომში ვნახავთ.

კითხვა – ყოველკვირეული „მოსკოვსკიე ნოვოსტი“.

ორი შეკითხვა მექნება: როგორია თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთის იმ განზრახვის მიმართ, რომ აფხაზეთმა სამოკავშირეო ხელშეკრულებას დამოუკიდებლად მოაწეროს ხელი და მეორე, როგორც ცნობილია, სამხრეთ ოსეთის საკითხზე მუშაობდა საქართველოს, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა საპარლამენტთაშორისო კომისია. რა უშლის ხელს ამ კომისიის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილების რეალიზაციას?

პასუხი – აფხაზეთის შესახებ გეტყვით. აფხაზები საქართველოში ეროვნული უმცირესობაა. იმ ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც მათ ეკუთვნით და იმ რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, მოსახლეობის 17%-ს წარმომადგენენ. ახლა მათ სურთ ეს ტერიტორია საქართველოს ჩამოაშორონ და საბჭოთა კავშირს შეუერთონ. ეს მათ არასოდე გამოუვათ, რადგან ეს იქნება აგრესია ქართველი ხალხის წინააღმდეგ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ეს კი მათ სიკეთეს არ მოუტანს. ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ცენტრის წმინდა პროვოკაციას, ვინაიდან აფხაზეთს არა აქვს უფლება, რომ ეროვნულმა უმცირესობამ, რომელიც 5-მილიონიან საქართველოში 80000 კაცს შეადგენს, საქართველოს ტერიტორია

მოსწყვიტოს და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადოს. საერთოდ, ეროვნულ უცირესობებს მხოლოდ კულტურული ავტონომიის უფლება აქვთ. ხოლო აფხაზეთისათვის ის ფართო პოლიტიკური ავტონომია, რომელიც მას აქვს, სრულიად საკარისია და თუკი ისინი მეტს მოინდომებენ, მათთვისც იქნება საზიანო. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთს, უნდა გითხრათ, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოში არ არსებობდა. ეს ტერმინი ბოლშევიკებმა გამოიგონეს. ოსები ცხოვრობდნენ საქართველოში, მაგრამ სამხრეთ ოსეთი ბოლშევიკების შექმნილი ტერმინია. ოსები ეროვნული უმცირესობაა და მათთვის კულტურული ავტონომიის ყველა უფლებაა გარანტირებული, მაგრამ მათ დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა მოისურვეს, რისი უფლებაც ჩვენ არ მივეცით. საპარლამენტთაშორისო კომისიამ გააკეთა ძალზე სწორი დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ის ცნობს სამხრეთ ოსეთს, როგორც საქართველოს შემადგენელ ნაწილს და რომ ყველა ეს საკითხი საქართველოში უნდა გადაწყვეს. ამის გამო კომისიამ დეპუტატთა ჯგუფ „სოიუზის“ რისხვა დაიმსახურა. ყბადალებული ალექსინი, ბლოხინი და სხვები ცხინვალში ჩავიდნენ და კომისიის დასკვნა „ანათემას“ გადასცეს. ახლა ახალი კომისიაა შექმნილი და ის შესანიშნავად მუშაობს. მის მიერ შედგენილი დოკუმენტის განხორციელებას კი „სოიუზი“ უშლის ხელს, ვინაიდან დეპუტატთა ამ ჯგუფს არ სურს იქ მშვიდობის დამყარება. მათ კვლავ უნდათ, რომ იქ სისხლისღვრა გრძელდებოდეს, რადგანაც ეს ხელს აძლევს ცენტრს.

კითხვა – ის, რომ ამერიკის საელჩომ თქვენ მიგინვიათ, ნიშნავს თუ არა იმას, რომ აშშ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობს?

პასუხი – ეს კერძო მოწვევაა ამერიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ წვეულებაზე. ეს არაოფიციალური ვიზიტია. ელჩის რეზიდენციაში ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ზემობდნენ. ამერიკის ხელისუფლება არ ცნობს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

კითხვა – „ნეზავისიმაი გაზეტა“

პატივცემულობატონო პრეზიდენტო, ამას წინათ ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა წინადადება გამოთქვა, მოეწყოს შეხვედრა როგორც სამოკავშირო ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი რესპუბლიკების ხელმძღვანელებისა, ასევე იმათი, რომელიც დამოუკიდებლისაკენ ისწრაფებიან და ხელ-

შეკრულების ხელმოწერაში მონაწილეობას არ აპირებენ. ეს შეხვედრა ცენტრის მონაწილეობის გარეშე უნდა მოხდეს. ნაზარბაევმა პრესკონფერენციაზეც დაადასტურა ეს წინადადება. თქვენ როგორ უყურებთ ამ ინიციატივას?

პასუხი – მივესალმები ამ ინიციატივას და ჩვენი წარმომადგენლები ამ შეხვედრაზე აუცილებლად იქნებიან. ცენტრი მხოლოდ მტრობას, შუღლს აღვივებს რესპუბლიკებსა და ხალხებს შორის, მის გარეშე რესპუბლიკები და ხალხები შესანიშნავად იმეგობრებენ. გარნებუნებთ ამაში. ცენტრს შეუძლია მხოლოდ დისპარმონია შეიტანოს, ხელოვნურად მოაწყოს ეთნოკონფლიქტები. ჩვენ კი ვიცით, აი, დღეს აქ შევიკრიბეთ, საჭიროა ამისათვის ცენტრი, რომ ჩვენ შევიკრიბოთ? აქ ვართ ხალხი, სხვადასხვა ეროვნებისა და ქვეყნების წარმომადგენლები. განა ჩვენ აქ ერთმანეთს ვხოცავთ? ჩემი აზრით, ამისათვის მხოლოდ პრესცენტრი დაგვეხმარა. კრემლის გარეშე როგორმე შევიკრიბით. ასევე იქნება მომავალში.

კითხვა – „ინტერფაქსის“ სააგენტო.

ცენტრთან თქვენი კონფლიქტის დროს რამდენად შეგიძლიათ დაეყრდნოთ რუსეთის დახმარებას? რა უშლის ხელს რუსეთთან კავშირების უფრო დინამიურ განვითარებას?

პასუხი – ჩემი აზრით, ამას დღემდე არჩევნები უშლიდა ხელს, რადგან არჩევნების დროს მოლაპარაკებებისა და შეთანხმებებისათვის საკმარისი დრო არ გვქონდა. უახლოეს მომავალში კი ალბათ ყველაფერი გაირკვევა. მე ხომ შევხვდი ბატონ ელცინს. ჩვენ მომავალი ურთიერთობების შესახებ შევადგინეთ ოქმი, სადაც წერია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება უნდა დაიდოს და ეს, ალბათ, უახლოეს მომავალში მოხდება, თუკი რუსეთის მხარე აზრს არ შეიცვლის, ჩვენ კი ეს არ გადაგვიფიქრებია.

კითხვა – ბატონო პრეზიდენტო, კომენტარს ხომ არ გაუკეთებდით იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებს?

პასუხი – მე ძლიერ შეშფოთებული ვარ ამ მოვლენებით. მშვიდობიანი შესაძლებლობა ამონურული არ არის.

კითხვა – რამდენადაც ვიცი, თქვენ სომხეთსა და აზერბაიჯანს შუამავლობა შესთავაზეთ?

პასუხი – დიახ, ახლაც ვთავაზობთ. ჯერჯერობით პასუხი მხოლოდ აზერბაიჯანის მხარემ მოგვცა. მან მზადყოფნა გამოხატა, სომხეთმა კი არა.

კითხვა – როგორ ფიქრობთ, რატომ?

არ შემიძლია ავხსნა, ერთი კი არის, რომ ცენტრი ძლიერ აქტიურობს, რათა ეს ჩაშალოს.

კითხვა – „დეილი ტელეგრაფი“.

როგორია თქვენი შეხედულება 9+1 რესპუბლიკის ხელშეკრულებაზე?

პასუხი – ახლა უკრაინაში ძლიერი მოძრაობა 9+1-ის ნინააღმდეგ და თუ უკრაინა უარს იტყვის, ჩემი აზრით 9+1 ხელშეკრულება შეუძლებელი იქნება., აქ უკრაინა ძირითადი ფაქტორია.

კითხვა – რა იქნება მომავალში?

პასუხი – მომავალში? ეს დამოკიდებულია დასავლეთის ქვეყნებზე. დასავლეთის ქვეყნები უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდონ ჩვენს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. უფრო მეტიც, მათ პირდაპირი კავშირები უნდა ჰქონდეთ რესპუბლიკებთან.

კითხვა – დასავლეთი დაინტერესებულია ამა თუ იმ ფორმით, შეინარჩუნოს ერთიანი კავშირი, რათა შეინარჩუნოს ერთიანი ბაზარი, ეკონომიკის განვითარება და ამიტომ, როგორც ჩანს, მათი პოზიცია ისეთი არ არის, რაც თქვენ გსურთ.

პასუხი – დასავლეთს არ შეუძლია გაიგოს, რომ არანაირი რეფორმები არ მოხდება ასეთ კავშირში, ვინაიდან აქ ასეთი კონსერვატიული და ანტიდემოკრატიული ძალები არსებობენ, რომლებიც საბაზო ეკონომიკის ნინააღმდეგნი არიან და უნდათ სოციალისტური სისტემის შენარჩუნება. რა რეფორმები უნდა მოხდეს აქ? რა რეფორმები შეუძლია განახორციელოს პავლოვის მთავრობამ, შეგიძლიათ ამისხსნათ? ასეთ სიტუაციაში ეს შეუძლებელია. დასავლეთი კი რაღაც რეფორმებს ელოდება. ისინი შეიძლება გატარდეს მხოლოდ ცალკეულ რესპუბლიკებში, როცა ისინი დამოუკიდებლად იქნებიან. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორი რეფორმები განხორციელდება რუსეთში, დემოკრატიულ რუსეთში, რომელმაც საკუთარი პრეზიდენტი აირჩია. აქ იქნება ნამდვილი რეფორმები, როგორც საქართველოში და ბალტიისპირეთში. კავშირში რეფორმები არ იქნება.

კითხვა – ჩეხეთ-სლოვაკეთი „ჩეტეკა“.

ორი შეკითხვა მაქს, პირველი – იმ პროცესთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს დემოკრატიული ძალების გაერთიანების მიზნით და არის მცდელობა კავშირის მასშტაბით შეიქმნას ერთიანი დემოკრატიული პარტია ან კონგრესი. თქვენი შეხედულებით, როგორია საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების დემოკრატიული ძალების გაერთიანების საუკეთესო ფორმა?

მეორე შეკითხვა – აპირებს თუ არა საქართველო უახლოეს მომავალში პირდაპირი ურთიერთობები დამყაროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, კერძოდ, ჩეხეთ-სლოვაკეთთან დაამყაროს პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტები?

პასუხი – რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს პირდაპირი კონტაქტები, მაგრამ ბოლო დრომდე ისინი, ჩეხეთ-სლოვაკეთი, უნგრეთი და ა.შ. ფრთხილობდნენ. ვიდრე იქ საბჭოთა ჯარები იყო, პირდაპირ კავშირებზე არ მიდიოდნენ. ჩვენ ვგრძნობდით მათ შიშს, რომ საბჭოთა კავშირს შეიძლება გადაეფიქრა და ჯარები უკან დაებრუნებინა და ვიდრე იქ შეუქცევადი, სტაბილური არ გახდა დამოუკიდებლობისა და ჯარების გამოყვანის პროცესები, რეალური კავშირები არ გვექნება.

კითხვა – ე.ი. საქართველო ელოდება რაღაც ნაბიჯებს მათგან?

პასუხი – რა თქმა უნდა, ჩვენ ნაბიჯი უკვე გადავდგით. ახლა პასუხს მათგან ველით. მაგალითად, უნგრეთისაგან მივიღეთ პასუხი და გვექნება ურთიერთობები. ასე იქნება ალბათ ჩეხეთ-სლოვაკეთთანაც.

კითხვა – რას იტყვით ჩემს პირველ შეკითხვაზე დემოკრატიულ ძალთა შეკავშირების შესახებ?

პასუხი – დემოკრატიულ ძალთა გაერთიანებისა ჯერჯერობით არ მჯერა. აქ ხშირად დემოკრატიით სპეკულაციას ეწევიან, ხოლო რეალური დემოკრატია არ არის. მაგრამ არსებობს დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული გარკვეული ძალები, რომლებსაც მისი გამოყენება შეუძლიათ კომპარტიისა და სოციალისტური სისტემის გადასარჩენად. აი, საქართველოში ასე მოხდა: საქართველოში როცა ეს არჩევნები დავიწყეთ, შექმნეს დემოკრატიული გაერთიანება, რომელშიც ყოფილი კომუნისტებიც შევიდნენ და კომპარტიაში დარჩენილი ადამიანებიც. და ისინი გამოიდიოდნენ არა როგორც კომუნისტები, არამედ, როგორც ვიღაც დემოკრატები. თავიანთ კავშირს დაარქვეს „თანხმობისა და აღორძინების კავშირი“. აქ შესულები სკაპ პლატფორმაზე იდგნენ. ასე რომ, ჯერ საქმემ უნდა დაგვანახოს. როცა ეს „დემოკრატიული“ ძალები გაერთიანდებიან, მაშინ ვნახოთ, რას გააკეთებენ და შემდეგ გეტყვით დასკვნას.

კითხვა – თქვენ ბრძანებთ, რომ სსრ კავშირში არავითარი რეფორმები არ მიმდინარეობს.

ჩვენ კი ხშირად გვესმის, რომ სასრ კავშირის ხელისუფალნი ატარებენ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების კურსს. ხომ ვერ განგვიმარტვით თქვენს პოზიციას?

პასუხი – რეფორმების თაობაზე მე მხოლოდ შეძახილები მესმის, სხვა არაფერი. მე ვერ ვნახე ამ განცხადებების რეალური შედეგები. სინამდვილეში არაფერი არ იცვლება. ეკონომიკური სისტემა იგივეა. არ არსებობს თავისუფალი ეკონომიკისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, კერძოდ ვაჭრობა. როგორ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აქ შესაძლებელია რაიმე რეფორმები. თუმცა დეკლარაციები კი გვესმის. ლამაზი დეკლარაციები.

კითხვა – „ტაიმსი“, ლონდონი:

თქვენ თქვით, რომ მიესალმებით ნაზარბაევის წინადადებას ცენტრის გარეშე 15 რესპუბლიკის შეკრების თაობაზე. ხომ ვერ გამოთქვამთ ვარაუდს, რა შედეგი შეიძლება ამ შეხვედრამ გამოიღოს. როგორი იქნება მომავალი კავშირის მოწყობა – ფედერაციული, კონფედერაციული თუ სხვა?

პასუხი – მე ვფიქრობ, შეხვედრა უკეთეს ურთიერთგაგებამდე მიგვიყვანს, უკეთეს კონტაქტამდე ერებს შორის. თუ ეს მოხდება ცენტრის, ასე ვთქვათ, ე.ნ. დახმარებისა და პროვოკაციების გარეშე. მაგალითად, ჩვენ ამჟამად კარგი კონტაქტები გვაქვს. ერთმანეთს სატელეფონო კავშირით უუკავშირდებით. საჭიროების შემთხვევაში მე ვურეკავ ყაზახეთის პრეზიდენტს, ყირგიზეთის პრეზიდენტი მირეკავს მე, აზერბაიჯანი მირეკავს. მე ვურეკავ მოლდოვას, ლიტვას, ლატვიას და ა.შ. ჩვენ უკვე კონტაქტები გვაქვს და ამ კონტაქტებს შედეგებიც მოაქვს. როცა ასეთი ოფიციალური შეხვედრა იქნება და ხელს მოვაწერთ რაიმე დოკუმენტს, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ასე რომ, მე მივესალმები მათ.

კითხვა – იქნება რაიმე დოკუმენტი ხელმო-საწერად?

პასუხი – შესაძლოა. ვიმედოვნებ, რომ როდესაც ხელშეკრულება 9+1 ჩაიშლება, ხელმოწერილი იქნება ნამდვილი დოკუმენტი. მაგრამ ჯერ 9+1 ხელშეკრულებამ მარცხი უნდა განიცადოს და ცენტრის გარეშე მოხდეს რესპუბლიკების შეკრება.

კითხვა – თუ შეიძლება ერთ-ერთ წინა შეკითხვასთან დაკავშირებით. რა როლს ასრულებს დემოკრატიული ძალების გაერთიანებაში ან გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის

შექმნაში ედუარდ შევარდნაძე?

პასუხი – ამბობენ, რომ შევარდნაძემ დიდი ევოლუცია განიცადა, რომ იგი ის ედუარდ შევარდნაძე აღარ არის, რაც 15 წლის წინათ იყო. თავად ამბობს ასე და იგივეს ამბობენ მასზეც. მაგრამ მე მინდა, რომ ამაში საქმემ დამარწმუნოს. მე ასეთი რნმენა მაშინ გამიჩნდება, როცა შევარდნაძე თვითონ გაამუდავნებს საკუთარ დამოკიდებულებას კომპარტიის მიმართ, როცა იტყვის ყველაფერს, როგორც აღსარებას, აღსარებას ხალხისა და ისტორიის წინაშე, თუ რა მოიმოქმედა მან საქართველოში, სადაც ის კომპარტიის ემისარი იყო, მხოლოდ მაშინ დავუჯერებ. ვიდრე ის დუმს, არაფერს ამბობს საკუთარ წარსულსა და თავის კომპარტიაზე, ვიდრე ის მხოლოდ ლაპარაკობს, რომ დემოკრატიის შექმნა სურს, ეს მე ძლიერ მაეჭვებს. ჯერ თქვით, თუ რა ჩაიდინეთ კაცობრიობის და ხალხის წინაშე და მხოლოდ მაშინ დაგიჯერებთ. გაკიცხეთ ეს წარსული თუნდაც ისე, როგორც ხრუშჩივმა გააკეთა. მე, მაგალითად, ხრუშჩივისა უფრო მჯერა, ვიდრე სხვა ლიდერებისა, თუნდაც იმიტომ, რომ მან გული გახსნა და აღსარება თქვა. ჩემი აზრით, იგი ამისთვის პატივისცემას იმსახურებს. მათ კი არ სურთ საკუთარი წარსულის შესახებ რამე თქვან. დაე, კომენტარები საკუთარ წარსულს გაუკეთონ.

კითხვა – ბატონო პრეზიდენტო, თვლით თუ არა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებს, კერძოდ უნგრეთს, შეუძლია მხოლოდ მხარი დაუჭიროს საქართველოს სწაფვას გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა, რადგან მას არ გააჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ზოგიერთი ატრიბუტი? მე ნანილობრივ გეთანხმებით, რომ ისინი უფრთხიან, მაგრამ ხომ არ არის მეტი სიცხადე საჭირო შიდა პრობლემებში, როგორ გესახებათ გზა სრული დამოუკიდებლობისაკენ? როგორია ეს გზა? საკუთარი ფული, საკუთარი არმია და ა.შ.

პასუხი – რა თქმა უნდა, ჩვენ ვქმნით საკუთარი ფულის სისტემას, ვქმნით არმიას. რაც შეეხება საზღვრებს, ამის გაკეთება ძალზე რთულია, რადგან ამაში ხელს საბჭოთა კავშირი გვიშლის. იგი ძლიერ ერევაჩვენს საბაჟო პოლიტიკაში, სურს შეინარჩუნოს საკუთარი საბაჟო და არ გვაძლევს ჩვენი საბაჟოს შექმნის საშუალებას. ამის გამო მუდმივი ჭიდილი გვაქვს სსრ კავშირთან საბაჟოს გამო. მაგრამ თქვენც იცით, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არცთუ ისე დამოუკიდებელი იყვნენ საბჭოთა კავშირისაგან,

და ახლაც ბევრად არიან მასზე დამოკიდებული ეკონომიკურად. ამას ალბათ განაპირობებდა იქ საბჭოთა ჯარების ყოფნა. ახლა შეიძლება მეტი ინტერესი გამოიჩინონ ჩვენს მიმართ. უნგრეთი უკვე დაინტერესდა. მე პირადი კონტაქტებიც მაქს უნგრეთის პრეზიდენტთან. დაგეგმილია ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი იქ. შესაძლებელია, მე შევხვდე მომავალში უნგრეთის პრეზიდენტს. ეს ყოველივე მომავლის საქმეა. მთავარი კი ისაა, დასავლეთი დარწმუნდეს, რომ სსრ კავშირი აღარ წარმოადგენს მისთვის საშიშროების ფაქტორს, როგორც ეს აქამდე იყო. ალბათ ასე იქნება ხვალ და ამაში აღარ დაინახავენ სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა სახის საშიშროებას. აი მაშინ ყველაფერი მოგვარდება.

კითხვა – ლატვია, „დიენა“.

გვითხარით, თუ შეიძლება, რა მნიშვნელობას ანიჭებთ ბალტიის ქვეყნებთან ურთიერთობას და როგორც გესახებათ ამ ურთიერთობათა პერსპექტივები?

პასუხი – ბალტიის ქეყნებთან თავიდანვე შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა, მქონდა პირდაპირი კონტაქტები ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მოძრაობებთან. მაგრამ იქაც არსებობენ ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესებს. მაგალითად, თქვენმა გაზითმა ამას წინათ ჩემს შესახებ ისეთი სიცრუუ გამოაქვეყნა, რომ მაპატიეთ, ჩემს ადგილას სხვა არც დაგელაპარაკებოდათ. არც აციეს და არც აცხელეს, დაბეჭდეს, თითქოსდა გამსახურდიამ განაცხადა, – სოლუჟენიცინი და სახაროვი „სუკის“ აგენტები არიანო. ეს უმსგავსობაა. თქვენ ყური მოკარით რაღაც ჭორს და პირდაპირ დაბეჭდეთ. ასე არ შეიძლება. ასეთი მოქმედებით თქვენ ხელს უშლით საქართველოსა და ლატვიას შორის წორმალურ კონტაქტებს. ნახეთ ეს გაზითო. ჩვენ უფრო მეტი ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთმანეთს და საფუძვლიანად უნდა შევამოწმოთ ყოველგვარი მოარული ხმები. მაგალითად, ჩვენ არასოდეს არ დავბეჭდავთ რაიმე მონაჭორს ლანდსპერგისის ან გორბუნოვის შესახებ, ჩვენ ერთ ბედს ქვეშა ვართ და ამიტომ ერთმანეთს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

კითხვა – შეგიძლიათ უპასუხოთ ჩემს მეორე შეკითხვას? როგორ გესახებათ უახლესი

პერსპექტივები?

პასუხი – უახლესი პერსპექტივები ისაა, რომ კიშინოვის ფორუმში მონაწილეობენ ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები და ყველა საკითხს იქ განიხილავენ.

კითხვა – ამბობენ, რომ საქართველო ნატოში შესვლას აპირებსო. მართალია ეს?

პასუხი – ეს სასაცილოა.

კითხვა – „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი:

როგორც გავიგე, თქვენ თვლით, რომ კავშირის ფარგლებში დემოკრატიული გარდაქმნები შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ორი შეკითხვა მაქს: ნიშნავს თუ არა ეს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე და ხომ არ არის საშიშროება მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, შეიძლება განმეორდეს იუგოსლავიის ვარიანტი – რაც თქვენ ძლიერ გაფიქრებთ?

პასუხი – იცით, იუგოსლავიამ მართლაც ძალიან ცუდი მაგალითი მოგვცა. მაგრამ არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს. ვიდრე სსრ კავშირის ხელისუფლების სათავეში არ მოვლენ ძალაუფლებისათვის მებრძოლი რეაქციული ძალები, როგორიცაა, მაგალითად, დეპუტატთა ჯგუფი „სოიუზი“ და ა.შ. მანამდე ასეთი საფრთხე მე მგონი არ არსებობს.

კითხვა – ბულგარეთის დეპუტატთა სააგენტო:

თქვენი უახლოესი პროგნოზი საბჭოთა კავშირში მოვლენების განვითარების თაობაზე.

პასუხი – უახლოესი პროგნოზით, თუ არ მოხდება სამხედრო გადატრიალება, თუ ძალაუფლებას არ ჩაიგდებენ ხელში ბნელი ძალები, მოვლენების განვითარება აუცილებლად დემოკრატიული იქნება. ეს ცენტრის როლის დაკინებას მოიტანს და ეს როლი სიმბოლური გახდება. ამ სიმბოლურ ცენტრს აღარ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა რესპუბლიკების გათავისუფლების საქმეში და ვფიქრობ, რომ რესპუბლიკების თავისუფლებით ძალიან ახლოსაა რესპუბლიკის, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციის რეალური თავისუფლება, რეალური დამოუკიდებლობა.

(იბეჭდება შემოკლებით)



## მურმან ზაქარაია

### **ახალი გილობრივი კურსის აუცილებლობა**

დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ფუძემდებლურ ღირებულებათა გულისგულად გამოცხადებული იყო ქართველი ხალხის უფლება და ურყევი ნება, იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში დემოკრატიული რესპუბლიკური მმართველობის ფორმით. ამ ორ უმთავრეს ღირებულებას დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა მიაყენა პუტჩმა და რუსულმა აგრესიამ ყველაზე მძიმე დარტყმა, ესე იგი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივად არსებობას, რომლის ამოსავლად იმთავიდანვე განისაზღვრა **სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება**, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობის და ავტორიტეტის დამკვიდრებას, სახელმწიფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიას, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას, რათა არ მოხდეს ხელისუფლების მონიშვნისაცია და ა.შ. სამწუხაროდ, ზემოთ თქმულ მიზეზთა გამო თითქმის სრულიად მოიშალა ეს ჭეშმარიტად დემოკრატიული აღმშენებლობის გეზი. ამიტომ უპირველესად მის განახლებას უნდა შევუდგეთ, **დავინცოთ სრულიად ჩვეულებრივი და მარტივი კითხვით:** „**სურს კი ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას იცხოვროს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში თუ შეირყა მისი ურყევი ნება და ცივილიზაციის შექმნაში მონაწილე ერი უარს ამბობს თავის ლეთითბოძებულ უფლებაზე – იყოს თავისუფალ ერთა კოპორტაში?**“

ამ პასუხის საფუძველზე უნდა მოიძებნოს ურთიერთშეხების წერტილი დაშლილ და დაქუცმაცებულ, ერთმანეთის მიმართ უნდობლობით გამსჭვალულ და გათანგულ საზოგადოებრივ ჯგუფებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს შორის. უნდა გაცხადდეს ახალი შიდაპოლიტიკური კურსი ეროვნული თანხმობის პლატფორმის შექმნაზე, რომელიც მიმართული იქნება გაწყვეტილი როგორის გამთლიანებისა და დემოკრატიული საზოგადოებრივი აღმშენებლობის პროცესის აღორძინებისკენ, ყოველგვარი რუსულ-საბჭოური მეხსიერებისა და კრიმინალურ-კორუფციული (თუნდაც მსოფლიო ჩრდილოვანი საფინანსო-ეკონომი-

კის) გავლენისგან დისტანცირებისკენ, ყოველგვარი ძალადობისგან, თავისუფალი, სულიერად ამაღლებული სოციუმის ფორმირებისკენ. ამის გარეშე ჩვენს დამოუკიდებლობასა და ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობას პერსპექტივა არ უჩანს.

**ყველა ისინი, ვინც ამ პოსტპუტჩისტური, ანტისოციუმის ბაზაზე თავისუფალი დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებას გვპირდებიან, ტყუიან, ტყუიან და კიდევ ერთხელ ტყუიან!!!**

დიდი განსხვავება არ არის იმაში, ამას ვინ უნებლიერ, შეუგნებლად აკეთებს, თუ ვინ შეგნებით: თავისი ეგოისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად თუ წმინდა შტრაიკბრესერული, უფრო მეტიც, კოლაბორაციონალურ-მოღალატური ბუნებიდან გამომდინარე. ყველა ისინი ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთის მოწყობაში იღებენ მონაწილეობას და ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლს თითო მუგუზალს უმატებენ, ანადგურებენ არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც – ახალგაზრდა თაობის სულიერ სამყაროს. ესაა ის ყველაზე უფრო მიუტევებელი დანაშაული, რომელშიც თავისი წვლილი მიუძღვის ყველა პოსტპუტჩისტურ ხელისუფლებას. განსაკუთრებით საშიშია თანამედროვე ეტაპი თავისი პირმოთნეობით, ულიმდამო სიქველითა თუ დემოკრატიის საფარველქვეშ აშკარად გამოხატული პარტიული დიქტატით, სახელმწიფოს სრულად მიტაცების ტენდენციით. მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს იმით, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორეს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზს, ჯერ ფსევდოდემოკრატიზმის იდეის ტყვეობაში მოაქციეს, შემდეგ კი, საერთოდ, გააქციეს ქვეყნიდან.

დღევანდელ კრიზისულ ეპოქაში (როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო) გარდაუვალ და საშურ საკითხად ჩანს საზოგადოებრივი ნდობის პლატფორმის აშენება (ამ ბოლო ხანს ამ მოთხოვნას თვით დასავლეთის ქვეყნებიც კი აყენებენ). მისი განხორციელებისთვის კი აუცილებელია, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების პროცესებისადმი იმთავიდანვე ჩანერგილი დისპარატული მიდგომის რეციდივების აღმოფხვრა ეროვნული თანხმო-

ბის იდეის ამოქმედების გზით, ვინაიდან ასეთი სახელმწიფოს აშენებისადმი ხალხის ურყევი ნება მრავალგზისაა გამოხატული.

ხალხის ამ ნება-სურვილის ახალ გარემო-ებათა გათვალისწინებით დადასტურებისთვის და დისპარატული მიდგომის რეციდივების სრულად აღმოფხვრისთვის რამდენიმე წინაპი-რობის აღსრულებაა აუცილებელი, რომელიც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსე-ბობის წმინდად ფორმისეულ და აკადემიურ (თეორიულ) საკითხებს უფრო ეხება, ვიდრე ეროვნული თანხმობის ფუნდამენტურ სახელ-მწიფო პრობლემებს.

მათი დადებითად გადაწყვეტა, მარტივად რომ ვთქვათ, ნულოვანი ხაზიდან დაძრავდა ჩვენი ეროვნული კონსოლიდაციისა და საზო-გადოებრივად ფორმირების პროცესში დამ-დგარ გამყინვარებას, შეამზადებდა ნიადაგს ეროვნული და საზოგადოებრივი თანხმობის პლატფორმის ფორმირებისთვის.

ამ დიდი საქმის ინიციატორად უნდა გა-მოვიდნენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაში მონაწილე ძალები და ფუძემდებლური აქტების ერთგული, მათი ცხოვრებაში გატარებისა და კანონიერების აღსრულებისთვის მებრძოლი ფართო მასები, იმ პირველი აქტების საფუძველზე თავისუფ-ლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ახალგაზრდა თაობა.

ახლა კი რამდენიმე სიტყვით შევეცდებით ამ პირველი რიგის საკითხების დახასიათებას.

\* \* \*

**პირველ** (ზოგადი მნიშვნელობის) საკით-ხე ჩვენ რამდენადმე უკვე ვიმსჯელეთ, რომ გარკვეულ უნდა იქნეს: **სურს კი ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას, იცხოვროს დამო-უკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში, რაც მის მიერვე რამდენიმეგზის იქნა დადასტუ-რებული საყოველთაო არჩევნებისა და რეფერენ-დუმის საშუალებით.**

მაშასადამე, ეს კითხვა სინამდვილეში რი-ტორიკულ ფორმას იძენს და მისი მიზანია, ყვე-ლა სხვა პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტის პროცესში გვახსოვდეს ხალხის ამ საყოველთაო ნების არსებობა და ვიხელმძღვანელოთ მისი ამ ნებაგამოხატულებით.

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ სი-ტუაციათა გათვალისწინებით ხალხის ამ ნების

ამოქმედებისთვის აუცილებელია დამოუკიდე-ბელი და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის იმ ფორმისეული ატრიბუტული საკითხის გა-დაწყვეტა, რომლის მოუგვარებლობა მეოთ-ხედასაუკუნოვან პოსტპუტრისტურ ეპოქაში დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობაა, თუ უფრო მეტიც არა.

მოცემულ შემთხვევაში, **მეორე** – დაუყოვ-ნებლივ გადასაწყვეტ საკითხად დგება დამო-უკიდებელი ქვეყნის ეროვნულ (სახალხო) და სახელმწიფო დღესასწაულების კონსტიტუცი-ურად გაფორმება, ზოგადად, ამ პრობლემის მოწესრიგება. როგორც პირველ თავში დავა-ზუსტეთ, უნდა დადგინდეს:

1. **საქართველოს რესეფის თვითმპურობელუ-რი იმპერიის ულლისგან განთავისუფლების დღე – 1918 წლის 26 მაისი, როგორც საერთო-სახალხო დღესასწაული („განთავისუფლების დღე“);**

2. **საქართველოს საბჭოთა იმპერიისგან თავდასწინის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებ-რიობის აღდგენის დღე – 1991 წლის 9 აპრილი („სახელმწიფო დღესასწაული“).**

ამ საკითხების პოზიტიურად, ხალხის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე გადაწყვეტა შესამჩნევი ნაბიჯი იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების საკითხისადმი, დღეს არსებული, ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი – **დისპარატული** მიდგომის დაძლევის გზაზე, რომლის გარეშე ყოველგვარი მცდელობა ნორ-მალური საზოგადოებრივი კლიმატის შექმნაზე ტყუილი გარჯაა.

დისპარატულობის დაძლევისა და საზო-გადოებაში შემწყნარებლური ურთიერთმიმარ-თების პროცესის გაჯანსაღებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციონალური დატვირთვა ეძლევა ასევე ხელოვნურად შექმნილი მესამე, პრობლემური – მმართველობითი სტრუქტუ-რის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც ფუ-ძემდებლური დოკუმენტებისა და პირდაპირი, სახალხო არჩევნების საშუალებით, ხალხის ნების არაერთგზის გამოხატვით არის დადას-ტურებული. ამიტომ მყარად და ხანგრძლივი ისტორიული დროით უნდა დადგინდეს, რომ:

**საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწი-ფო წარმოადგენს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ სისტემას და მისი მმართველობითი სტრუქტურის ფორმას საპრეზიდენტო (შერეუ-ლი) რესპუბლიკა.**

ეს იქნებოდა არა მარტო პოლიტიკურ-სა-ხელმწიფოებრივი აქტი, არამედ ეროვნული

იდეის კონტექსტში საკითხის გადაწყვეტაც, რომლითაც როგორც ისტორიულ-გენეტიკური კონტექსტით, ასევე თანამედროვე რეალურ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით იქნებოდა დადასტურებული, რომ ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისთვის გარდაუვალად აუცილებელია საპრეზიდენტო რესპუბლიკური სისტემა.<sup>1\*</sup>

ზემოთ წამოწეული სამივე ეს პრობლემა განეკუთვნება ხალხის მიერ თავისი ნებაგა-მოხატულებით არაერთგზის დადასტურებულ საკითხთა რიგს, რომელთა არალსრულება სახელმწიფოებრივი დანაშაულია. ამიტომ ამ საჭიროოროტო საკითხთა გადაწყვეტის ინი-ციატორებმა, პირველ რიგში, უნდა მიმართონ ხალხს, რათა მან მოახდინოს თავისი დარღვე-ული ნებაგამოხატულების რეანიმირება.

მაშასადამე, ამ სამერთიანი ამოცანის გა-დაწყვეტა უნდა მოხდეს ხალხის აქტიური ჩარ-თულობით, ხელისუფლებაზე მისი უშუალო ზენოლით.

ამ პრობლემების გადაწყვეტის შემთხვე-ვაში შესაძლებელი გახდება დემოკრატიული სისტემის არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი მეოთხე საკითხის – საარჩევნო სისტემისა და მისი კანონმდებლობის (წესის, დებულების) ჭეშმარიტად დემოკრატიული ფორმის შემუშა-ვების გადაწყვეტა. თვინიერ ამისა საარჩევნო წესდების ირგვლივ ატენილი მეოთხედსაუკუ-ნოვანი პერმანენტული ბრძოლა (უფრო ხელის გადაგრეხის ტაქტიკა), როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კრახით დასრულდება. სწორედ ეს „ახალი ვარიანტი“ საარჩევნო დებულებისა გახდება ხელისუფლების მიერ (თუ შეძლებენ, არც ოპოზიცია იტყვის უარს) არჩევნების გა-ყალბების „კანონიერი“ საშუალება.

ასეთი ვითარება იმითავა განპირობებული, რომ არჩევნების საკითხი, როგორც დემოკრა-ტიის განხორციელების საშუალება, უშუალოდ უკავშირდება დემოკრატიული პრინციპით ფორ-მირებული სოციუმის არსებობას. ჩვენში ეს სისტემა ნორმალური სოციუმის ფორმირები-სა ვერ განვითარდა სამხედრო-კრიმინალური პუტჩის გზით რუსული ტიპის პოსტსაბჭოურ რევანშისტულ ძალთა გაბატონების შედეგად,

რაზედაც თავის ადგილას გვქონდა მსჯელობა და გავარკვიეთ, რომ წესიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაცვლად მივიღეთ ანტისაზო-გადოებრივ დაჯგუფებათა კონგლომერატი, რომელიც ანადგურებს ჩვენს ეგზისტენციას.

**ამდენად, სანამ არ განახლდება დემოკრა-ტიული სოციუმის ჩამოყალიბების პროცესი, ვერავითარ გამართულ საარჩევნო საკანონმდებ-ლო ბაზისს ვერ მივიღებთ, ყველაფერი ეს თავის, უფრო მეტად, ხალხის მოტყუებაა.**

ამიტომ ამჯერად ჩვენ ისევ უნდა მივმარ-თოთ გარდამავალი ტიპის დროებითი საარჩევნო წესდების შექმნას. მით უმეტეს, სახეზე გვაქვს ასეთი დებულებით ჭეშმარიტად დემოკრატი-ული არჩევნების ჩატარების მაგალითი, როცა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შესაძლებელი გახდა მთელი დემოკრატიული სამყაროსთვის მისაღები არჩევნების ჩატარება.

მაშასადამე, საარჩევნო კანონმდებლობის საკითხი უნდა გადაწყვდეს დროებითი საარჩევ-ნო წესდების შექმნით, რომლის დემოკრატიულ (სრული კონსენსუსის) საწყისებზე ჩატარებუ-ლი არჩევნებით არჩეული, პირობითად, ეროვ-ნული თანხმობის ხელისუფლება გზას გაუხ-სნიდა ნორმალური სოციუმის ფორმირების პროცესს, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის რეალური დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ასეთია ის ოთხი წინასწარი პირობა, რო-მელთა განხორციელება დღევანდელ კრი-ზისულ ვითარებაში შესაძლებელია (ის კი არა, აუცილებელიც). სწორი, გაბედული და გამართული ინიციატივის გამოჩენით, მასში ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემოქ-მედი ხალხის ფართო ფენების ჩართულობით შევძლებთ ამ აუცილებელი წინაპირობის აღ-სრულებას.

თავის მხრივ, ეს საყოველთაო გამოლვიდება შესაძლებელს გახდიდა ეროვნული თანხმობის საფუძველზე საზოგადოებრივი ნდობის პლატ-ფორმის შექმნას.

**ნაწყვეტი წიგნიდან:**  
„სახელმწიფოსა და დემოკრატიის  
საკითხისადმი დისპარატულ მიღომაზე“

<sup>1\*</sup> დღეს უკვე კონსტიტუციურად დადგნილი ე.წ. საპარლამენტო მმართველობა ამ საყოველთაო პოლიტიკური კრი-ზისის ეპოქაში უპასუხისმგებლობის აპოთეოზი უფროა, ვიდრე სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემა, რასაც მოჰყვება (უფრო სწორად, უკვე მოჰყვა) სრული სახელისუფლებო და საკანონმდებლო ანარქია და ქაოსი. ჩვეულებრივ კი, ისტორიული კანონზომიერების თვალსაზრისით, ასეთი ანარქია და ქაოსი სრულდება ულმობელი დიქტატით. საგარეო ურთიერთობათა თვალსაზრისით, ეს არის მტრისთვის ღიად კარის დატოვება, რომელსაც სათანადო პირო-ბების დადგომის შემთხვევაში ძალზე გაუიოლდება ფუძემდებლური დოკუმენტებით შექმნილი ბარიერის გადალახვა, თუ არა, მათი დენონსირებაც კი (ისე ჩანს, რომ ამის მსურველები არც შედა ფრონტზე გვაკლია).

## პერსონალის შეკვეთი

# ქართველი და ქართალი განები




გაზეთ „აღდგომას“ 30 წელი შეუსრულდა. ამ გაზეთის გარეშე წარმოუდგენელია გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის ისტორია. იგი უძნელეს ვითარებასა და პირობებში გამოდიოდა სოხუმში, შემდეგ - ზუგდიდსა და თბილისში და გამუდმებული აკრძალვების, დევნისა და რეპრესიების მიუხედავად, ბოლომდე უერთგულა სიმართლეს, გვერდში დაუდგა პუტჩით დამხობილ ეროვნულ ხელისუფლებასა და სამართლიანობისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს. „აღდგომამ“ უდიდესი წვლილი შეიტანა სისხლიანი პუტჩის შედეგად დევნილი ეროვნული ძალების საქმიანობის კომიტეტის, წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებაში.

“აღდგომის” პირველი ნომერი 1992 წლის 26 აპრილს გამოვიდა და აღდგომის ბრნყინვალე დღესასწაულის დადგომამდე მისი პირველი მკითხველები გახდნენ სოხუმის საკათედრო ტაძარში თავშეყრილი მოშიმშილეები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ უკანონო “სახელმწიფო საბჭოს” წინააღმდეგ. 30 წლის წინათ გაზეთის დაარსების იდეას თბილისის პუტჩისტურ და სოხუმის სეპარატისტულ ხელი-

სუფლებებთან უთანასწორო ბრძოლაში ხორცის ასხამდნენ ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია, სერგი საჯაია, გიორგი სიჭინავა და სხვა ეროვნული მოღვაწენი. რედაქციის წამყვან ძალას სხვადასხვა დროსა და ადგილას წარმოადგენდნენ გოგი ხაფთანი, ნონა და ნანა ქობალიები, ალინა ჩაგანავა, ირინე ტალიაშვილი, ომარ გოჩელაშვილი, ლაშა გვასალია, თეანა ზაქარაია და სხვები. 1995 წლის თებერვლიდან “აღდგომამ” ბინა დაიღო თბილისში, ტაშკენტის 25-ში, სადაც მურმან ზაქარაიასთან ერთად მისი გამოცემისა და გავრცელების მთავარი მოამაგე გახდა ამ ბინის დიასახლისი ქალბატონი ლუარა(დოდო) გამყრელიძე. რედაქციასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ცნობილი მოღვაწენი რამაზ კუპრავა, რენე კალანდია, თამაზ ფიფია, მანგული ხუბუა, ბუხუტი კობახიძე, მიხეილ ჩაჩუა, რევაზ ურუშაძე, ნოდარ ჯალალონია, ედიშერ გიორგაძე, ანტონ არნანია, სოსო სიგუა, მარებ ბალიშვილი, ზური კვარაცხელია, იოსებ პატარაშვილი და სხვები. “აღდგომამ” ღირსეული ადგილი დაიკავა იმ თითზე ჩამოსათვლელ გაზეთებს შორის, რომლებიც არ შეეპუნენ შევარდნაძის სასტიკ რეპრესიებს და მართალი სიტყვით იბრძოდნენ სამართლიანობის აღსაღენად.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნო, რომ “აღდგომის”, “იბერია-სპექტრისა” და სხვა რამდენიმე ეროვნული გაზეთის დევნის, დარბევისა და აკრძალვების პარალელურად, თავს კომფორტულად გრძნობდნენ პუტჩისტების მეხოტბე გამოცემები, მართალი სიტყვის მოღალატე უკანალისტები. ასეთებს დაუწესა შევარდნაძემ ე. წ. უკანალისტის დღე 1993 წლის 21 მარტს, რომელსაც, სავალალოდ, დღესაც დიდის ამბით აღნიშნავს საბჭოური გადმონაშთი “უკანალისტთა კავშირის” სახით. გაყიდული, ქლესა, კონფორმისტი, ვითომ ელიტური გამოცემები კოჭებამდეც ვერ შესწვდებიან წამებულ, ღარიბ, მაგრამ მაინც გამარჯვებულ სიმართლის ჯარისკაცებს, რომლებმაც უმძიმეს წლებში სამაგალითოდ დაიცვეს უკანალისტური ზეობა და სინდისი. მათ შორის არიან “აღდგომის” შემქმედნიც!

## კულთურული შემსრულებელი „აღდგომების“



მიმდინარე წლის 26 აპრილს, დევნილი პრეზიდენტის ზევიად გამსახურდის ხელდებული, ლეგენდარული გაზეთი „აღდგომა“ 30 წლის გახდა! რედაქტორების, ბატონების: გორგი სიჭინავასა და მურმან ზაქარაიას მეთაურობით ვულოცავ ყველა „აღდგომელს“ მშობლიური გაზეთის იუბილეს! თავს ბედნიერად ვრაცხ –

წლების განმავლობაში ვმუშაობდი ამ მართალ, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გაზეთში და წარმოვადგენდი მას!..


ულრმესი მადლობა სიყვარულისა და მეგობრობისთვის ყველას, ბატონებს: მურმან ზაქარაიას, ზური კვარაცხელიას, სოსო სიგუას, სერგო საჯაიას, ნონა და ნანა ქობალიებს, მანგული ხუბუას, ჯემალ შონიას, კახა ქეცბაიას, დავით ზაქარაიას, მექი ლობუანიძეს...

ქალბატონებს: ლუარა გამყრელიძეს, ირინე ტალიაშვილს, ალინა ჩაგანავას, მაია გორგიაშვილს, მაიკო ზაქარაიას, თეანა ზაქარაიას, მაია ფარულავას...

ნათელი დაადგეს- ანზორ გვარამიას, გოგი ხაფთანის, ომარ გოჩელაშვილისა და ედიშერ გიორგაძის წინსახობით ყველა გარდაცვლილ „აღდგომელს“...

მიყვარხართ, მემშობლიურებით, „ტაშქენ-ტის 25-ელებო“, მრავალ იუბილეს ჯანმრთელობითა და ბედნიერებით!

სიყვარულით ლაშა გვასალია



## მურმან ხურცილავა



### ჭაშქენტის 25

(ექსპრომტი)

ეძღვნება ლუარა გამყრელიძეს, მურმან ზაქარაიას,  
ჯემალ შონიას, გიორგი სიჭინავას,  
ზაურ მოლაშხიას, ვალერიან ვეკუას

„რა საამური დღე არი,  
რა საამური წუთია“,  
გულს ნეტარება ამგვარი  
აქამდე არც განუცდია.

თუ ჩემს მადლობას აწონით,  
სულ ცოტა, ასი ფუთია,  
უფლისმიერი ნათელი  
ტაშკენტის ოცდახუთია.

აქ ერის სული ტრიალებს,  
რაც ასე ტკბილსათუთია,  
ჩვენი წარსულის დიდება  
ტაშკენტის ოცდახუთია.

ოქროა, ოქრო ბაჯალლო,  
განა რკინა და თუთია,  
მტრისთვის ნალესი მახვილი  
ტაშკენტის ოცდახუთია.

აქეთ რომ მომეჩქარება,  
ეს ლტოლვაც ხომ საბუთია,  
ხვალის რწმენა და იმედი  
ტაშკენტის ოცდახუთია.

ლუარამ ჭეშმარიტებას  
აქ ღამეები უთია,

სიმართლის გზა-მისამართი  
ტაშკენტის ოცდახუთია.

კერა დიადი აზრების –  
ბოროტმა რომ შეუტია –  
აქ არის, სხვაგან წუ ეძებთ,  
ტაშკენტის ოცდახუთია.

ზოგი ეშმაკი თუ არის,  
ზოგი ეშმაკის კუდია,  
ამათი დამაფრთხობელი  
ტაშკენტის ოცდახუთია.

მოწამეს ქვა რომ ესროლა,  
დღესაც წყევლას რომ უთვლიან,  
იმ კაცის შემარცხვენელიც  
ტაშკენტის ოცდახუთია.

ვისაც თვალები უბრწყინავს  
და გულშიც ცეცხლი უნთია,  
მისთვის ძალა და ღირსება  
ტაშკენტის ოცდახუთია.

აქ ყველა ხელგაშლილია,  
განა ბლენძი და ბუტია,  
და ყველა სახლზე მაღალი  
ტაშკენტის ოცდახუთია.

10 VII, 2019 წ.

## თენიზ კუპლაშვილი

### „ხელმოცარულთა“ ურვა

#### ნინათქმა

სტუმართმოყვარე ქართულ სოფელში და-პატიუებულს თიკუნის დაუხმარებლად მასპინ-ძლის მონახვა შეიძლება გაგიჭირდეს.

გამოჩენდება ვინმე ენაკვიმატი და მავანს ისეთ მეტსახელს დაარქმევს, რომ მას არამც თუ სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდეგაც ამ თიკუნით ისხენებენ.

მაგალითად გამოდგება გიორგი ლეონიძის მოთხოვის გმირი „ჭამპურა“!

მოქეიფე, ჭამა-სმის დიდად მოყვარულ კაცს ყველა ჭამპურას ეძახდა.

თიკუნის ამგვარი მდგრადობა განპირობებულია იმით, რომ იგი პატრონის შინაგან სამყაროს, ხასიათს ან გარეგნობას უფრო კარგად გამოხატავს, ვიდრე პასპორტისმიერი სახელი.

ამავე დროს თიკუნი ნათლიასაც ახასიათებს, რადგან იგი შერქმეულია სიყვარულით, დაცინვით, შურით, სიძულვილით...

მე „ხელმოცარული“ დამარჯვეს. ამას როგორმე ავიტან, მაგრამ ამ თიკუნით მოიხსენიებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად მონაწილე ხალხს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა რატომ უნდა იყოს ხელმოცარულობა?

ამ თიკუნის ნათლიები პუტჩისტები და მათი მომხრე ხალხია, მე არ ვაპირებ მათთვის თიკუნის შერქმევას, მაგრამ ჩემს ნაწერში განვიკითხავ, ვამხელ მათ ქვებუდანობას, ამის უფლებას მაძლევს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის მოწოდება: „როცა საქმე აშკარა უკეთურობასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსაც და მახვილსაც არ უნდა ვერიდოთ, არც დროისა და ხელმიფეთა მოთხოვნებს დავემორჩილოთ“.

მაგონდება სკოლაში ნასწავლი დიდი პოეტის ლექსი:

„მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?

ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.

მე თუ გინდა, თავის მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,

ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალები-დან 30 წელიწადი გავიდა, როგორია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა?

ეკონომიკის გაპარტახება, ტოტალური უმუშევრობა, ახალგაზრდების უცხო ქვეყნებში გადახვენა ლუქმაპურის საშოვრად, შობადობის კატასტროფული შემცირება, ორი-სამი ათეული წლის შემდეგ საქართველოში ქართველების უმცირესობაში ყოფნა, ტერიტორიების დაკარგვა, ყოველივე ქართულის აშკარა თუ ფარული დისკრედიტაცია...

ამაზე მეტი უკეთურობა რაღა უნდა იყოს?

#### ჰომო სოვიეტიკუსიდან ჰომო ფაგოსამდე

ცხოვრებას შემორჩა საბჭოთა იდეოლოგის ნაქებარ-ნატრაბახები ადამიანის ახალი სახეობა – ჰომო სოვიეტიკუსი! საბჭოთა ადამიანი!

ჰომო საბიენსიდან ახალი მოდგმის შექმნის პრობლემაზე დიდი ხანია მუშაობენ დასავლეთის ქვეყნების მრავალი სამეცნიერო ინსტიტუტები: „ტავისტოკვის ინსტიტუტი“, „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი“, „სოციალური კვლევის ინსტიტუტი“ და სხვა.

ეს ინსტიტუტები მუშაობენ ცნობიერების შეცვლის, ადამიანის გარდასახვის, კლონირებისა და სხვა სატანისტურ პრობლემებზე. ბიოქიმიური და გენეტიკური მანიპულაციები შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ისეთი არსება, რომელიც ირჯება ისე, როგორც ადამიანი, მაგრამ სინამდვილეში ადამიანი არ არის. ჩვენი მთავარი მიზანია, – წერს გლობალისტი ბჟეზინსკი თავის ნაშრომში „ტექნოკრატიული ერა“, – „შევექმნათ ისეთი არსება, რომელიც მორჩილად შეასრულებს ჩვენს ნებისმიერ ბრძანებას. ადამიანი უნდა იქცეს უსულო, მექანიკურ არსებად“.

ლაპარაკობენ აგრეთვე ფსიქოტრონულ იარაღზე, რომელიც ფარულად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გენერალური მდივანი ალენ დალესი ახალი არსების

გამოყვანისთვის მოითხოვდა ლიტერატურიდან და საერთოდ ხელოვნების ყველა დარგიდან ამოებირკვათ სოციალური არსი. კინოს, თეატრის, ტელევიზიას, მხატვრულ ლიტერატურას უნდა განედიდებინა ადამიანთა ქვენა გრძნობები, ადამიანის შეგნებაში უნდა შეეტანათ სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღობისა და ცილისწამების კულტი... დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის გახრწნის, გადაგვარების, მათგან ჯაშუშების, მკვლელების, კოსმოპოლიტების გამოყვანის ახალი, უფრო ეფექტური გზებისა და საშუალებების გამონახვას.

ალენ დალესის დოქტრინა სრულდება. ფარული ხელისუფლება მიზანს აღწევს. აი, რას წერს სერბი არქიმანდრიტი ოუსტინე პოპოვიჩი თავის ნაშრომში „მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი“: „პიროვნება გაუფასურებული და გაცამტვერებულია ევროპაში, დარჩა ოდენ უსიცოცხლო ადამიანი – ნივთი. ალარ არსებობს მთლიანი, უკვდავი, ღვთის მსგავსი ადამიანი – დარჩა მხოლოდ ნამსხვრევები ადამიანისა, მხოლოდ სხეულებრივი ჩენჩრი, რომლისგანაც განუდევნიათ სული. მართალია, ეს ჩენჩრიდახვენილია, გარანცულია, ელვარებამდეა გაპრიალებული, მაგრამ მაინც ჩენჩრია მხოლოდ და მეტი არაფერი. ევროპულმა კულტურამ სულისგან განძარცვა, გაამატერიალურა ადამიანი, რალაც საშინელ მანქანად აქცია იგი; და აი, ევროპული კულტურა ახალ ურჩეულისმაგვარ საზარელ მანქანად წარმოდგება ჩვენს წინაშე, რომელიც შთანთქავს ადამიანებს და ნივთებად გადამუშავებს მათ. და ფინალიც ამისა მძიმე და ტრაგიკულია: ადამიანი უსულო საგნად ქცეულა უსულო საგნებს შორის“ (წიგნიდან „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, ტ. 5, თბ. 1995 წ., გვ. 118-119).

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა დაიწყეს რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისგან ისეთი არსების გამოყვანა, რომელსაც დაკარგული ექნებოდა ყოველივე ის, რაც ადამიანს ღმერთს ამსგავსებს. ამისთვის მარტო ათეისტური აღზრდა არ იკმარეს.

დასავლეთის ქვეყნების მასონებისგან განსხვავებით, ბოლშევიკები ახალი არსების გამოყვანაში უპირატესობას ტერორს ანიჭებდნენ, როგორც უფრო ეფექტურს, სწრაფად მოქმედ საშუალებას.

აი, რა სურდა ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ ბელადს ღევ ტროცკის: რუსეთი „უნ-

და გადავაქციოთ უდაბნოდ, რომელიც დასახლებული იქნება თეთრი ზანგებით და მათ ისეთ ტირანიას მივცემთ, ალმოსავლეთის დესპოტებსაც კი რომ არ უნახავთ საშინელ სიზმარში... ჩვენ მოვაწყობთ ისეთ სისხლისლვრას, რომლის წინაშეც შედრებიან და კაპიტალისტური ომების ყველა საკაცობრიო დანაკარგი გაუფერულდება.

თუ რევოლუციის დროს გავიმარჯვებთ, რუსეთს გავჭყლიტავთ, მაშინ მის ნანგრევებზე გავამაგრებთ სიონიზმის ძალაუფლებას და გადავაქცევთ იმ ძალად, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო დაიჩრებას... სისხლისლვრით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ გამოთაყვანებამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე“... (ციტირებულია ელიზბარ ჯაველიძის წიგნიდან „ავაპმე, ჩემო მამულო“!... თბ. 2007 წ., გვ. 457).

ბოლშევიკებმა რუს ინტელიგენციას რაც დამართეს, ცნობილია. იგივე ბედი გაიზიარა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების ინტელიგენციამაც. და არა მხოლოდ ინტელიგენციამ!

შემთხვევით გადაურჩა წითელ ტერორს მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომძერალი თედორე შალიაშვილი. იგი მატარებლით სადაცც მიემგზავრებოდა. რომელიდაც სადგურზე ვაგონში შეიარაღებული ჯარისკაცები შესულან. დაინახეს სუფთად ჩაცმულ-დახურული შალიაშინი. „ბურჟუა!“ – შესძახეს და ხელი სტაცეს. ჩაიყვანეს პერონზე, დააყენეს კედელთან და სასროლად თოფები მოიმარჯვეს. ამ დროს ერთმა ოფიცერმა გაიარა, რომელიც თავის დროზე ოპერაში დადიოდა და საყვარელ მოძღვრალს ტაშს უკრავდა. ჯარისკაცებს უბრძანა ეს „ბურჟუა“ მისთვის გადაეცათ, რათა საჭირო ინფორმაციისთვის დაეკითხა.

ოფიცერმა შალიაშინს ურჩია უცხოეთში წასულიყო, რადგან ყოველთვის ვერ გადაარჩენდა. მართლაც, შალიაშინმა მოახერხა უცხოეთში წასვლა და სიცოცხლის შენარჩუნება.

წარმოიდგინეთ, რამდენ ამგვარ „ბურჟუას“ დახვრეტდნენ დიდი რუსეთის იმპერიაში. არ ინდობდნენ არც მუშებს და გლეხებს!

პოლიტიკური წითელი ტერორი არ ინდობდა უცხოეთში გადახვეწილებაც.

ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მენშევიკური მთავრობის წევრი ნოერამიშვილი პარიზში ქუჩაში მოკლეს... და არა მხოლოდ რამიშვილი!

ბოლშევიკური ტერორი მარტო დახვრეტები, ქუჩაში ლიკვიდაცია და მონამვლები არ

## დიდი ლალატის ანატომია

ამგვარ მასობრივ ტერორს არ შეიძლება არ შეეცვალა ადამიანის მორალი. სიცოცხლის გადარჩენის ინსტინქტმა ძალუმად იმოქმედა და გაჩნდა ახალი არსება – *Homo Sovieticus!* საბჭოთა ადამიანი!

ბოლშევიკები საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდნენ მათთან სულიერად ახლოს მდგომ რეციდივისტებს, ბანდიტებს, ქურდებს, დამსმენებს..., რომლებიც დანაშაულს აუცილებლად ჩაიდენდნენ და ამგვარად, დასჯის შიშით ხელისუფლების მორჩილება და ერთგულება გარანტირებული იყო.

მათ მეირ დაწყებულმა კორუფციამ, ქურ-დობამ, დატაცებამ, დასმენამ სახელმწიფო მასშტაბით ყველა სფეროში შეაღწია.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლ  
შევიკებმა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე  
რეციდივისტები დანიშნეს. არჩილ ბერიაშვილი  
(ქურდი) — დაინიშნა თელავის მილიციის უფ-  
როსად; არაბული (ბანდიტი) — დუშეთის მილი-  
ციის უფროსად; დარჩო ჭილოშვილი (რეციდი-  
ვისტი) — ანანურის რევენუმის თავმჯდომარედ;  
ქუთათელაძე (ბანდიტი) — ოზურგეთის ჩეკას  
უფროსად; კობიაშვილი (ბანდიტი) — ჩოხატა-  
ურის ადმინისტრაციის უფროსად; თათარაშ-  
ვილი (ბანდიტი) — მილიციის თანამშრომლად;  
გუდარაშვილი, კოსაშვილი (მკვლელები) —  
თბილისის მილიციის თანამშრომლად (გაზეთი  
„მარჯვი“, 1998 წ., №7).

კერძო საკუთრების გაუქმებამ, მისმა საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებამ გამოიწვია ამ საკუთრების მასობრივი ქურდობა და დატაცება.

აი, რას წერს ამ მოვლენის შესახებ ი. სტალინი 1934 წელს: „მთავარი ამ ადამიანების მოღვაწეობაში ის არის, რომ ისინი აწყობდნენ სახელმწიფო ქონების, კოოპერატიული ქონების, საკოლმეურნეო ქონების მასობრივ ქურდიობას და მტაცებლობას. ქურდობა და მტაცებლობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, ქურდობა და მტაცებლობა საწყობებსა და სავაჭრო საწარმოებში —

ასეთია ამ ყოფილი აღამიანების „მოლვანეობის“ ძირითადი ფორმა“. (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, თბ., 1939 წ., გვ. 491)

ქურდობა და მტაცებლობა, რომლის შესახებაც სტალინი ლაპარაკობს, დღემდე გრძელდება უფრო დახვეწილი, უფრო შენიღბული ფორმით. იგი საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესად გადაიქცა. ქურდობდა და ქურდობს ყველა, დაწყებული თანამდებობის პირიდან, დამთავრებული მუშით და გლეხით. განსხვავება მხოლოდ ნაქურდალის რაოდენობაშია.

იყო დრო, როცა ასეთ ნათქვამს გაიგნებდი: მავანი თანამდებობის პირი ადგილს აფუჭებს!

ასე იტყოდნენ იმ თანამდებობის პირზე, რომელიც კორპუმპირებული არ იყო, არა ქურდობდა, ქურდობას სხვასაც უკრძალავდა და აქედან გამომდინარე ნაქურდალს ზემდგომ ამხანაგებს არ უნაწილებდა.

როგორც წესი, ამგვარ წესიერ ჩინოვნიკს  
სამსახურიდან ათავისუფლებდნენ.

ყველა დროში, ყველა რელიგიისა და ხელი-  
სუფლებისაგან სასტიკად აკრძალული ქურდო-  
ბა და მტაცებლობა ოქტომბრის რევოლუციის  
ბელადებისთვის ნებადართული იყო.

იგორ ბენინი 1993 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „პარტიის ოქრო, სატანის პოლიგონი“ აქვეყნებს დოკუმენტურ მასალებს.

რევოლუციის ბელადებმა ლენინმა, ტროცკიმ, ძერუინსკიმ, კამენევმა, ზინოვიევმა რევოლუციის მოხდენისთანავე ხაზინიდან მიღიონობით ოქროს ფული დაიტაცეს და შვეიცარიის ბანკებში გადამალეს.

ლენინს, ტროცკის და სხვა ამხანაგებს არ ჩამორჩნენ საქართველოში 1991-1992 წლებში მომხდარი „სახალხო რევოლუციის“ სულის ჩამ-დგმელი და შემსრულებლები. საქართველოს პანკებიდან და შემნახველი სალაროებიდან მიღიარდობით ფული დაიტაცეს. განსხვავება ის არის, რომ ოქტომბრის რევოლუციის ბელადების ქმედება ერთჯერადი იყო. ჩვენი „რევოლუციის“ არამზადა „ბელადების“ და მათი მეკვიდრეების მიერ ხაზინისა და მოსახლეობის ძარცვა, სტრატეგიული ობიექტების, ძირძველი ქართული მიწების გაყიდვა-გასხვის გება კი სამი ათეული წელიწადია გრძელდება.

ამგვარი გმირი იყო პავლი მოროზოვი, რომელმაც საკუთარი მამა დაბეზლა და დაახვრეტინა. მამის დანაშაული კი ის იყო, რომ მოძალადე ხელისუფლებას ხორბალი სრულად არ ჩააბარა, ცოტა სათესლედ გადამალა. სურდა გაზაფხულზე დაეთესა და პური ჰქონოდა, პავლიკა შემშილით რომ არ მომკვდარიყო.

ეს ახალგაზრდა გარენარი მომავალი თაობის ოქტომბრელების, პიონერების, კომკავშირელების სამაგალითო გმირად აქციეს.

ბავშვთა ცნობილ სასწავლო-დასასვენებელ ბანაკში „არტეკში“, სადაც პრივილეგირებული ოჯახის შვილებიდან წარჩინებულ პიონერ-კომკავშირელებს აგზავნიდნენ, იმყოფებოდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცნობილი ლიდერის მორის ტორეზის შვილი, რომელმაც მოგვიანებით მოგონებები გამოაქვეყნა. იგი აღნიშნავს, რომ ბანაკის პედაგოგები ახალგაზრდა აღსაზრდელებს ერთმანეთის თვალთვალსა და დაბეზღებას ავალდებულებდნენ, მოითხოვდნენ, დაესმინათ მეგობრები, ნაცნობები, უცნობები... ვინ რას ლაპარაკობდა, რას აკეთებდა, ვის ვინ უყვარდა, ვინ რატომ იყო სევდიანი, მხიარული...

სამსახურებრივი კარიერისთვის აუცილებელი იყო კარგად დაუფლებოდნენ უზნეობას, ამგვარად განვრთნილი ახალგაზრდები ავსებდნენ წითელი ინტელიგენციის რიგებს. ეს ინტელიგენცია კი მართავდა საბჭოთა იმპერიას 70 წლის მანძილზე.

1918 წელს ბოლშევიკებმა ცენტრალური რუსეთის რამდენიმე მაზრაში სპეციალური დეკრეტით ოჯახი გააუქმეს, აკრძალეს. ოჯახი ჩათვალეს კერძო საკუთრების ბუდედ. ქალი უნდა დანებებოდა ნებისმიერ მამაკაცს, მხოლოდ პროლეტარს, წყეული ბურუუს გარდა! ბავშვებს არ უნდა სცოდნოდათ, ვინ იყვნენ მათი მშობლები, არც მშობლებს უნდა სცოდნოდათ, ვინ იყვნენ მათი შვილები. ისინი იზრდებოდნენ ე.ნ. „პრიუტებში“. აქ იზრდებოდა აგრეთვე ათასობით უპატრონო, ობოლი, მშობლებისგან მიტოვებული ბავშვები.

ამ დაწესებულებაში გამოჰყავდათ არსება, რომლისთვისაც უცხო იყო ოჯახი, მშობლების სიყვარული, დედმამიშვილობა, მეგობრობა, თანადგომა, მიტევება... მათვის არ არსებობდა ღმერთი და ათი მცნება!

იოსებ სტალინმა ტროცკის საბჭოთა კავშირიდან გაძევების შემდეგ ოჯახებს აღუდგინა

ფუნქცია, შეწყვიტა ეკლესია-მონასტრების მასობრივი ნგრევა და სასულიერო პირთა დახვრეტები. რომ არა სტალინი, რუსეთს მართლა გადააქცევდნენ ტროცკის ნაოცნებარ თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ.

ავადსახსნებელი „ტროიკა“ დაუნდობლად ხვრეტდა ყველას. არ ინდობდა დახვრეტილთა ოჯახის ნევრებს. დახვრეტილის ცოლს ჩვილ ბავშვთან ერთად ციმბირში ასახლებდა.

სიცოცხლის გადასარჩენად აბეზლებდნენ სხვებს, აბრალებდნენ ხალხის მტრობას, იმპერიალიზმის ჯაშუშიბას. ამგვარად გადარჩენილთაგან და მათი მემკვიდრეობისგან შეიქმნა წითელი ინტელიგენცია, პარტიის ხაზის უერთგულესი გამტარებლები!

წითელმა ტერორმა ძირითადად იმსხვერპლა განათლებული, პატრიოტი ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, მამულიშვილები საზოგადოების ყველა ფენიდან.

ცოტა თუ გადაურჩა წითელი ტერორის მსახურალ ხელს, არ შეყრიათ წითელი ინტელიგენციის ვირუსი, შინაგანად არ გადაქმნილა, გარეგნულად ინარჩუნებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულებას. ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს, მათში სრულად ჩაეკლათ ეროვნული სული, პატრიოტული გრძნობა, მამულიშვილობა, ტრადიციული ცხოვრების წესი... მათი დამსახურება ის, რომ მთვლემარე ეროვნულმა სულმა გაიღვიძა და ქართველმა ერმა აღადგინა 1921 წელს წართმეული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საბჭოთა ხალხის ელიტარული ფენა – წითელი ინტელიგენცია, სტალინის პიროვნების კულტად გამოცხადებას და მის მავზოლეუმიდან გამოტანას ტაშის ცემით შეხვდა, სწორედ ის ხალხი, ვინც ბელადის მიმართ ღრმა მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული, ერთგულებას ეფიცებოდა და მის სიტყვებს ყოველთვის მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეთანხმებოდა.

იმპერიალისტების ჯაშუშიბა დააბრალეს თვით ლავრენტი ბერიას!

გენერალისიმუსს, სამამულო ომში გამარჯვების შემოქმედს, საბჭოთა კავშირში ატომური ბომბის დამზადების ორგანიზატორებს თუ სახელმწიფო დამნაშავეებად გამოაცხადებენ და ამ ამბავს წითელი ინტელიგენცია იჯერებს და ტაშის ცემით ეთანხმება, მაშინ მიღიონობით უბრალო საბჭოა ადამიანის დამნაშავედ

შერაცხვა და მათი, მშიერ-ტიტვლების პოლარული წრის იქით კატორლულ სამუშაოებზე გარეკვა მათ სულაც არ უნდა ადარღებდეთ!

დასავლეთის ქვეყნების ფილოსოფისები და სოციოლოგები აღნიშნავდნენ, რომ ჰომო სოვიეტიკუსი ჰომო საპიენსისგან იმით განსხვავდება, რომ მათთან დომინირებს სხეულებრივ-ბიოლოგიური მოთხოვნილებები და ამ მოთხოვნებათა დაკმაყოფილებას ენირება სულიერება.

ჰომო სოვიეტიკუსი, საბჭოთა ადამიანი ცვალებად სინამდვილეს სწრაფად ეგუება და გარემოს უფლება ყოველგვარი მორალურეთიკური ნორმების დაცვის გარეშე.

ესტრადის ვარსკვლავმა არყადი რაიკინმა კარგად დაინახა ეს თვისება: შური სხვათა მაძლრობაზე! ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს მისი იუმორით წამოძახილი: „ზაჩემ სავეტსკომურელავეკუ სლონ! ა ურიოტ სკოლკო! სკატინა!“

საბჭოთა ადამიანთა მასისგან პრივილეგირებული მდგომარეობით გამოირჩეოდა წითელი ინტელიგენცია.

საზოგადოების ამ ფენას გააჩნდა ჰომო სოვიეტიკუსისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება. მათთან გამოირჩეოდნენ იმით, რომ მუშაობდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, იყვნენ მეცნიერები, მწერლები, პოეტები, რეჟისორები, მსახიობები, მთავრობის ჯილდოების მფლობელნი, „დახვეწილნი, გარანტულნი, ელვარებამდე გაპრიალებულნი!“

საბჭოთა ადამიანისთვის, განსაკუთრებით წითელი ინტელიგენციისთვის იმანენტურ თვისებად იქცა ქურდობა, კორუფცია, მოსყიდვა, შანტაჟი, მლიქვნელობა ფარისევლობა...

საბჭოთა კავშირის დაშლაში მონაწილე წითელი ინტელიგენცია უსაქმოდ არ დარჩენილა. მართალია, რეჟიმსა და კომპარტიას აღარ უმდეროდნენ, აღარ აქებდნენ, მაგრამ რაღაც მაქინაციებით ორ-სამ წელიწადში მილიარდერები გახდნენ.

ისტორიას არ ახსოვს, გენიოს გამომგონებელს, მენარმეს – ბიზნესმენს მილიარდები ეშოვოს ასე მოკლე დროში. წითელმა ინტელიგენციამ ეს შეძლო. როგორ? ჯერ ერთი, წლების მანძილზე ნაკურდალ-დატაცებული, კორუფციით ნაშოვნი ფული გაათეთრეს და დაიკანონეს, მეორე, მართალია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ხელისუფლებაში დარჩენი. მათ ხელში აღმოჩნდა ხაზინა, ქვეყნის

ბუნებრივი რესურსები, არსებული ფაბრიკა-ქარხნები და მილიონობით მუშახელი, პროტესტის გრძნობის უქონელი საბჭოთა ადამიანი.

ქურდობა-დატაცების დამშლელი და ამკრძალავი კი არავინ!

საქართველოში 1990 წელს მრავალპარტიულ არჩევნებში „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ წითელი ინტელიგენცია უფუნქციოდ დარჩა, განსხვავებით რუსეთის წითელი ინტელიგენციისა საქართველოში წითელი ინტელიგენცია ხელისუფლების გარეშე დარჩა. ხაზინის, ხალხის ქონების, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ქურდობის, დატაცების, გაყიდვის უფლებას, ბუნებრივია, არავინ მისცემდა. ამიტომ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დახმარებით მოახდინეს სახელმწიფო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, რომელსაც „სახალხო რევოლუცია“ დაარქვეს.

გაიმეორეს ერთ დროს ტროცკის მიერ რეკომენდებული წითელი ტერორი. რეციდივისტებისგან დაკომპლექტებულმა „მხედრიონმა“ ქართველი პატრიოტების ხოცვა-ულეტა დაიწყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული სისასტიკით კი – სამეგრელოში!

ხელისუფლებაში მოვიდა ის ინტელიგენცია, რომელმაც ხელში იარაღი აიღო და იარაღის ხელში აღებისთვის მამა-მარჩენალმა ედუარდ შევარდნაძემ საჯაროდ დიდი მადლობა გადაუხადა. შეიძლება მადლობა ასეთი ფორმით არ ეთქვა, მაგრამ ინტრიგანობის დიდოსტატმა შევარდნაძემ შეგნებულად ხაზი გაუსვა მათ დანაშაულს!

ცხადია, სიტყვიერ მადლობასთან ერთად უფლება მიეცათ ეძარცვათ ბანკები, შემნახველი სალაროები, ჯართად გაეყიდათ უზარმაზარი ქარხნები უნიკალური ჩარხებით, დაეტაცათ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ქონება, გაეყიდათ მამა-პაპათა სისხლით შენარჩუნებული ძირძველი ქართული მიწები არაბებზე, ჩინელებზე, ინდოელებზე, ხატაელებზე...

უზურპატორი ხელისუფლება ამგვარ „ვაჭრობა-ეკონომიკას“ ბენდუქიძისეული ლოზუნგით ამართლებს: „შეიძლება ყველაფრის გაყიდვა სინდისის გარდა“!

ვინ იყიდდა მათ სინდისს?  
ეროვნული ხელისუფლება დამხეს არა

გამსახურდიას „დიქტატორობის“ გამო, არამედ იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია უფლებას არ მისცემდა ეძარცვათ ქვეყანა, გაეყიდათ საქართველო!

საქართველოში წითელი ინტელიგენციის წიაღიძან იშვა ახალი ბიოლოგიური პოპულაცია, რომელსაც შეიძლება ყოვლისშთანმთქმელი ადამიანი – Homo Phagos – ვუწოდოთ. იგი ფლობს მშობლის ყველა თვისებას და შეიძინა ისეთი რამ, რაც ერთობ საშიშია ერისთვის, სახელმწიფოსთვის.

ჰომო ფაგოსს დაჩრდინებული აქვს საზოგადოებაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენებისადმი პროტესტის გრძნობა, იმიტომ რომ ანტისოციალური, ანტისაზოგადოებრივი მოვლენები ჰომო ფაგოსის არსებობის აუცილებელი პირობაა. ხელისუფლებაში მყოფი ჰომო ფაგოსი არასდროს გაატარებს ერისა და სახელმწიფოსთვის სასარგებლო რეფორმებს.

უცხოეთიდან დაფინანსებულ უამრავ არასამთავრობო ორგანიზაციაში თავშეყრილი ჰომო ფაგოსები და მათი მემკვიდრე ახალგაზრდები უსაქმოდ არ სხედან, აქტიურად იბრძვიან გლობალისტების რეკომენდაციების საქართველოს ცხოვრებაში გასატარებლად. თავგამოდებით იცავენ გეიპარადებსა და ნარკობარიგებს.

ჰომო ფაგოსის იმანენტური თვისებებია კოსმოპოლიტიზმი, ყოველივე ეროვნულისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება, ყოველივე უცხოურის ბრძად მიღება, გობსეკისეული უინით ქონების დაგროვება, გასტრონომიული მოთხოვნილებებით განპირობებული მსოფლადება, კრიმინალისადმი მიდრეკილება.

ჰომო ფაგოსის შთანთქმის ლუკმად იქცა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, ქარხნები, შახტები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ქონება, მოსახლეობის შრომითი დანაზოგები, უცხოეთიდან მიღებული ჰუმანიტარული დახმარების უდიდესი წილი, მამული... შთანთქმის ლუკმად იქცა მთლიანად საქართველო სულიერი და უსულო საგნებით, უძრავ-მოძრავი ქონებით...

ჰომო ფაგოსად მეტამორფოზებული წითელი ინტელიგენცია ყიდის საქართველოს, ქართველ ერს!

მხოლოდ ერთმა ოპოზიციონერმა პატონმა ნოდარ ნათაძემ აღიარა ქართველი ინტელიგენციის ღალატი და გაზეთ „ასავალ-დასავალის“

კორესპონდენტთან საუბარში გულწრფელად განაცხადა: „ყველა, ვინც ნებსით და უნებლიერ, მონაწილეობა მივიღეთ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, საკუთარ თავს ერთადერთი განაჩენი გამოვუტანეთ: შუბლში ტყვია!“ („ასავალ-დასავალი“, 7-13 ოქტომბერი, 2019 წ., №40)

სახელმწიფო გადატრიალებაში ნებსით თუ უნებლიერ მონაწილენი კი ძალზე ბევრი არიან. ძირითადად ელიტარული საზოგადოებიდან.

აი, როგორ ახასიათებს დიდი მნერალი ოთარ ჩხეიძე უნივერსიტეტის კიბეზე (და სხვაგანაც) საპროტესტოდ ჩამომსხდარ ინტელიგენციას: „აიშლებოდნენ, ავარდებოდნენ, ჩამოსხდებოდნენ. უფრო ისხდნენ. მდუმარე პროტესტიო... რა მოლლიდათ, მასლაათობდნენ, მიირთმევდნენ, სვამდნენ. ყავა ეყენათ ჩინურ თერმოსებში, ყავა უყვარდათ ვერა-ვაკელებსა, მთაწმინდებები გადარევას იყვნენ, საბურთალოელებს ნულარ იკითხავ... ისხდნენ. აქა ბრძანდებიან რეზისორები, აქა პოეტები, მჭერმეტყველი ფილოლოგები, სახელდახელოდ გამომცხვარი პოლიტიკოსები, გადაკეთებული ისტორიკოსები, გადაკეთებული ეკონომისტები... ჰქებდნენ, მრისხანებდნენ: ერთი ამას და მიხედეთო, მართლა პრეზიდენტათ რო მოაქვს თავიო... შურდათ: მამა რომ კონსტანტინე ჰყავდა, კოლხური კომპუირო ედგა, შურდათ ფარშავანგი რო დადიოდა ეზოში, შურდათ, შვლის ნუკრისაცა შურდათ...“ (რომანი „არტისტული გადატრიალება“. თბ., 2002 წ.)

### ხელმომთბარნი ქართველი ერის შესახებ

ერთი ახლადგამომცხვარი პოლიტიკოსის დ. ზურაბიშვილის აზრით ქართული სულიერებისთვის არსებითი თვისებაა „ტოტალიტარული ტენდენციები, რომლებიც დიქტატურას წარმოშობს“. მისი ღრმა რწმენით, „ქართველი კაცის ფეოდალისტური ფსიქიკა აღმოჩნდა ის ნოენირი ნიადაგი, რომელშიც გაღვივდა კომუნისტური დიქტატურის თესლი“.

ამ საშინელ ბრალდებას ემატება ისიც, რომ ქართველების ფეოდალისტურმა ფსიქიკამ აღმოაცენა ისეთი „უბედურება“, როგორიცაა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა!

ჭკუისკოლოფა დ. ზურაბიშვილი ცდილობს დაგვარწმუნოს იმაში, რომ ეროვნული მოძრაობის მთავარი ნაკლი ყოფილა მისი „მონური

ცნობიერება“ და „სანამ ჩვენ, ქართველები, არ დავამსხვრევთ დრომოქმული ფსიქიკის ბორკილებს, თვითოეული ჩვენგანის გულში იცოცხლებს ჩვენი მონური სულისკვეთების ჯოჯონეტური ხატი“.

ჩემი გონიერა უძლურია, ჩასწვდეს ზურაბიშვილისულ „სიბრძნეს“.

რატომ იბრძვის მონური სულისკვეთების ხალხი თავისუფლებისთვის, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის? არ ვიცი!

ასევე სახელდახელოდ გამომცხვარმა პოლიტიკოსმა პ. ზაქარეიშვილმა უცხოელ არაკეთილმოსურნებს აუწყა ის, რომ ქართველებს არა სურთ დაინახონ აფხაზეთისა და ოსების მისწრაფება თვითგადარჩენისკენ, სურვილი, მიიღონ გარანტიები, რომლებიც დაარნმუნებთ, რომ მათ ეროვნულ განვითარებას პერსპექტივა აქვს. ქართველებმა ვერ უზრუნველყოფს ამგვარი გარანტიებით, რუსეთმა უზრუნველყო, მე დაგიცავ შენ ქართული აგრესისგანო.

რა არის ეს? თვითგვემა? არჩადენილი ცოდვების მონანიება? უჭკუობა! უნებლივ შეცდომა? არა ბატონებო! ეს არის მოღალატური ცილისწამება ქართველი პოლიტიკოსისგან, დიდი თანამდებობის პირისგან! ეს არის ლალატი!

მაშ, ასე! ჩვენ აფხაზებსა და ოსებს (სხვებსაც) ვჩაგრავთ, პროვინციული ფაშისტური მეთოდებით მათ ეროვნულ განვითარებას ვახმობთ. რუსეთი კი მათ აგრესორი ქართველებისგან იცავს!

ისე ამ სიმართლით დამიბრდი, ზაქარეიშვილი! კაცი თუ არა, ღმერთი არ გაპატიებს, შხამად შეგარგებს!

დავით ბერძენიშვილი კი რუსულად გამოცემულ ბროშურაში წერს: „Абхазцы имеют право создать отдельное государство“.

საოცარია, ეს რესპუბლიკელი ვაიპოლიტიკოსები არ დასჯილან, ხმა არავინ ჩააკმენდინა!

მოდი და ამის შემდეგ აფხაზები და ოსები (სხვებიც) დაარნმუნე იმაში, რომ ქართველებს მათვის ცუდი არაფერი გვინდა.

ფილოსოფოსებმა გიორგი ბარამიძემ, ირაკლი ბრაჭულმა და თემურ ფილიამ 1995 წელს გამოსცეს წიგნი, რომელიც გლობალისტების ხელქვეით პოლიტიკოსს ედუარდ შევარდნაძეს ეძღვნება. ამ წიგნის ავტორთა აზრით, ქართველ ერს ტანჯავს პროვინციული ფაშიზმის სახადი. „ედუარდ შევარდნაძის უპირველესი ამოცანა, მისი ქანცგამომცლელი

მოლვანეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო ქართველი ერი ეხსნა პროვინციული ფაშიზმისაგან“.

ჰოს, გონიერა, მხეცთა უმძვინვარესი!

პუტჩისტებს სჭირდებოდათ ისეთი ფილოსოფოსი, რომელიც მათ დანაშაულს, სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას გაამართლებდა. ასეთიც გამოჩნდა, რუსეთში გადახვენილ-აღზრდილი, მთელი ცხოვრება მარქსისტული ფილოსოფოის, ანუ ბოლშევიკების მაქებარ-მადიდებელი მ. მამარდაშვილი.

როგორც მოსალოდნელი იყო პომო სოვიეტიკოს ფილოსოფოსისგან, მან უცებ, ხელალებით უარყო მარქსიზმი და ბოლშევიკები. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნული მოძრაობის ბრწყინვალე გამარჯვება ამ ფილოსოფოსმა ასე შეაფასა: „საქართველოში ბოლშევიზმა გაიმარჯვა სუფთა სახით“.

ფილოსოფოსი მამარდაშვილი ზურაბიშვილს ქართველი ერის ლანძღვაში არ ჩამორჩა. მისი აზრით, ქართული ხასიათი ეფუძნება, „კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნილებას, ყალბად გაგებულ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეყვარებულობას, ამპრტავნობას, რწმენას, რომ ყველაზე კარგები, ჭკვიანები ვართ!“

ამ ქართველთმოძულეს წითელი ინტელიგენცია აღმერთებს, თანამედროვეობის დიდ ფილოსოფოსად წარმოაჩენს, „ევროპას რომ შეშურდებოდა“ (რ. ამაშუკელის სიტყვებია).

განსხვავებით მამარდაშვილისგან დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი ქართველსა და ჩერქეზებს ასე ახასიათებს: „კავკასიურ რასაშიღა აღწერს გონი აპსოლუტურ იგივეობას თავის თავთან. აქლა შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან, თავის თავს იმეცნებს თავის აპსოლუტურ დამოუკიდებლობაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესს შორის, აღწევს თავისთავის განსაზღვრას, თავისი თვითობის განვითარებას და მით მსოფლიო ისტორიას წარმოშობას“. (ჰეგელი, გონის ფილოსოფია. თბ., 1984 წ., გვ. 63).

განსხვავებით ჰეგელისგან, ქართველი ფილოსოფოსი მამარდაშვილი „ევროპას რომ შეშურდებოდა“ სხვაგვარად ფიქრობს.

ქართველთმოძულე ქართველები ცდილობენ ქართველ ერს შთაუნერგონ არასრულფა-

სოვნების კომპლექსი, დაავიწყონ ისტორია, დაავიწყონ ის, რომ ქართველურმა მოდგმამ (პროტოიბერიულმა ხმელთაშუა ზღვის რასამ, პალეოკაციასიურმა, მედიტერანულმა მოდგმამ) საფუძველი ჩაუყარა საკაცობრიო ცივილიზაციას.

დიდი გერმანელი ენათმეცნიერი და ფილო-სოფოსი ვილჰელმ ჰუმბოლტი (სხვა ევროპელი მეცნიერებიც) წერს იმის შესახებ, რომ ქართველურმა მოდგმა: ბასკებმა, ეტრუსკებმა, პელაზგებმა, კოლხებმა და სხვებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიაში ძველ ბერძნებზე (ელინებზე) ადრე შექმნეს ცივილიზაცია.

მომხდურმა ინდოევროპულმა მოდგმამ (ელინებმა) აითვისეს სტიქიისგან დასუსტებული (მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა, ატლანტის ჩაძირვა) დამხვდური მოდგმის კულტურა და თავისებურად განავითარეს. მთავარი კი ის იყო, რომ ადამიანის ფსიქიკიდან თანდათანობით განვითარებული აზროვნება და გააბატონეს მატერიალური, კუჭზე მიჯაჭვული აზროვნება.

ძველ ბერძნებზე ადრე რომ არსებობდა მაღალი დონის ცივილიზაცია, ამას ადასტურებს მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი, კერძოდ, ერთი მათგანი, ფესტოსის დისკო, რომელიც მხოლოდ მეგრული ენის დახმარებით გაიშიფრა. ენათმეცნიერებმა დაადგინეს უძველესი შუმერული ენისა და სვანური ენის საოცარი ნათესაობა!

ეს ჩვენ შორის დარჩეს, თორემ ურაპატრიოტიზმს დაგვაბრალებენ!

ერთი მოპოლიტიკოსო-მოფილოსოფო, რომელსაც „წვერგაუპარსავ მაიმუნს“ ეძახიან, ლანდღავს და ცილს სნამებს არა მხოლოდ ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერებს, არა-მედ ზოგადად ქართველ ერს! მისი ჭკუით, ქართველი ერის თვალსაცემი თვისებაა სისასტიკე და დაუნდობლობა. ქართველებმა გენოციდი მოუწყეს ისებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, საქართველოში მცხოვრებ მცირე ეთნოსებს. ფაშისტური მეთოდებით ხდება მათი ლაგერებში გამომწყვდება!

ეს ბოროტი ცილისმნამებელი გახლავთ გია ნოდია. მან ძალიან კარგად იცის, რომ ქართველები ასეთები არა ვართ. ასეთები რომ ვიყოთ, მას არ აცოცხლებენ. ამიტომ ბედავს ამგვარ

ცილისმებას.

ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ერის ლირსებას იცავს, ნოდიას ამგვარი ცილისმნამებითვის აუცილებლად პასუხს აგებინებდა. პირიქით კი ხდება. მას მრავალი, უცხოეთიდან დაფინანსებული მიმდევარ-ტაშისმცემელი ჰყავს!

გერმანულმა გამომცემლობა „გოდმანმა“ 1995 წელს გამოსცა ფრანგი უურნალისტის პეტერ შოლ-ლატურის წიგნი „გახსნილი სამყარო“ (გერმანულიდან თარგმნა დარეჯან ლაგვილავამ).

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დღეებში იგი საქართველოში იმყოფებოდა და ობიექტურად აშუქებს, რაც იმ დღეებში თბილისში ხდებოდა. საინტერესოა მისი შთაბეჭდილება „მდიდარი მასპინძლის ოჯახში“ (მისი სიტყვებია) მყოფ ქართველ ინტელიგენციაზე ანუ, წითელ ინტელიგენციაზე. „სტუმრად მყოფი ქართველი ექიმები, მწერლები, პოეტები დაცინვით მოიხსენიებდნენ მათ მიერ დიქტატორად შერაცხულ ზვიად გამსახურდიას.“ „ოს, ეს ზვიად მეფე“ – ქირქილებდნენ ქალბატონები გაუთავებელ სადლეგრძელოებსა და ერთმანეთის დითორამბებს შორის“.

ფრანგმა უურნალისტმა შენიშნა, რომ ქართველი ინტელიგენცია არ თანაუგრძნობდა ხალხს, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა.

ქართველ ხალხს, ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერს ზვიად გამსახურდიას მარტო საქართველოში მყოფი ინტელიგენცია არ უტეხდა სახელს. უცხოეთში მცხოვრები ჯანრი კაშია ტიპური წარმომადგენელია იმ ქართველებისა, რომლებიც უცხოეთის პრესაში ლანდღავდნენ გამსახურდიას და ქართველ ერს. კაშია 1992 წელს ქართულ-ევროპული ინსტიტუტის უურნალ „ივერიაში“ (№1) აქვეყნებს სტატიას, სადაც „ასაბუთებს“, რომ საქართველოს მოსახლეობის 87% მაზოხისტია, ე.ი. ფსიქიკურად ავადმყოფი. ცოტა ქვემოთ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის აქტზე მარტო პარლამენტარებს კი არ უნდა მოეწერათ ხელი, არამედ მთელ მოსახლეობას. მაშინ დამოუკიდებლობის აქტს ძალა ექნებოდა.

თუ საქართველოს მოსახლეობის 87% მაზოხისტია, მათ ხელმოწერას რა ძალა ექნებოდა?

ამგვარი არალოგიკურობა დამახასიათებე-

ლია კაშიასთვის, მაგრამ მთავარი მაინც მისი საოცარი ერთგულებაა „დემოკრატიისადმი“.

რადგან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იგნორირებდა ოპოზიციის მოთხოვნას მიეღოთ კანონი სექსუალური უმცირესობისთვის, რათა მამაკაცს ცოლად მამაკაცი მოეყვანა, ქალი კი ქალზე გათხოვილიყო, ამ კანონის მიუღებლობა დემოკრატიის პრინციპების აშკარა დალატიაო. ამიტომ ოპოზიციას სხვა გზა არ დარჩა შეიარაღებული აჯანყების გარდა!

ეს სოდომის ცოდვით სავსენი ებრძოდნენ ქართველ ერსა და ზვიად გამსახურდიას!

პრაღაში კონფერენციის ჩასატარებლად შეიკრიბნენ ვითომ დისიდენტები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და სხა ქვეყნებიდან. ამ კონფერენციას ესწრებოდნენ ედუარდ გუდავა, თენგიზ გუდავა, გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი. კონფერენციაზე განიხილეს საქართველოში არსებული ვითარება და მიიღეს ე.წ. პრაღის №24 რეზოლუცია. მათ დაგმეს საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრა, ეროვნული შეუწყნარებლობა. 30 სექტემბერს დანიშნულ არჩევნებზე ეროვნული კონგრესი გაიმარჯვებს და მხოლოდ მაშინ მოედება ბოლო ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრასო.

უცხოელ ქართველთმოძულეთა ამგვარ ცილისნამებებს შეგუებულები ვართ. უბედურება ის არის, რომ ამ რეზოლუციის შემუშავებაში აქტიურად ქართველები მონაწილეობდნენ და ხელიც მოაწერეს.

ქართველი ერის, ეროვნული მოძრაობის გაბიაბრუებაში სხვებს არც ქართველი ფსიქოლოგები ჩამორჩება!

ფსიქოლოგი ნ. სარჯველაძე ფროიდისტულმა ანალიზმა იქამდე მიიყვანა, რომ აღმოაჩინა საქართველოს ეროვნული მოძრაობის „ნეკროფილური ხასიათი“, რომელიც „ნეგატიური თავისუფლების პრინციპს ეფუძნება“.

რას არ გაიგონებ?

ნოდარ სარჯველაძის ფსიქოლოგიური „დაკვირვებით“, ქართველი ქალისთვის დამასასიათებელია სექსუალური თავდაჭრილობა. ეს კი იწვევს აგრესიული მუხტის დაგროვებას. ეროვნულ მოძრაობაში ქალებს მიეცათ საშუალება ამ აგრესიული მუხტისგან განთავისუფლებულიყვენ. ამიტომ არიან ქართველი ქალები ეროვნულ მოძრაობაშია აქტიურად ჩართულნი.

ამ დიაგნოზს იზიარებენ გ. ნიუარაძე და

ბ. ჩეკურიშვილი, მათი „ფსიქოლოგიური ანალიზით“, ქართველი ქალი მსოფლიოში ყველაზე უმწეო, კარჩაკეტილი, ჩამორჩენილი არსებაა.

არ ვიცი, ეს ჭკუისკოლოფა ფსიქოლოგ-სოციოლოგები როგორ ახსნიან იმ ფაქტს, რომ „უმწეო“, „კარჩაკეტილი“, „ჩამორჩენილი“ ქართველი ქალები ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონები არიან, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონებიც, დიდი პოეტებიც, უურნალისტებიც. ნებისმიერი დიდი ერი იამაყებდა მათი გენიალური წარმატებებით სპორტში, თეატრში, მხატვრობაში, პოეზიაში, მეცნიერებაში, ლა-სკალის ოპერის თეატრშიც...

მხოლოდ საქართველოში ქართველმა უნდა დაამციროს მათი ღირსება ფარული ხელისუფლების დაკვეთითა და დაფინანსებით!

ფსიქოლოგი გ. ნიუარაძე ამტკიცებს, რომ ქართველ ერს ინფანტილიზმი სჭირს, რაც გამოწვეულია ბავშვის აღზრდის უვარგისი მეთოდებით. ამ ინფანტილიზმა კი წარმოშვა ფანატიზმი, რამაც ბრძოს ხელისუფლება მოიყვანა ქარიზმატული ლიდერით სათავეში.

ქართველ ერს ინფანტილიზმზე უფრო მძიმე დიაგნოზი დაუსვა გ. მარგველაშვილმა. მისი აზრით, ქართველი ერი მძიმედ არის დაავადებული. მას სერიოზული მკურნალობა ესაჭიროება, რადგან ანუხებს გონებრივი სისუსტე, დებილობის მსუბუქი ფორმა. ქართველი ერი მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას.

თუ ეს ასეა, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს პოეტ რეზო ამაშუკელის დიაგნოზი: ქართველ ხალხს შეზღუდული მეხსიერება აქვს!

მარგველაშვილი, რომელიც თავის თავს პლასტილინის კაცს ეძახის და ამით კიდეც ამაყობს, დიაცივით ქსოვა რომ უყვარს, ვაიპოლტიკოსების გადაწყვეტილებით საქართველოს პრეზიდენტი ხდება, უმაღლესი მთავარსარდალი!

ქართველთ მოძულებს რა დათვლის! ლაპარაკობენ ყალბად გაგებულ პატრიოტიზმზე, კერპთაყვანისმცემლობაზე, ამპარტავნობაზე, ჩამორჩენილობაზე, სისასტიკეზე, ინფანტილიზმზე, გონებრივ სისუსტეზე, დაუნდობლობაზე, ქაჯობაზე და მრავალი სხვა. მათ ვერ შეამჩნიეს ქართველ მამაკაცთა მიუტევებელი ცოდვა — ერთმანეთისადმი სექსუალური ლტოლვა!

პირველობა ემზარ ჯგერენაიას ეკუთვნის. მან პირველმა შენიშნა ქართველ მამაკაცებში სოდომური ცოდვა და აღწერა. მისი აზრით, ქართულ სუფრაზე, ქეითის დროს, მამაკაცები ერთმანეთს რომ ეუბნებიან: „მიყვარხარ“, „მომენატრე“, „მომენატრა შენთან ჯდომა, ბიჭო“, ეს თურმე ერთმანეთის მიმართ გაუცნობიერებელი სექსუალური ლტოლვაა. ამავე დროს ქართველ მამაკაცებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ქალებისადმი სექსუალური შიში. „ქართული სუფრა ტრაგიკულ ვითარებას მალავს. ის მალავს ჰეტეროსექსუალური აქტის არშემდგარობას, ღრმა ლტოლვას ქალისადმი და ამავდროულად, ქართველი მამაკაცების, მე ვიტყვიდი, პანიკურ შიშს ქალის, მისი სექსუალურობის წინაშე. ქალიშვილობის ინსტიტუტი, რაც მამაკაცური გამოგონებაა, ამ შიშის ერთგვარი დადასტურებაა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ფორმით ჰეტეროსექსუალისტური და შინაარსით ტრაგიკეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი – არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა...“

აშკარად ჩანს, რომ ემზარ ჯგერენაია ფსიქოლოგიაში ცნობილ თვითდაკვირვების მეთოდს იყენებს. თავის განცდებს აღწერს და აანალიზებს საკუთარ თავზე დაკვირვების გზით, თვითდაკვირვების საფუძველზე. მისი შეცდომა ის არის, რომ საკუთარ განცდებს განაზოგადებს!

პუტჩისტები ჯგერენაიას აქებენ და ადიდებენ. მის ნაბოდვარს და ცილისწამებას ლევან ბერძენიშვილი პლატონის „ნადიმს“ ადარებს, აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად მიაჩნია, ხოლო გ. გაბაშვილს – ფსიქოანალიტიკური აზროვნების შედევრად!

არაქართველ ქართველთმოძულებსაც კი არ უკადრებიათ ქართული სუფრისა და ქართველი მამაკაცის ამგვარი სულმდაბლური შეურაცხყოფა!

ვინ არის ეს ხალხი? იქნებ, ქართველი ერისთვის უკეთესი სურთ და ჩვენ, რეტროგრადები, უიმედოდ ჩამორჩენილები, ამას ვერ ვხედავთ? იქნებ დრო არის ჩვენმა ეკლესიამ კათოლიკურ ეკლესიას მიბაძოს და ერთნაირსქესიანებს ჯვარი დასწეროს? იქნებ დრო არის, ჩვენს ეკლესიაში რეფორმები ჩატარდეს, რადგან თურმე მართლმადიდებლობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებს!

არის ხალხი, რომლებიც საქართველოში

არსებულ ვითარებას „ობიექტურად“ აფასებდნ და „გადარჩენის“ გზას გვიჩვენებენ. ჩვენ კი, ჩამორჩენილებს ეს არ გვინდა! განსაკუთრებით „ხელმოცარულებს“ არ გვინდოდა და არ გვინდა!

„ხელმომთბარი კეთილმსურველები“ ბევრნი არიან, მაგრამ სანიმუშოდ რამდენიმეს დავასახელებ.

**ა. ჯოხაძე** – ქართველები ღმერთზე ვართ მინდობილი, რამაც გამოიწვია კიდეც ანტიკულტუროსნობა, პასიურობა, ანტიალმშენებლობა. რაც მთავარია, ქართული ეკლესია პატრიოტულ და ნაციონალურ მოტივებს წინ წამოწევს, რაც ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამიტომ ქართული ეკლესია პროგრესის დიდი მტერია

**რ. გაჩეჩილაძე** – მართლმადიდებლობის ბრალია ის, რომ ქართველებს შორის არ არის თვითდისკიპლინა. მართლმადიდებლობის ბრალია ის, რომ ქართველ ხალხში არ არსებობს „კაპიტალისტური სული“. ქვეყნის ეკონომიკური განუვითარებლობა მართლმადიდებლობის ბრალია. ჩვენ რომ შუა საუკუნეებში კათოლიკობა, კალვინისტობა, პროტესტანტობა მიგველო, ეკონომიკურად განვვითარდებოდით.

**გ. ნიუარაძე** – მართლმადიდებლობა ფულსა და კომერციას უარყოფითად უყურებს, რაც ქვეყნისთვის დამლუპველია.

**გ. მამულია** – მართლმადიდებლური ეკლესია ხელს უშლის საქართველოს სოციალურეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს არაფერი ეშველება მანამ, ვიდრე ქართული ეკლესია ევროპულ რეფორმებს არ გაატარებს.

**ე. ჯგერენაია** – ქართული კულტურა იმიტომ არის ასე ჩამორჩენილი, რომ ქართულ ეკლესიას რეფორმა არ განუცდია.

**მ. მამარდაშვილი** – დოსტოევსკი (ლრმად-მორწმუნე მართლმადიდებელი რუსი მწერალი, თ.კ.) მსჯელობის დონეზე უბრალოდ სულელია. რუსულად აზროვნებამაც და მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა.

**გ. მაისურაძე** – დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვებზე, თვითონ თავისუფლების წმინდა იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ პირველ რიგში სწორედ მართლმადიდებლობას, ამ საშინელ, რუსულ

## დიდი დალატის ანაფორა

იმპერიალისტურ იდეოლოგიას.

თუ გვინდა გადავრჩეთ, სულიერად და ფიზიკურად, მართლ-მადიდებლობაზე უარი უნდა ვთქვათ და ვეზიაროთ დასავლეთის ქვეყნების ეკუმენისტურ რელიგიებს. ასეთია მათი კომპეტენტური დასკვნა!

ჩვეულებრივ მოკვდავ მორწმუნეს ამის გაგება უჭირს. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ამ აზრების „ბრძენ“ ავტორებს ვურჩიო, გამოიყენონ ისტორიაში ძალიან ცნობილი ფაქტი: კათოლიკურმა ეკლესიამ შემოიღო ინდულგენციებით ვაჭრობა! გადაიხადე ფული და ნებისმიერი ცოდვა მოგხესნება!

მოდი და ამის შემდეგ ნუ დაიჯერებ, რომ ფული ჯოჯოხეთს ანათებს!

აქედან ჩანს მართლმადიდებლობის კიდევ ერთი დიდი ნაკლი – „დაუნდობლობა“.

ცოდვილს არ აძლევს საშუალებას ცოდვები ფულით მოინანიო!

ვინ არის ეს ხალხი, ვინც ასე თავდაუზოგავად ზრუნავს ჩვენი სულიერებისათვის და მატერიალური კეთილდღეობისათვის?

„ხელმოცარულთაგან“ განსხვავებით, მათ ძალიან უყვართ ფული, აფასებენ ფულს და იციან, როგორ იშოვონ. თავი შეაფარეს საქართველოში თბილი წევის შემდეგ სოკოებივით მომრავლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც გლობალისტები გულუხვად აფინანსებენ. ეპრძოლე მართლმადიდებლობას და ფულს იშოვი! ჰომო ფაგოს!

ქართველ საბჭოთა ადამიანში ბოლშევიკებმა ეროვნული სული ბოლომდე ვერ ჩაკლეს. იგი მთვლემარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ელოდა გალვიძების დროს. ეს დროც დადგა. ეროვნული გმირების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით ქართველმა ხალხმა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ეროვნული და მოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა.

როგორ შეხვდა წითელი ინტელიგენცია ამ ბრძოლას, ეროვნულ მოძრაობას?

საკმარისია გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი და თვით ურნმუნო თომაც კი იტყვის: ამ ინტელიგენციამ სახელმწიფო ეროვნული ინტერესებსა და ხალხს უდალატა!

მათი ღალატი აშკარად გამოჩნდა აპრილის აქციასთან დაკავშირებით 1989 წლის 7 აპრილს შემდგარ „აქტივის კრებაზე“, რომელსაც ოთხასი კაცი ესწრებოდა: მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, მეცნიერები, ფარიკა-ქარხნების

დირექტორები... მათ მწვანე შუქი აუნთეს 9 აპრილის ხოცვა-ულეტას.

აი, როგორ აღწერს მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი ამ კრების მსვლელობას. დარბაზში შესვლამდე საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს კოჩიეტოვს და გენერალ როდიონოვს მისთვის უთქვამთ: „მთავრობის სახლის მიტინგი ვნახეთ და საგანგაშო არაფერი ხდებაო“.

ვნახოთ, რა ხდება დარბაზში „.... ნეტავ გენახათ, მთელი დარბაზი ფეხზე დადგა და რატაში დასცეს რომ მაღალჩინოსანი სამხედროს გამოჩენაზე. არადა, დარბაზში ოთხასი კაცი იჯდა... აქციასთან დაკავშირებით ლონისძიების გეგმა ნუგზარ ფოფხაძემ წაიკითხა. იქ სხვა პუნქტებთან ერთად იყო ასეთიც – **Изолировать русководителей акции.** ამის წაკითხვისთანავე ტაშით დაინგრა დარბაზი. ერთადერთი კაცი, რომელმაც პროტესტი გამოთქვა და რომელთანაც მე მეგობრობას ვერ დამწამებენ, ჯანსულ ჩარკვიანი იყო“.

როგორც ვხედავთ, მიტინგის დარბევა ქართველმა წითელმა ინტელიგენციამ მოითხოვა!

ამ ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენელია პოეტი ტარიელ ჭანტურია. აი, მისი შედევრები:

„**სინანულით შევცქერი  
სახეს შენსას ამაზრზენს!**

**ნეტავ ვინ დაგაყენა,  
საცოდაო ამ გზაზე!**“

„**კი არ გადადექი, გადაგაყენეს, გაგიშვეს,  
გაგაგდეს! ძალლივით და არა პრემიერივით, პრეზიდენტივით.**“

ადვილი მისახვედრია ვინც ჰყავს მხედველობაში. შევარდნაძეს კი ასეთი სიტყვები მიუძღვნა: „იგი უნიჭირესი კაცია... ბრწყინვალე პოლიტიკოსი, სოციოლოგი და თუნდაც ფუტუროლოგია... ჩვენი უპირველესი მტრის უბადლოესებრტი... გენიოსი... გველივით ბრძენი... ლეოპარდივით ულმობელი“.

გავა დრო და „ბრწყინვალე პოლიტიკოსს“, „გველივით ბრძენს“ ზურგს შეაქცევს და უსირცხვილოდ ახალი ხელმწიფეს ემლიქვნელება: „ჯერ კიდევ როდის ინინასწარმეტყველა რუსთაველმა, რაც საქართველოში მოხდა – შევარდნაძის ნასვლა და საკაშვილის მოსვლა... ვარდების ფონზე“...

ტ. ჭანტურიას აზრით, წინა პრეზიდენტები

ცოლების ჭკუაზე დადიოდნენ და ამიტომ ქვეყანა დალუპეს, მაგრამ სააკაშვილის შემთხვევაში... „რომ მოხდეს და სააკაშვილმა ცოლის ჭკუაზე დაიწყოს სიარული, დარწმუნებული ვარ, საქართველო ამით არათუ არაფერს წააგებს, იქნებ ყველაზე დიდი წარმატება სწორედ მაშინ მოიპოვოს“. და ბოლოს... სჯობს საბჭოთა პოეტის სიტყვები წავიკითხოთ: „ჩემი ნება რომ იყოს, საქართველოში 21-ე საუკუნის ათვლას 2003 წლის 23 ნოემბრიდან დაივიწყებდი!!“

რას ვიტყვით, თანამედროვე დემოკრატიას უფლებას იძლევა რაც გინდა ისე თქვა! ფუ, ასეთ დემოკრატიას!

ცნობილი მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე საქართველოს კატასტროფულ მდგომარეობას ეროვნულ მოძრაობას და პირადად ზვიად გამსახურდიას აბრალებდა. „საერთო გაზეთის“ კორესპონდენტს უთხრა: „თურმე არა სცოდნიათ არც სახლის აშენება, არც ქვეყნის მოწყობა და „გაუმარჯვოს თავისუფალ საქართველოსო“ – მარტო ამას გაჰქიოდნენ, ასეთ თავისუფლებაზე საზიზღარი რამე ნახე, შენ, ახლა?“

კორესპონდენტი ხვდება, რა წესტარითაც არის ნაჩხვლეტი და შესაფერის კითხვას აძლევს: „თუმცა ყველა ჩვენს უბდებურებას სააკაშვილს ვერ დავაბრალებთ, ალბათ, თქვენი აზრით, სამშობლოს დაკარგვა ეროვნული მოძრაობიდან დავიწყეთ?“

„მართალი ხართ, ამას სააკაშვილს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, პირველ რიგში ამაში ბრალი ზვიად გამსახურდიას მიუძლვის! ამას ვიტყვი თუ არა, მომცვივდებიან ხოლმე ზვიადისტები, – აუ, ეს რა თქვიო, აუ კი არა, შეხედონ ქვეყანას, რა დღეშია.“

ნიჭიერ მსახიობს სოფლის აშენება გადაუნივეტია. „სოფელს ავაშენებ“... ამ თხოვნით მისულა პრეზიდენტთან, მაგრამ მისაღებში კომუნისტი მინისტრები დაუნახავს „მათან ერთად რიგში როგორ ჩავდგებიო!“ — უთხრა კორესპონდენტს.

სურდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა ეთხოვა. „ერთი წლით ვითხოვდი თავმჯდომარეობას, ნახე სოფელი როგორ გავაუმჯობესო-მექი, მაგრამ არ მოინდომა, რადგან დიდი და კარგი კაცი გამოვიდოდი“.

სწორუპოვარ თამადასა და მსახიობს ნებისმიერ ქართულ სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა რომ ეთხოვა, მიზანს აუცილებლად მიაღწევდა. ამისათვის საჭირო იყო

არა პრეზიდენტის მისაღებში კომუნისტურ მინისტრებთან ერთად რიგში დგომა, არამედ საკმარისი იყო კოლნევრად ჩაწერა და საერთო კრება თავმჯდომარედ ერთხმად, ტაშის გრიალში აირჩევდა. გახდებოდა თავმჯდომარე, ერთ წელიწადში „სოფელს ააშენებდა“, „დაამშვენებდა“ და გამსახურდიას ჯინაზე დიდი და კარგი კაცი გამოვიდოდა.

სოფლის შენება ქაფიანიძის ჰობი არ გეგონოთ. ამ გადაწყვეტილებამდე მწარე სინამდვილემ მიიყვანა. თურმე ზვიადისტებს „არ სცოდნიათ სახლის აშენება“, რომ ყურად არ იღეს მისი ფრიად გონივრული რჩევა: „ჯერ ააშენე შენ თვითონ, მერე გლეხები შეუშვი შიგნით, ცოტა სული მოითქვან და მერე დაანგრიე კომუნისტების აშენებული“.

ეროვნულ ხელისუფლებას კომუნისტების აშენებული არაფერი დაუნერვიათ. მათ საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს.

მათ შენება თუ არ იცოდნენ, მაში როგორ-და შესძლეს მინისტრით დანგრეული რაჭისა და იმერეთის უმოკლეს დროში აღდგენა? როგორდა მოახერხეს დანგრეული გზების გარემონტება და ასფალტის დაგება თერჯოლიდან ონამდე? როგორდა მოახერხეს დანგრეული და დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მაგიერ, ახალი, ბლოკით აშენებული სახლების აშენება, შიგ „გლეხების შეშვება ცოტა სულის მოსათქმელად“ ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე, უფასოდ! და ეს კეთდება ისე, რომ საგარეო ვალი ერთი დოლარიც კი არ აუღიათ!

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ კი მინისტრით დანგრეულ რაჭასა და იმერეთში ერთი აგურიც არ დადებულა!

რატომდაც, წითელი ინტელიგენცია ამას ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს!

მწერალ ოთარ ჩხეიძის აზრით, მათ ასე შეური ალაპარაკებთ. შეიძლება ასეც არის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მსახიობობის, მწერლობის, პოეტობის, რეჟისორობის... დიდი ტალანტი სულაც არ ნიშნავს სახელმწიფო ბრივად აზროვნებას. მათ ეს აკლიათ, რის გამოც სისულელებს ლაპარაკობენ და სულ ცოტა, სასაცილონი ხდებიან!

წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთმანეთს დიაგნოზის დასმაშიც ეჯიბრებიან.

ცნობილი მწერალი, კარგი ნოველების ავტორი რევაზ მიშველაძე აღნიშნავს, რომ ქართველ ერს ეროვნული ფიქტოზის საშიში სენი შეეყარა. მადლობა ღმერთს, 1992 წლიდან ედუარდ შევარდნაძემ ქართველი ერის განკურნების პროცესი დაიწყო და მაღლ ყველაფერი კარგად იქნება.

დღეს ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს უთვალავი ირანელი, თურქი, არაბი, ჩინელი, ინდოელი შემოესია... ორი მილიონი ქართველი უცხოეთში გადაიხვენა ლუკმაპურის საშორად... ფულის გადაუხდელობის გამო ქართველ სტუდენტს სასწავლებლიდან რიცხავენ, ნიგერიდან, მოზამბიკიდან ჩამოსულ შავტუხა ახალგაზრდებს კი უფასოდ ასწავლიან... ეროვნულ ბოზებს დიდი თანხით აჯილდოებენ და ამერიკაში აგზავნიან კვალიფიკის ასამაღლებლად... მაშინ როცა ჩვილი ბავშვები შიმშილობენ, მშეირი მოზარდები კი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ...

ეს არის განკურნების პროცესის დაწყება, ბატონო რევაზ?

პრეზიდენტი გამსახურდია ახალი პიჯაკის ჩაცმისთვის და საქართველოსთვის ნაჩუქარი „მერსედესით“ მგზავრობისთვის ჯვარს აცვით! დღეს ერის გენოციდის შემყურენი ხმას არ იღებთ! დიდი მწერლის ოთარ ჩხეიძისა არ იყოს, რატომ არ აიშლებით, რატომ არ ავარდებით, რატომ არ ჩამოსხდებით უნივერსიტეტის კიბეზე, რატომ არ ჰქუხთ, რატომ არ მრისხანებთ?

საქართველოში ფუნქციონირებს ყველაზე დაცული, ყველაზე პრესტიული საროსკიპოები, კაზინოები, ლამის კლუბები...

თბილისის ქუჩებში იმართება ხმაურიანი მიტინგები ნარკომანიის ლეგალიზაციისათვის, ერთსქესიანთა ქორწინების კანონის მისაღებად, მამათმავლობისა და ლესბოსელების დასაცავათ.

ეს არის განკურნების პროცესის დაწყება?

რევაზ მიშველაძე ზვიად გამსახურდიას ახასიათებს, როგორც „ნერვებსუსტს“ და „დიქტატორს“ (გაგიგონიათ ნერვებსუსტი დიქტატორი?). მხედველობიდან არ გამორჩა მისი კიდევ ერთი ნაკლი: იგი „პროვინციელი“ ყოფილა და ამიტომ მისი „საქართველოს სულიერი მისია“ ურაპატრიოტიზმისა და პროვინციალიზმის ნაზავია.

ეს ქუთაისური იუმორი არ გეგონოთ.

„პროვინციალი“ და „ხელმოცარული“ გამსახურდია ცდილობდა მწერალთა კავშირის, როგორც ეროვნული ბუდის, მოშლას, გადაგვარებას, – ნერს არისტოკრატი მწერალი და ასახელებს დიქტატორ გამსახურდიას ნების უსიტყვოდ შემსრულებლებს მუხრან მაჭავარიანს, ხუტა ბერულავას, ენვერ ნიუარაძეს, რომელთაც თურმე მწერალთა კავშირს ბოქლომი დაადეს.

ამ ცილისწამებას დაიჯერებს ის, ვისაც მისი დაჯერება სურს.

1992 წლიდან ანუ „განკურნების პროცესის“ დაწყებიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. ზვიად გამსახურდიას მუხრან მაჭავარიანი, ენვერ ნიუარაძე, ხუტა ბერულავა და სხვა მრავალი მამულიშვილი ხელს აღარ გიშლიან, შევარდნაძის ინტელიგენციავ, მაგრამ, ვაგლახ, რომ მწერალთა კავშირი, როგორც ეროვნული ბუდე, ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად დაამხეთ და იგი უნიჭოთა და ვამიმბაძველთა საპარპაშოდ იქცა. არავინ კი ხმას არ იღებთ!

1992 წლიდან განკურნების კი არა, მოკვდინების პროცესი დაიწყო!

ამას ძალიან კარგად ხედავდა დიდებული ნოველისტი, მაგრამ გვიანდაა თითზე კბენანი.

იგი იმეორებს პუტჩისტი ინტელიგენციის თავის მართლების ჩვეულ გამოთქმებს: „გამსახურდიას ტირანული მთავრობა უსათუოდ უნდა დამხობილიყო... დიქტატორის იარაღით დამხობა უკიდურესი გამოსავალი იყო“.

„ოპზიცია ამ ომში თვით გამსახურდიამ ჩაითრია და ცეცხლი პირველად უზენაესი საბჭოს შენობიდან გაიხსნა“. მოვიდა „სახელმწიფო ხაზინის ძარცვის, ეკონომიკური სახსრების მოშლის, ყაჩალთა წახალისების ეპოქა“.

თურმე გამსახურდიას ტირანულმა მთავრობამ ციხეები პოლიტიკომრებით გაავსო.

1997 წელს გაზეთმა „საქართველომ“ გამოაქვეყნა ე.ნ. „შავი სია“, რომელიც „დიქტატორმა“ პრეზიდენტმა შეადგინა და გენერალურ პროკურორს გადასცა, თან მკაცრად მოითხოვა სიაში დასახელებული სიგუას, კიტოვანის, ნათაძის, ბერძენიშვილის, დიასამიძის და სხვათა დაპატიმრება.

სასწაული!

ტირანულმა მთავრობამ და დიქტატორმა პრეზიდენტმა სახელმწიფო გადატრიალების

ორგანიზატორთა დაპატიმრება ვერ შეძლო!

ფუ, ასეთ დიქტატორსა და ტირანულ მთავრობას!

გაზრდის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა ბატონი ნოდარ ნათაძის კომენტარი ამ სიასთან დაკავშირებით, სადაც იგი ამტკიცებს, რომ სია ყალბია და იგი შედგენილია საქართველოს პროკურატურაში ან გადასცეს პროკურატურას იმ მიზნით, რათა დამხობილი ხელისუფლების არაადამიანური ბუნება ემხილებინათ.

არავინ დაუპატიმრებიათ, არც არავის დაპატიმრებას აპირებდნენ! ამას ადასტურებს მთავარი მოწმე ბატონი ნოდარ ნათაძე.

პუტჩისტებისგან ხშირად გაიგონებთ, რომ ამ ომში ოპოზიცია მთავრობამ ჩაითრია!

ეს შეიძლება დაიჯეროს აფრიკაში მცხოვრებმა ბაობაბის ხის ქვეშ მონებივრე ზანგმა, საქართველოს სახელი პირველად რომ გაიგონა.

ფიცის გამტეხი მოღალატე გვარდიელები, შეიარაღებული რეციდივისტები, ბანდიტები, მკვლელები, ათასი ჯურის ავანტიურისტები თბილისში დათარეშობდნენ, ხანძარს აჩენდნენ, აფეთქებდნენ, აშანტაჟებდნენ, კლავდნენ... 22 დეკემბერს კი მძიმე ტექნიკით შეიარაღებულნი ალყაში აქცევენ უზენაესი საბჭოს შენობას, გადაკეტეს გზები, ქამუეთის ეკლესიდან ცეცხლი გახსნეს... იყო მსხვერპლი... ამის შემდეგ კი პუტჩისტები ჩვეული უტიფრობით თავს იმართლებენ: პირველად უზენაესი საბჭოს შენობიდან ისროლესონ!

იარაღი და ტყვია – წამალი ბლომად ჰქონიათ. აი, რას ამბობს სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი მონაწილე გენერალ-ლეიტენანტი ლ. შარაშენიძე გაზრის „კვირის პალიტრასთან“ საუბარში: „არ ვმალავ, რუსეთი გვაწვდის იარაღს... მე უშუალო კავშირი მქონდა გენერალ ბეპაევთან. მათ მოსკოვიდან დაევალათ ჩვენთვის იარაღი მოეწოდებინათ — ავტომატები, ტყვიები, ნაღმტყორცნები. გამსახურდია რუსეთის დახმარებით დავამხეთ.“

პუტჩისტები კი ჩვეული თავხედობით „სახალხო აჯანყებას“ და „სახალხო რევოლუციას“ გაიძახიან!

მოღალატეებმა ხელისუფლება რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით დაამხეს. ეს განმეორდა 1993 წელს, როდესაც რუსეთის შეიარაღებული ძალები ებრძოდნენ კანონიერი ხელისუფლების ერთგულ გვარდიას და შეძლეს დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე აღ-

დგენილი კანონიერი ხელისუფლების დამხობა.

წითელი ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენელი, ისტორიკოსი, აკადემიკოსი გრიგოლ უვანია 1985 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს სინამდვილე და ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები“ თითქმის ყოველ გვერდზე გვახსენებს იმ „დანაშაულს“, რაც ჩაიდინა მენშევიკურმა მთავრობამ მსოფლიო პროლეტარიატისა და უპირველეს ყოვლისა რუსეთის პროლეტარიატის წინაშე.

„დიადი ლენინური პრინციპებით“, „ყოვლისმომცველი უჭქნობი ლენინური იდეებით“, „ლენინის გენიალური მოძღვრებით“ (აკადემიკოსის საყვარელი გამოთქმებია) შეიარაღებული ისტორიკოსი დაუცხრომლად ებრძვის განდევნილ მენშევიკურ მთავრობას, რომლის მთავარი დანაშაული ის ყოფილა, რომ ქართველი ერის ნება-სურვილის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის მეთერთმეტე განმათავისუფლებელ არმიას.

ახლა ვნახოთ, რას წერს აკადემიკოსი 1992 წელს: „რუსეთის საოუპაციო არმია საქართველოს საზღვრების გადმოლახვისთანავე, 11 თებერვლიდან ბარბაროსული სისასტიკით უსწორდებოდა უთანასწორო ბრძოლის შედეგად უკან დახეულ დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილებს. ულეტდა მათ, ატარებდა აშკარა აგრესიულ, შოვინისტურ პოლიტიკას ქართველი ერის მიმართ“ („როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია“, თბ., 1992 წ., გვ. 30).

სჯობს მატყუარა ბოლომდე ვამხილოთ. იგი ეროვნულ ხელისუფლებას ადანაშაულებს ქვეყნის იზოლაციაში მოქცევისთვის. ქვეყნის იზოლაციაში მოქცევა ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი მიზეზია.

ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა „იზოლირებულ“ საქართველოში?

როცა პუტჩისტები ცეცხლს უშენდნენ ალყაში მოქცეულ ხელისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრმა ქვეყანამ ცნო. ეს არის იზოლაციონიზმი?

ფოთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში!

თავის თავში ჩაკეტილმა, უცხო ქვეყნებთან გაბუტულმა საქართველომ საექსპორტო 83.3 მლნ მანეთის საქონელი გაუგზავნა უცხო ქვეყნებს!

## დიდი ლალატის ანატომია

ყოველივე ეს ხდება ეროვნული ხელისუფლების არსებობის მოკლე პერიოდში, 10 თვეში!

„ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 29.7 მლნ მანეთის პროდუქცია;

ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 711 ათასი მანეთის 484 მინიტრაქტორი;

ფოთის გემთმშენებელი ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 3868 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები;

„აზოტმა“ საექსპორტოდ გაგზავნა 10215 ათასი მანეთის მინერალური სასუქი;

თბილისის საიუველირო ქარხანამ – 551 ათასი მანეთის პროდუქცია;

რუსთავის ამწემშენებელმა ქარხანამ გაგზავნა 158 ათასი მანეთის ამწე;

თბილისის გამთმშველების ქარხანამ გაგზავნა 59 ათასი მანეთის პროდუქცია;

ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატმა“ გაგზავნა 21 ათასი მანეთის პროდუქცია“ და ა.შ.

გამოდის, რომ აკადემიკოსის წარმოსახვით, იზოლაციაში მყოფი, გარე სამყაროს მოწყვეტილი, „სუნიანი“ მთავრობის მყოლი საქართველოს ქარხნები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ და მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას უცხო ქვეყნები ყიდულობდნენ!

შევარდნაძის დატოვებულ საქართველოში, დღეს რომელი ქარხანა უშვებს საექსპორტო პროდუქციას? არც ერთი!

გ. უვანია მკითხველს ატყუებს, საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის, როცა ლაპარაკობს იმაზე, თითქოს ზვიად გამსახურდიას მთავრობა ხალხზე არ ზრუნავდა.

ვნახოთ, როგორ ეხმარებოდა ბავშვებს:

„საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით დახმარებები ბავშვებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ახალი სისტემით არ ღებულობენ დახმარებას:

1. დახმარება ერთ ბავშვზე – 40 მანეთი“.

„საცალო ფასებს რეფორმასთან დაკავშირებით საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძირებასთან დაკავშირებით საკომპენსაციო ხარჯების შესახებ 1991 წლისთვის.

1. კომპენსაციის საშუალო თანხის ოდენობა თვეში ერთ ბავშვზე – 20 მანეთი“.

„საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით სასკოლო და სხვა საბავშვო ტანსაცმლის კომპლექსის შეძენის ხარჯები 1991

წლისთვის.

1. საკომპენსაციო ოდენობა თვეში ერთ ბავშვზე 225 მანეთი“.

თუ შევაჯამებთ (40+20+225), განეული დახმარება გამოვა თვეში 285 მანეთი თითო ბავშვზე.

დამტკიცებული ბიუჯეტიდან დამატებით გამოყვეს დახმარება ჯანდაცვის ლონისძიებისათვის 59 პროცენტზე მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის გამოყოფილია 30 მლნ მანეთი;

მეცნიერების განვითარებისათვის დაიხარჯება 65.9 მლნ მანეთი, რაც 17.4 მლნ მანეთით, ანუ 35.9 პროცენტით მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტიდან.

მრავალშვილიან და მარტოხელა დედების დახმარებას მოხმარდება 55.3 მლნ მანეთი, რაც 29.8 პროცენტით მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტიდან... და ა.შ.

ეს ამონარიდები მოტანილი მაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სპეციალური გამოცემიდან „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლისა და წლის მეორე ნახევრის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესავლისა და გასავლის დაზუსტებისა და მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ (თბ., 1991 წ.)

რა გააკეთა გამარჯვებულმა ოპოზიციამ იმ ხელისუფლები დამხობის შემდეგ, რომელიც აკადემიკოს უვანიასა და სხვათა აზრით ქვეყანას რომ ასე „დაბეჯითებით აჩანაგებდა“?

ეს ოპოზიცია ხელისუფლებაში იყო 1992 წლიდან 2003 წლამდე.

თუ დამხობილი ხელისუფლება ერთ წელიწადში ქვეყანას აჩანაგებდა, ვნახოთ, გამარჯვებულმა ოპოზიციამ რა გააკეთა 12 წლის მანძილზე?

რას წარმოადგენს გ. უვანიას მიერ ქებული პუტჩისტების მიერ გატარებული პრივატიზაცია?

აი, რას წერს ამის შესახებ ბატონი ნოდარჭითანავა 1999 წელს გამოცემულ წიგნში „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“. ეს წიგნი დაიბეჭდა ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს

გადაწყვეტილებით. ასე რომ, ერთი კაცის სუბიექტურობა და მიკერძოება გამორიცხულია.

„საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია 1993 წლიდან დაიწყო. ქვეყნას არ ჰქონდა ეკონომიკის მართვის ერთი (გეგმური) სისტემიდან ახალ (საბაზრო) სისტემაზე გადასვლის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია...“

პრივატიზაციის დაწყებისას მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სახსრები არ გააჩნდა...

არ არსებობდა ინვესტიციების რეალური წყარო, ამიტომ მხოლოდ უცხოეთის კაპიტალის მიზიდვის იმედით შეფასდა საინვესტიციო პერსპექტივაც...

განსახელმწიფოებრიობის, პრივატიზაციის გლობალური პროცესის ხელისშემწყობიერობის უკარებო გარემო არ იყო შექმნილი...

პრივატიზაციის პოლიტიკური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური ხელის შემწყობი პირობები ფაქტობრივად არ არსებობდა.

ხელისუფლებამ რეალურად ვერ შეაფასა არსებული სიტუაცია, განვითარების ტენდენციები, კანონზომიერებანი და გარდაქმნის გლობალური პროცესი სტიქიურად ნარმართა, რამაც, ბუნებრივია, გზა გაუსხანა სახელმწიფო ქონების მასობრივ დატაცებას, მისი პრივატიზაციის უხეშ შეცდომებს, საკრედიტო რესურსების განივებას, ეროვნული სიმდიდრის (სხვადასხვა ფორმით) საზღვარგარეთ გატანას, კრიმინალური, მაფიოზური სტრუქტურების ჩამოყალიბებას და ა. შ.

პრივატიზაციამ ხელი შეუწყო სრულიად ახალი თვისებრიობის ჩამოყალიბებას — ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის მკვეთრ დაქვეითებას, ეკონომიკის კრიმინალიზაციის გაღრმავებას. იგი კორუფციის გაფართოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა.“

ეს დასკვნები 1999 წელს დაიწერა. იმავე წელს გამოქვეყნდა ქვანიას წიგნი, სადაც აკადემიკოსი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ადანაშაულებს ქვეყნის ეკონომიკის განადგურებაში. ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა ისტორიკოს აკადემიკოსს უნდა სცოდნოდა, მაგრამ მან ეს არ დაინახა, რადგან მოვლენებს ხედავდა და აფასებდა წითელი ინტელიგენციის თვის დამახასიათებელი „პირუთვნელობით“.

ბატონი ნოდარ ლაზარიაშვილი გაზეთ

„ლიტერატურულ საქართველოში“ აქვეყნებს წერილს, სადაც აღნერილია ის ფინანსური მაქინაციები, რომლის საშუალებითაც 1992 წლიდან ხელისუფლება მეანაბრეებს ძარცვავდა. ნაძარცვი თანხა კი მიღიარდობით ამერიკულ დოლარს შეადგენდა. „1992 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების კუთვნილ ბანკებზე და კერძო ფირმებზე გულუხვად გაიცემოდა სოლიდური სესხები, უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი გარანტიის გარეშე. სესხებს საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდა თვეში 10-15%, როდესაც საბჭოური ინფლაცია ყოველთვიურად აჭარბებდა 5%“.

იარაღის ხელში ამღები ინტელიგენციის მეტამორფოზა სახეზეა. ჰომო ფაგოსებად გადაქცეულებმა შთანთქეს სხვა ჩასანთქავთან ერთად ხალხის მიერ შემნახველ სალაროებში შეტანილი ფული, შრომითი დანაზოგი!

საბჭოთა ისტორიკოსი გ. ქვანია გამსახურდიას იზოლაციონიზმში და საქართველოს ეკონომიკის განადგურებაში ადანაშაულებს! სხვა საბჭოთა ისტორიკოსები კი მას კომუნისტების აგენტობას აბრალებენ!

ისტორიკოსების დ. მუსხელიშვილის, გ. ჭეიშვილის, ალ. დაუშვილის ავტორობით 2016 წელს გამოვიდა წიგნი „ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე“.

წიგნის რედაქტორი და ავტორი ალ. დაუშვილი ამტკიცებს, რომ კომუნისტები ხელს უწყობდნენ ზვიად გამსახურდიას ჩაეტარებინათ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. უფრო მეტიც! „ზვიად გამსახურდია და მისი პოლიტიკური დაჯგუფება კომუნისტური რეჟიმთან გარიგებაზე წავიდა, აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით“.

საოცარია, ეს ისტორიკოსები ისე ლაპარაკობდნენ კომუნისტურ რეჟიმზე, თითქოს თავგანწირული დისიდენტები იყვნენ და მთელი ცხოვრება კომუნისტურ რეჟიმს ებრძოდნენ!

პროფესორი ალ. დაუშვილი, როცა აქებს და ადიდებს ედუარდ შევარდნაძეს „ქართული საქმის კეთებისთვის“, აღნიშნავს „მის უდიდეს დამსახურებას საბჭოთა კავშირის ისტორიის ასპარეზიდან გაქრობაში“.

მთელი ცხოვრება კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის მაქებარ-მადიდებელი ისტორიკოსები დღეს მიესალმებიან კომუნისტური რეჟიმის და საბჭოთა კავშირის გაქრობას,

აღნიშნავენ შევარდნაძის დიდ ლვანლს, მის ქანცგამომცლელ ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ, ხოლო ზოიად გამსახურდის ლანდღავენ კომუნისტების აგენტობისთვის!!!

არ უნდა გაგვიკვირდეს! ეს უზნეობით არ მოსდით! ეს ავადმყოფობა! სისხლში გამჯდარი ჰომო სოვიეტიკუსობა თავისას შვება! განკურნება შეუძლებელია!

მოდი და დაიჯერე მათი დაწერილი ისტორია უძველესი დროიდან, როცა დღევანდელ ისტორიას აყალბებენ და მკითხველ საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან!

თავს უფლებას ვაძლევ სახალხო პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს რეზო ამაშუკელს ვუსაყვედურო მტრული დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის მიმართ. გაზეთი „პირისპირ“ 1997 წელს აქვეყნებს ინტერვიუს ბატონ რეზოსთან, სადაც მან განაცხადა, რომ „ეროვნული მოძრაობა კრიუჩიკოვის კაბინეტში დაიგემა“.

ახალგაზრდა მკითხველს შევახსენებ, რომ კრიუჩიკოვი იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უმიშროების კომიტეტის („კაგებე“) უფროსი 90-იან წლებში.

აფერუმ, კრიუჩიკოვო! საქართველოს ეროვნულ მოძრაობას თურმე თქვენ შეაძლებინეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა!

რას ვერჩით მრისხანე კაგებეს, ქართულად სუკს!

რადგან ეროვნული მოძრაობა კრიუჩიკოვის კაბინეტში ყოფილა დაგეგმილი, ამიტომ ბატონ რეზოს მთელი სიცოცხლე „მრგვალები“ სძულს. კარგად გვახსოვს, ე.წ. „თბილისელები“ ანუ „კარნოები“ რეზო ამაშუკელის ხელმძღვანელობით როგორ აქტიურად ეხმარებოდნენ, მხარში ედგნენ პუტჩისტებს და ხელისუფლების დასაცავად რაიონებიდან ჩამოსულ ქართველებს „სუნიანებს“ ეძახდნენ.

„პევრი ჩამოდის და პროფესორი და აკადემიკოსი ხდება, მაგრამ თბილისელობა, ის სული, თბილისელებს რომ აქვთ, მათთვის ხელმიუწვდომელია და განზე რჩებიან“, – ეუბნება ბატონი რეზო გაზეთის კორესპონდენტს.

ღმერთო, მომკალი! ეს რა გავიგე? ივანე ჯავახიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, შალვა ნუცუბიძეს, ილია ვეკუას, ჯანაშიას, მუსხელიშვილს, რაზმაძეს და მრავალ სხვა გენიალურ ქართველ მეცნიერს თბილისური სული არა ჰქონიათ!

ესენი ხომ თბილისელები არ არიან!

დიდად სამნუხაროდ, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, კირიონი, ამბროსი ხელაია, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონი, ლადო ასათიანი, ტერენტი გრანელი, რაფიელ ერისთავი, შალვა დადიანი, ნიკო ფიროსმანი, გენერალი მაზნიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვა მრავალი დიდი მამულიშვილი, ჯიშით და ჯილაგით ქართველი, თბილისური სულით ვერ იამაყებდა! აფსუს!

1646 წლიდან, თითქმის სამასი წლის მანძილზე თბილისის ქალაქის თავები სომხები იყვნენ. მხოლოდ 1921 წელს ელიოსა თბილის ქართველი მერი სილიბისტრო თოდრია!

სულაც არ არის გასაკვირი, არსებობდეს „სული თბილისელობისა“! ეს სული აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ თავს ამაყად „კარენოებს“ რომ ეძახიან და დანარჩენი ქართველები მათგვის სუნიანებია!

ვინ არიან ეს კარენოები? როგორია მათი გენეტიკური წარსული?

ვიცი მხოლოდ ის, რომ კარენოებს ქართული კულტურისთვის არაფერი გაუკეთებიათ. ბუნებრივია, არც არავინ არის მათი რიგებიდან დიდი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, პოეტი, ეროვნული მოღვაწე...

კინტოების და სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილების შთამომავლებმა თავიანთი სულის შესაბამისი ე.წ. ქალაქური სიმღერები და ცეკვები შექმნეს, რომლებიც ისე გასხვავებდა ქართული სიმღერების და ცეკვებისაგან, როგორც ცა და მინა!

ბატონი რეზო ამაშუკელი ზვიად გამსახურდის ადანაშაულებს აფხაზებთან და ოსებთან შულლის ჩამოგდებაში – „რატომ აქვს ამ ხალხს შეზღუდული მეხსიერება, რატომ აღარ ახსოვს, ზვიად გამსახურდის გაჩაღებული რომ არის ეს შულლი“.

ზვიად გამსახურდია დაბადებული არ იყო, როცა სეპარატისტი აფხაზები და ოსები შეიარაღებულ თავდასხმებს ანყობდნენ და საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას მაშინ ანგრევდნენ, როცა საქართველოს უჭირდა.

გავიხსენოთ სეპარატისტი ოსების სისხლიანი თარეში 1918, 1919, 1920 წლებში, როცა თურქეთი საქართველოს დაპყრობას აპირებდა!

1919 წლის 11 იანვარს შეიარაღებულ-

მა ოსმა სეპარატისტებმა სოფელ ალაგირში მცხოვრები ქართველები (რაჭველები) დედაბუდიანად ამოწყვიტეს. ეს გენოციდია, მაგრამ, საუბედუროდ, „სული თბილისელობისა“ სეპარატისტებს აგულიანებს: ეს შუღლი თქვენი ბრალი არ არის, ქართველების ბრალია!

მეოთხედ საუკუნეზე მეტია ზვიადი ცოცხალი აღარ არის. არც „მრგვალებს“ ეკითხებიან არაფერს, მაგრამ, საუბედუროდ, სეპარატისტები კვლავ სეპარატისტობენ!

ვისა აქვს შეზღუდული მეხსიერება, „მრგვალებს“ თუ წითელ ინტელიგენციას?

ნუთუ საქართველოს ბედკრული წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ზვიად გამსახურდიასა და „მრგვალების“ ბრალია?

ხელისუფლება იმისთვისაც უნდა დამხობილიყო, რომ მსახიობი გოგი ხარაბაძე მათგან რამდენიმე კაცის გარდა არავის ცნობდა! „განა ასეთი პარლამენტი, ხელისუფლება ეკადრება ნორმალურ ქვეყანას, ჩვენ რომ გვყავდა? ვინ არიან, საიდან მოვიდა ეს ხალხი? სად, რომელ კუთხეში არა მყავს ნაცნობ-მეგობრები, მაგრამ რამდენიმე კაცის გარდა ამ პარლამენტის წევრთაგან არც არავის ვიცნობ და არც არაფერი მსმენია მათზე. მე ვკითხულობ, საიდან მოვიდნენ ეს ადამიანები... გუშინდელმა ხელისუფლებამ დახურა კინოსტუდია, ტელევიზია, ორად გახლიჩა ქვეყანა, დევნიდა განსხვავებულ აზრს... ამიტომაც ჩავუდექი მას ოპოზიციაში!“ – აღმფოთებით აცხადებს მსახიობი.

პარლამენტის კრიტერიუმად ძმაკაცობისა და ნაცნობ-მეგობრობის მიჩნევა პოლიტიკური სიბეჭეა და არასახელმწიფოებრივი აზროვნების მაჩვენებელი.

ის ხალხი, რომელსაც გოგი ხარაბაძე ვერ იცნობს და არ იცის, საიდან მოვიდნენ, საქართველოს შვილები არიან და პარლამენტში ეროვნული მოძრაობიდან მოვიდნენ. მათი ბრძოლის შედეგია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და არა მათი, რომლებმაც „აქტივის კრებაზე“ ტაშის ცემით გზა გაუხსნეს 9 აპრილის ტრაგედიას.

უზენაესი საბჭოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრთა უმრავლესობა მუშაობდა სამეურნეო დარგის ხელმძღვანელ მუშაკებად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებად, იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი პროფესორები, აკადემიკოსები, პოეტები, მწერლები... მამულიშვილი, ჯიშით და ჯილა-

გით ქართველები, რომელთა გენებმა გაუძლო ჰომოსოციეტიკუსობის ეპიდემიას.

ხალხში დიდი პოპულარობა, ის, რომ ყველა გიცნობს, არა კმარა პარლამენტის წევრობის-თვის. ეს რომ ასე იყოს, მაშინ პლეხანოველი კიკა უნდა იყოს პარლამენტის წევრი. დარწმუნებული ვარ, ბატონმა გოგი ხარაბაძემ იცოდა, ვინ იყო პლეხანოველი კიკა, გაგონილი ექნებოდა მასზე, ეცოდინებოდა, საიდან მოვიდა...

ზვიად გამსახურდიას კინოსტუდია და ტელევიზია არ დაუხურავს, დღესაც ღიაა, მაგრამ კინოსტუდია ლგბტ კინოცენტრად აქციეს და უშვებენ სოციალური არსისაგან დაცლილ ფილმებს. აღვირახსნილი სექსი, ძალადობა ცხოვრების წესად აქციეს. ერთ მეტად პოპულარულ ქართულ ფილმში, რომელიც ახლახან გადაიღეს, მამა ათიოდე წლის ბიჭუნას ეუბნება: „შენ შიგ ხომ არ გაქვს?“

კომენტარები მგონი საჭირო არ არის!“

ტელევიზიის უმრავლესი არხები გადააქციეს ქართული კულტურის, ტრადიციების, ცხოვრების წესის გადაგვარების მაგიურ ყუთად. დღე და ღამე ვუყურებთ და ვუსმენთ ბილწიტყვაობას, უცხოურ სიმღერებს ქართულის ნაცვლად, ძალადობას, სექსს, ცეკვებს ნახევრად შემცველი უკანალების ტრიალით, უცხო ქვეყნების გამომათაყვანებელ სერიალებს, უნიჭო შოუ-გადაცემებს... ოდიოზური ტიპის როლის შემსრულებელს აუცილებლად ეროვნული სამოსი ჩოხა უნდა ეცვას.

რაც შეეხება ორად გახლეჩილ ქვეყანას...

საქართველო 1991 წელს ორად გახლეჩილი არ იყო. 1992 წლიდან, ანუ „განკურნების პროცესის“ დაწყებიდან საქართველო გაიხლიჩა. მის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა.

პომო ფაგოსებმა ჩანთქეს ისეთი ქარხნები, რომლებითაც ნებისმიერი მოწინავე სახელმწიფო იამაყებდა: 1) 31-ე საავიაციო ქარხანა; 2) 26 კომისრის სახელმწიფო ქარხანა; 3) კიროვის სახელმწიფო ქარხანა; 4) დიდუბის რადიოქარხანა; 5) მიონის ქარხანა; 6) თემქის ელმავალმშენებელი ქარხანა.

ეს გიგანტი ქარხნებია, რომლებიც დედაქალაქში მდებარეობდნენ. გარდა ამისა, თბილისში სხვადასხვა პროფილს მრავალი ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა.

რაიონებში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს რა ჩამოთვლის!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ქარხნები თავისი უნიკალური დაზგა-დანადგარებით ჯართის ფასად გაყიდეს, ძირითადად თურქეთში!

ორი-სამი ათეული წლის შემდეგ საქართველოს აღარ ეყოლება კვალიფიცირებული ხარატები, ზეინკლები, ელექტროშემდუღებლები, გვირაბგამყვანები, ხიდების მშენებლები...

განათლების რეფორმის წყალობით ჩვენს სტუდენტებს ჰქონიათ, რომ მტკვარი ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება, რომ იღია ჭავჭავაძემ პოემა „აჩრდილი“ მეათე საუკუნეში დაწერა...

ასეთია გამოკითხვის შედეგი. თუნდაც ერთმა სტუდენტმა ასე რომ უპასუხოს, ესეც საგანგაშოა!

უმუშევარი ახალგაზრდა უცხოეთში გარბის. ამ პროცესს მთავრობა ხელს უწყობს, პირდება უფასო ბილეთებსა და სხვა შეღავათებს. ქვეყნად რაც ნაკლები უმუშევარი იქნება, მით უფრო სიმშვიდეა!

მალე საქართველო ქართველებისგან დაიცლება და გარს მოჯარულ მტერ-მოყვარე მეზობლებს დარჩებათ, რაზეც ოდითგანვე ოცნებობენ.

— არა! საქართველოში ქართველები დარჩებია! — შემომწყრება ხელმოთბობილი ოპტიმისტი.

— დიახ, დარჩებიან. მაგრამ რითი ირჩენენ თავს ეს ქართველები? ალბათ დაასაქმებენ უცხოელთა ხელზე მოსამსახურეებად, მასაუისტებად, პედიკიურისა და ტატუს გამკეთებლებად, ტუალეტის ჩამბან-ჩამრეცხავებად, კონჩიტა ბიჭებად... ზოგიერთი ყოჩალი მოახერხებს და ჩიხა-ახალუხმი გამოწყობილი, ყაბალახთავ-დამშვენებული, ხანჯალზე ამაყად ხელჩამო-დებული მდიდარ ტურისტთან სამახსოვრო სურათს გადაიღებს და საჩუქრად დოლარსაც მიიღებს. სწორედ ისე, როგორც ამერიკაში უბირი ინდიელი, ბელადის სამოსში გამოწყობილი, ტატუთი სახემოთხუპული მდიდარ

ტურისტთან სამახსოვრო სურათს რომ იღებს და დოლარს შოულობს!

— მერე ამაში რა არის ცუდი? — მეტყვის მენტორული ტონით ოპტიმისტი, — შრომა და-საფასებელია, ნებისმიერი პროფესია საამაყოა!

აბა რა ვუთხრა ხელმომთბარ ჰომო ფა-გოსს? მათვის ჩვენი აზრი მიუღებელია და ჩასაქოლი!

### პატრიოტებო საქართველოსა, შეერთდით!

„ხელმოცარულთა“ ურვა სულაც არა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საქართველოს დაღუპვას შეგუებულნი ვართ! დიდი იმედი გვაქვს იმ პატ-რიოტული პოლიტიკური პარტიებისა, რომლებიც გაერთიანდებიან და საერთო ძალისხმევით არჩევნებში გაიმარჯვებენ!

აუცილებელია 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დადებითად შეფასება! პუტჩისტების ღალატის მხილება და დაგმობა! საქართველოს უახლესი ისტორიის გაუყალბებლად ასახვა.

მხოლოდ ეს გადაარჩენს საქართველოს!

„ჰეი, თქვენ, არაგველებო!“ „ალგეთს გაზრდილნო მოყმენო!“ „შენ ბიჭო ანაგურელო!“ თქვენი ხმა მომნატრებია, უღერა ჯურხაის ფარისა! უფლის თვალით დანახულ ყანაში ნამგლის წკრიალი! საომრად ჯვარდანერილი ხმლების თქვენს ხელში ტრიალი! გარსმოვარულ მტერს აღარ აშინებს დავითფერულთა ავი საუბარი! სადა ხართ, ვაჟებო? ნუთუ მართლა ჯიშიან ცხენებზე ამხედრდით და გადაიხვენეთ? ვის დაუტოვეთ სამშობლო? კინტოებს? სოდომ-გომორულ ცოდვილიანებს? ჰომო ფა-გოსებს? დაბრუნდით, შავლეგებო! წამოიყვანეთ მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვნელი, მარო მაყაშვილი!

მაშველი გვჭირდება ზეციური საქართველოდან!



**„მიჯნის“ არქივიდან  
ელენე დვალიშვილი**

## **ჩემო საყვარელო თანამოქალაქეებო! სიტყვა ნარმოთქმული რაღიოკომიტეტი**

კალამი ხელში გულისტკივილმა ამაღლებინა... 10 ნოემბერს, თელავის თეატრის წინ მიტინგი მოაწყო ოპოზიციამ, კერძოდ: ნ.ნათაძე, ე.შენგელია, ჯ.ჩარკვიანი, ლ.ლოლობერიძე, ი.სარიშვილი და სხვები...

მეგაფონში მესმოდა ბატონ ნ.ნათაძის ხმა, რომელსაც მე პირადად ვიცნობ. მიტინგს ცოტა ხალხი ესწრებოდა, ძირითადად ახალგაზრდობა. ისმოდა შეძახელები: „ზვიად“, „ზვიად“... ოპოზიციის გამოსვლები ძირითადად მიმართული იყო პრეზიდენტის წინააღმდეგ...

მე ქართველი ვარ და ჩემთვის პოზიცია და ოპოზიცია ერთი სხეულის ორი ხელია: რომელიც არ უნდა მომჭრან, ორივე მეტკინება... სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ერის შემაკავშირებელი სიტყვით გამოსვლა, რამდენადაც მჯერა, რომ სხვა გზა არა გვაქვს...

ჩამოსულებმა არ მომცეს უფლება სიტყვით გამოვსულიყავი... „მაინც რა უნდა სთქვაო“ - მკითხა ჩარკვიანმა. მშვიდობისკენ უნდა მოვუწოდო ახალგაზრდებს-მეთქი... ჯანსულს არ მოეწონა ჩემი პასუხი და დამცინა - „გაზეთებს თვეში ერთხელ, თუ კითხულობო“. ძალიან შეურაცხოფილი დავრჩი მისი მოქმედებით... აი, თურმე სადამდე მივსულვართ, ერთმანეთის მოსმენაც არ გვსურს, ყველა ადამიანში მტერს ვხედავთ. ნამდვილ მტერს კი ვერც ვამჩნევთ, არ გვინდა, რომ დავინახოთ... „ვინ ხართ თქვენ“ - მეკითხება ჩარკვიანი... ვპასუხობ „ქართველი...“ „მაინც“, „მაინც ქართველი“, იყო ჩემი პასუხი... ასე დამითხოვეს. მე მაინც შევძელი სიტყვით გამოსვლა, მშვიდობისკენ მოვუწოდე ყველას! სწორედ თქვენ და თქვენისთანა ადამიანებმა მიიყვანეთ საქმე კატასტროფამდე. სიტყვის თავისუფლება მრუდედ გაიგეთ, გაზეთების ფურცლებზე ერთმანეთი გააშიშვლეთ, ანგარიშსწორებას მიჰყავით ხელი, იმის მაგიერ, რომ ერის სასიკეთო აზრი მიგეწოდებინათ ერისათვის...

ბ-ნო ნოდარ! რომ ბრძანებთ, ყველაფერი ტელევიზით გადაიცესო, იმ ტელევიზითას ხომ მტერიც უყურებს და უსმენს. მერე, შეიძლება ყველას წინაშე გაშიშვლება? საქართველო ჩვენი დიდი ოჯახია და არ შეიძლება მისი სიწმინდის შელახვა... მე ვერ დავდგები იმათ გვერდით, ვინც არ სცა პატივი წმინდანად ქცეულ გია აბე-საძეს ხსოვნას და არ შეასრულა მისი ანდერძი: „თუ საქართველოს გადასარჩენად მსხვერპლია საჭირო, დე მე ვიყო უკანასკნელიო...“ ცოტნეს თავდადებამ მტრებში ადამიანი გააღვიძა და სხვებს დანაშაული აპატიეს... გიამ ჩვენი, თქვენი გულისათვის განირა თავი, თქვენ კი?

ბატონმა ზვიადმა ჩემი არსებობა არც იცის. მე და თქვენ კი თანამოქალაქები ვართ და არ უნდა გეკადრათ ის, რაც იკადრეთ. მე მირჩევნია „ზვიადისტი“ ვიყო, ვიდრე ოპოზიციის გვერდით დავდგე...

მე ვერ დავდგები იმათ გვერდით, ვინც ქართველების სალანდღავად რუსეთში წავიდნენ და მთელ მსოფლიოს მოსდეს ჩვენი გათიშულობის სამწუხარო ამბავი... ვინც კვერი დაუკრა რუსეთის იმპერიულ პრესას, რომელიც უკვე შვიდი წელია ყველა გაზეთში (ალბათ არ კითხულობთ რუსულენვან გაზეთებს!) თუ ტელევიზიაში ყოველდღე ქართველ ერს ლანდღავს და ცილისმნამებლურ ჭორებს ავრცელებს მთელ მსოფლიოში...

მე ვერ დავდგები იმათ გვერდით, ვინც ტელევიზია დაარბია, ვინც მწერალთა სახლი ტყვიით დაცხრილა ან ხელი შეუწყო ამას...

ვერ დავდგები იმათ გვერდით, ვინც იარაღს უჟღარუნებს საკუთარ ხალხს, ახალგაზრდობას სისხლის ღვრისაკენ მოუწოდებს...

მე ვერ დავდგები ჯ.ჩარკვიანის გვერდით, თელაველებს ნახირს რომ ადარებს და უწიგნურად მიიჩნევს... როგორ მითხარით, ბატონო ჯანსულ: „გაზეთები თქვენამდე თვეში ერთხელ

## დიდი ბალატის ანაფორია

ან აღწევს ან არაო“... თქვენ ალბათ თქვენს გვერდში მყოფების მიხედვით მსჯელობთ... გაზიერები, ყველა დასახელების, თითქმის ყველა ოჯახში შედის ყოველდღე, ბატონო ჯანსულ... ქართველ ქალებს კი სუნიანები და ლამის გარყვნილები უწოდეთ, რაკი თავს ვალდებულად თვლიან, დაიცვან პრეზიდენტი... პოეტი მაინც არ იყოთ... სად არის თქვენი ქართველური რაინდული სული? ასე შეიძლება თავის დამცირება?

განა ღირს წუთისოფელი იმად, სხვებს თვალებს ვთხრიდეთ?

სხვისთვის გამიზნულ ტალახში საკუთარ ხელებს ვსვრიდეთ?

როგორც ხედავთ, მარტო თქვენ არა ხართ პოეტი... თელავში თქვენზე ნიჭიერი პოეტები საკმარისზე მეტი გვყავს, ოღონდ, თქვენსავით შანსიანები ვერ არიან და დაბეჭდვას ვერ ელირ-სნენ.

თელავში კულტურული და განათლებული საზოგადოებაა, თქვენზე მეტად განათლებულები... არც ერთი თელაველი მამაკაცი არ მისცემს თავს უფლებას ქართველი ქალი შეურაცხყოს, არცერთი!

თქვენ რომ ბრძანეთ, „რა თქვენი საქმეა პოლიტიკა, სახლში საქმე არა გაქვთო“, ვერ ჰქითხეთ ეს ქალბატონ ლანას, მის ქალიშვილს,

ირინე სარიშვილს? მე ხალხი მიცნობს და პატივს მცემს...

თქვენ კი, ამბიციებს აყოლილებმა, არ დაშალეთ ის სამარცხვინო ბარიკადები რუსთაველის პროსპექტზე... ბატონო ჯანსულ! რუსთაველის პრემიის ლაურეატო, დანაგვიანებულმა რუსთაველის პროსპექტმა გული რატომ არ გატკინათ? რატომ გააგრძელეთ „ბრძოლა“? რატომ გასწირეთ ეს ათი უდანაშაულო ახალგაზრდა? თქვენია თუ არა სიტყვები: „საქართველოვანი, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავიო“. ეს ერის ღალატის ტოლფასია...

როგორც არ უნდა ვიყოთ დაპირისპირებული ერთმანეთთან, ჩვენ დები და ძმები ვართ, ერთი სისხლი და ხორცი, და არ უნდა ვესროლოთ ერთმანეთს... მტრებს ვერ ვიმეტებთ, შვილებს კი ვიმეტებთ.. ოღონდ მოგიბრუნდეთ დაკარგული პრივილეგიები... ჩვენ რაღა ვქნათ, ვინც პრივილეგიის გარეშე ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ დღესაც?

კარგი იქნებოდა, თუ თითოეული ოპოზიციონერი ჯერ საკუთარ შეცდომებს დაითვლიდა და მერე პრეზიდენტისას... არც ის იქნებოდა ცუდი, თუ ჯერ საკუთარ განვლილ გზას გადახედავდა თითოეული თქვენთაგანი...

ამას ვინატრებდი!

10 X, 1991 წ.



## რეალიკა: მე გამომრჩა თუ?!

ამ ორი წერილის გამოქვეყნება შეიძლება ბევრ ვინმეს ძველი ჭრილობების ზედმეტ გაღიზიანებად მოეჩვენოთ, მაგრამ მრავალჯერ გვითქვამს და კიდევ გავმეორდებით, რომ თუკი „დიდი ლალატის“ შედეგად თავისუფლებისთვის მებრძოლი ერის მთლიანი სხეულისთვის მიყენებულ ამ ჭრილობას ბოლომდე არ ვუმკურნალეთ, ჩვენი სულიერი დეგრადირების პროცესს ვერ შევაჩერებთ...

სულიერი დაცემულობის შედეგად მიმარინია ის გარემოება, რასაც ჩვენი რეპლიკა ეხება.

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებელის დიადი საქმიანობის შეფასების პროცესში აცხადებდა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივინყებს... ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“. მგონი, ყველაფერი ნათლადაა თქმული ჩვენი სულმნათი წინაპრის მიერ, ამიტომ ისლა დაგვრჩენია, მკითხველს შევახსენოთ ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომელზედაც აგებულია თანამედროვე ქართული სახელმწიფო ბრიობის ადმინისტრაციული მოწყობა, სულიერ-ნებელობით ყოფიერება... წარმოადგენს ჩვენი კულტურულ-არსობის სათავეს და ა.შ. და ა.შ.

დიდგორის „ძლევაი საკირველის“ შემდეგ ტფილისის ჯერიც დადგა, როგორც ერთი საყმანვილო მოთხოვნის ავტორი წერს: „შამი დედის კალთას მოწყვეტილი შვილის დაბრუნება – აღზევების“ თუ კი სერიოზული ისტორიულ წყაროებს მოვიშველიებთ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით: „მეორესა წელსა (დიდგორის ბძოლისა – 1221წ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი. პირვესავე ომსა, ოთხას წელი ქონებული სპარსთა და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“. ამგვარად, თბილისი 1122 წელს შემოურთეს. საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ იქ გადმოიტანეს“ (საქ.ისტ. ტ.1, გვ.384).

სამწუხაროდ, ამ „შვილთა თვისთა“ შთამომავლებს ყოველივე ეს დავინყებიათ. ეს კი იმას ნიშანს, როგორც ილიამ გვითხრა: „ერის დაცემა და გათახსირება დაწყებულია. აი, ამიტომ გვჭირდება არა მარტო ისტორიის, არამედ ისტორიული თვალსაზრისით გუშინდელი დღის შეხსენება.

ზემოთ მითითებულ საყმანვილო მოთხოვნაში სრულიად მარტივადა მითითებული: 1122 წლიდან ტფილისი სრულიად საქართველოს დედაქალაქად დალოცა მეფემ – სამეფო ტახტი ქუთაისიდან ტფილისში გადმოიტანეს“. მაშასადამე, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლებითა და მისი სრულიად საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებით დასრულდა კოლხ-იბერიის ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ბაგრატ III-ის მიერ დაწყებული პროცესი. საფუძველი ჩაეყარა ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემას, რომელზედაც აშენდა ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა.

წელს – 2022 წელს – ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენიდან (მე ვიტყოდი მაშინდელი ეპოქისთვის მსოფლიო დონისა), 900 წელი შესრულდა (მემატიანეთა ცნობით, ეს მომხდარა 1122 წლის დამდეგა). სამწუხაროდ, ჩვენი პოსტკუმრისტური საზოგადოება გატრუნულია, – ხმას არ იღებს, მაშინ როცა გუშინ და გუშინნინ თბილისობის „დღესასწაულს“ შემოდგომაში ღრეობით აღნიშნავდა.

ამდენად, ერსაც და ბერსაც დავინყებია ეს დიადი მოვლენა, რომელმაც „უდიდესი გავლენა იქნია არა მარტო საქართველოს მომავალისტორიულ ბედზე, არამედ საერთოდ, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის შემდეგ მომავალზე“ (იქვე). აი, რას ვივინყებთ! ასეთ შემთხვევაში ილიასვე თქმით, ჩვენ ვქცეულვართ იმ მოწანებალად, რომელიც კაცად არ იხსენება, იმ ბოგანდ, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის.

**გურგან ზაქარაია,**  
ისტორიკოსი, პუბლიცისტი

## პერსონალის მუშაობის და მგლების შეზღუდვის შესახებ

### **მუშაობის ტურნირი:** **„მგლები და მგლისფერი ტურნირი“**

სოხუმის გამომცემლობა „ალაშარას“ ქართული განყოფილების რედაქტორს მურმან ხურცილავას აფხაზეთის ტრაგედიამდე ძირითადად პოეტური ნაწარმოებებით ვიცნობდით, დევნილობის მძიმე და ტკივილიანმა წლებმა მას ახალი სათქმელ-სადარდებელი გაუჩინა, რომლისთვისაც მხოლოდ და მხოლოდ პოეტური უანრი საკმარისი არ აღმოჩნდა. მურმან ხურცილავას შემოქმედება შეივსო მოთხოვნებით, ესეებით, მოგონებებით; ახლახან კი ავტორმა ცალკე წიგნად შემოგვთავაზა რომანი „მგლები და მგლისფერი ტურნირი“. რომანის პირველი ნაწილი „მგლები“ ჯერ კიდევ 2012 წელს შევიდა ავტორის პროზაული ნაწერების წიგნში.

ამ ახალ რომანში აღნერილია აფხაზეთის ომის ტრაგიული მოვლენები, მშობლიურ სოხუმში განცდილი სისახტიკე, რომელიც თავს გადახდა თვით ავტორს: ტყვეობა თუ დახვრეტის შიში, დევნილთა არასახარბიელო ყოფა, აგრეთვე ის სიძნელეები, რომელსაც დღემდე აწყდებიან დევნილები თავიანთი განსახლების ადგილებში.

რომანში აღნერილი მოვლენები ავტორის თვალწინ ვითარდებოდა, მაგრამ, როგორც მ.ხურცილავა თავის ბოლოთქმაში აღნიშნავს, „არ შეიძლება რომანი ავტობიოგრაფიულად მივიჩინოთ, ის ბევრის ბიოგრაფიაა, „მხატვრულ-დოკუმენტურად“ მოთხოვნები... მთავარი მასში წამოჭრილი საკითხებია და ის სათუთი გრძნობა, რასაც ადამიანური ურთიერთობა ჰქვია. ვფიქრობ, თანხმიერობის მიღწევა, ჩამოშლილ-ჩამოქცეულის წარმატებული ალორძინება შესაძლებელია, ოღონდ არა უხეირო ჩანჩალით, არამედ ღონიერი და ნაყოფიერი ნაბიჯებით, არა კანტიკუნტი მცდელობებით, არამედ ყოველ დღეცისმარე დაუღალავი მონადინებით. ყველამ უნდა შეიგნოს: ჩვენ დასათმობი და უკან დასახევი გზა არა გვაქვს. თუ ყურნაგდებულობასა და განურჩევლობას იჩენს ის, ვისაც ეს ევალება, მაშინ განგაშის ზარი ხალხმა უნდა დაარისხოს...“

ავტორის ეს სიტყვები, აგრეთვე რომანის სახელწოდება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი აფხაზეთის, დევნილთა პროლემებისადმი უნაყოფო, უნიათო მიღვომის მიმართ, რომელსაც, პირველ რიგში, სახელმწიფო ორგანოები და პასუხისმგებელი პირები იჩენენ. ეს ყველაფერი სრულყოფილად არის ასახული რომანის მეორე ნაწილში, რომელშიც აღნერილია ნაწარმოების მთავარი გმირის თავგადასავალი უცხოეთიდან საქართველოში, კერძოდ, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ. მ.ხურცილავა გვერდს ვერ უვლის საზოგადოებისა და ხელისუფლების კაბინეტებში გამეფებულ გულგრილობას დევნილთა პრობლემების მიმართ, რასაც უფრო ამძიმებს მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატი, მწვავე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.

ახლა ისევ ავტორის სტრიქონებს დაუბრუნდეთ ხსენებული ბოლოთქმიდან:

„შესაძლოა, ვინმემ ცალკეული პერსონაჟი კონკრეტულ პიროვნებას მიამგვანოს. ეს დიდი შეცდომა იქნება: ავტორის მიერ გამოგონილი მოქმედი პირი უნებლიერ ჰგავდეს ვიღაცას ან სიტუაცია - ნაცნობ გარემოს, ამაში უჩვეულო არაფერია...“

ჩვენ კი ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტზე შევჩერდებით, რომელიც პრობლემად ექცათ ავტორსა და მის რომანს წიგნის გამოცემის პროცესში: ავტორმა წიგნი გამოცემაში დახმარებისათვის წარადგინა აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების შესაბამის სამინისტროში. რომანის შინაარსის გაცნობისას იქ ზოგიერთი პერსონაჟი სწორედ რომ კონკრეტულ პიროვნებად მიიჩინეს. მურმან ხურცილავა, ძალიან წესიერი, პრინციპული და სიმართლის ერთგული ადამიანი, არ დასთანხმდა სამინისტროში შემოთავაზებულ „შესწორებებს“ და წიგნის გამოცემა საკუთარი სახსრებით მოუხდა კერძო გამომცემლობაში, სადაც ძალიან კარგად იზრუნეს ამ საკმაოდ სქელტანიანი რომანის გამოცემის

პოლიგრაფიულ ხარისხზე.

ეს ფაქტი ძალიან საწყენია იმით, რომ ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ცოცხლობს საბჭოური ცენზურა და არაობიექტური, პიროვნული დამოკიდებულება საავტორო უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების მიმართ. ასეთი რამ არ უნდა აკადრონ მხცოვან, 83 წლის შემოქმედს, ალბათ ყველაზე ხნიერს აფხაზეთიდან დევნილ მწერალთა შორის, სოხუმში გამოცემული უამრავი წიგნის რედაქტორს,

უურნალ „რინის“ ცოცხალ დამფუძნებელს, ღირსეულ პიროვნებასა და მამულიშვილს - მურმან ხურცილავას.

მედროვეთა შამი ჩაივლის. მურმან ხურცილავას მრავალფეროვანი და მართალი შემოქმედება კი დროს გაუძლებს. კიდევ ახალ-ახალ წიგნებს, შემოქმედებით წარმატებებს მოველით ბატონი მურმანისაგან, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლეს, სიმხრევესა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

## გია ხუბუა: „გლობუსი“, „სდეპ, ცითალია!“

მწერალმა გია ხუბუამ ამ ბოლო დროს ორი წიგნი შესთავაზა მკითხველს და მათი სახით საკუთარი დაბადების 70-ე წლისთავაც მშვენიერი საჩუქარი უძლვნა. ჩვენი უურნალის სახელით ვულოცავთ ბატონ გიას ამ საიუბილეო თარიღს და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ვუსურვებთ.

რაც შეეხება ნაყოფიერებას, მწერალი მართლაც ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობით გამოირჩევა და ათეულობით მოთხრობასთან ერთად ექვსი რომანის ავტორია. რაც მთავარია, რაც დრო გადის, სულ უფრო ფართოვდება მწერლის ინტერესების სფერო, მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება პერსონაჟების ხასიათები, ტიპები, სიუჟეტური გადაწყვეტანი, ავტორისეული შემეცნებითი წიაღსვლები. გია ხუბუა მშვენივრად უხამებს ერთმანეთს წერის, ნაწარმოების კონსტრუქციის აგების ტრადიციულ და ნოვატორულ ხერხებს, რითაც სულ უფრო მკვეთრად იკვეთება ავტორის საკუთარი ხელწერა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გია ხუბუა ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება დიდი და მცირე ნაწარმოებების შექმნას და მხატვრულ ტექსტს შემეცნებითი ღირებულებით ამდიდრებს.

„გლობუსი“ გია ხუბუას მოთხრობების კრებულია. ავტორი ამ წიგნშიც საინტერესო სიუჟეტებსა და პერსონაჟებს გვთავაზობს. გია ხუბუას სრულყოფილად ეხერხება სათქმელის სადაც, მოზომილად გადმოცემა, მიზანმიმართულად კი არ აბუნდოვანებს აზრს, როგორც ზოგ ავტორს

სჩვევია, ვითომდა „ორიგინალურობის“ საბუთად, არამედ მკითხველს ესაუბრება სხარტად და გასაგებად, თუნაც ისე, რომ თანამოსაუბრეს (მკითხველს) საკუთარი დასკვნების გამოტანის საშუალებას უტოვებს.

წიგნში შეხვდებით ისეთ მოთხრობებს, რომლებშიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ყოფით ეპიზოდები საინტერესოდაა გადმოცემული („განგაში შუალამისას“, „ველოსიპედი“, „თვალის ჩაკვრა“, „უცნაური დამთხვევა“), ორიგინალურადაა აღნერილი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ექსპრესიული სცენები („მოხეტიალე ადამიანები“, „დიდი, მრგვალი ქვები“, „უტუმიქას“ მოგზაურობა განმუხურში“...), იუმორით გაზიარებულია ყოფითი ამბები („დილის ექვსის ნახევარზე“, „წყალი, მამალი და ყველაფრის წამალი“, „სამი საუკუნის მომსწრენი“..), ზოგ მოთხრობაში აღნერილია ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიებისა და შენდობა-მონანიების თემები („თეთრი და შავი“, „ჩრდილოეთის ციალი“, „ყველაზე დიდი ბებია“, „სულმოკლეობა“, „მუზა“), ზოგიერთი მოთხრობა კი გამოირჩევა მხატვრული სიმბოლოებით („ზღვა იდუმალი“, „სდექ, წითელია!“) და ა. შ.

ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ზემოთ ძალიან მოკლედ და ძუნნად ჩამოვთვალეთ, მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ერთდროულადაა მოცემული გია ხუბუას ახალ რომანში „გლობუსი“. როგორც აღვნიშნეთ, იგი გია ხუბუას მეექვსე რომანია და აუცილებლად უნდა ჩავთვალოთ მწერლის მორიგ შემოქმედებით

წარმატებად. პირველ რიგში, თვალში საცემია რომანში რეალურისა და არარეალურის, ცხადისა და ფანტასტიკურის შეხამება, რასაც ავტორი ისე ახერხებს, რომ მკითხველს ბუნებრივად, დამაჯერებლად ეჩვენება ნაწარმოების გმირის გადანაცვლება ჩვეულებრივი, მიწიერი ყოფიდან ირეალურ ყოფაში. ამ ხერხის გამოყენება ავტორს არა მხოლოდ კონკრეტულად რომანის მთავარი გმირის, არამედ, ზოგადად, თანამედროვე ადამიანის სულიერ მისწრაფებათა მიზეზებისა და შედეგების ჩაწვდომისა და ახსნისთვის დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ ავტორი სილრმისეულ ინფორმაციებს გვაწვდის იმ საკითხების გარშემო, რომლითაც მთავარი გმირია გატაცებული, ამასთან საკმაოდ კომპეტენტურად გადმოვცემს უცხოპლანეტელებისა და მიწიერი არსებების ურთიერთობაში წამოჭრილ პროლეტარების და იმას, თუ როგორ იმსხვრევა ადამიანური წარმოდგენები გმირის სათაყვანებელი გლობუსის მსგავსად.

ამ რომანზეც ითქმის ის, რაც მოთხოვობების წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნა მისმა რედაქტორმა, პოეტმა მაია მიქაიამ: „ის, რაც თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ამ წიგნის პირველივე“.

გვერდიდან, თხრობის იმგვარი სადა, ადვილად აღსაქმელი მანერაა, საღამოსპირზე, ჩაისთან, მეგობარს რომ უყვებიან საინტერესო ამბებს, ხან სევდით, ხან იუმორით გაჯერებულს, ბავშვობისდროინდელი სინრფელითა და სიხალისით.

ეს კრებული ამქვეყნიერ სიმძიმესა და ქაოსს გამოგარიდებთ, თუმცა გულწრფელი თანაგანცდისათვის განგანყობთ იმ გმირების მიმართ, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ყოველდღიურ ყოფაში. ზოგიერთ მათგანს ახლოსაც ვიცნობთ, უფრო მეტიც, შესაძლოა, თვითონ ვართ ის ადამიანები, ვინც სწორედ ისე ფიქრობს, ისე აზროვნებს და ისე ცხოვრობს, როგორც ამ წიგნში თავმოყრილი პერსონაჟები. შთაბეჭდილება გექმნება, რომ არცერთი მათგანი გამოგონილი არაა, რომ ეს ამბები სულ ნამდვილია, ცოცხალი, ყოველგვარი გადაჭარბებისა და გამხატვრულების გარეშე და ამიტომაც ბუნებრივი, ახლობლური ურთიერთობა გიყალიბდება თითოეულ მათგანთან“.

ჩვენ კი გია ხუბუას შემოქმედების ასეთ ზუსტ დახასიათებას იმას დავუმატებთ, რომ ავტორი თავის გმირებთან ერთად ჩვენს სულშიც გვახედებს.

### მურმან ზაქარაია: „პატარა ადამიანთა“ ძლიერი გზება

მიმდინარე წელს გამოიცა ისტორიკოს მურმან ზაქარაიას ესეისტურ-პუბლიცისტური შრომა „პატარა ადამიანთა“ ძლიერი გზნება“, რომელშიც ახლებურად არის გააზრებული დავით კლდიაშვილის შემოქმედება. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი შენიშნავს, რომ „დავით კლდიაშვილის სიცოცხლეშივე კლასიკად ქცეულ შემოქმედებაზე მსჯელობისას ჩვენ შევეცადეთ, მის მიმართ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის ლოგიკიდან გამომდინარე, იმ შტრიხ-კოდების მოძიებასა და გახსნას, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიერ, განზერჩებოდა ფართო მკითხველ საზოგადოებას თუ კრიტიკას“.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მ.ზაქა-

რაიას ამ ნაშრომის ძირითადი არსი და მიზანი, მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან დავით კლდიაშვილის უაღრესად ჰუმანური შემოქმედების ტრადიციულად გაგებული სოციალური თუ ეთნოგრაფიული მოტივების ჩრდილიდან გამოიყვანა და წინ დააყენა ეროვნულ-პატრიოტული მოტივი, როგორც ძირითადი მახასიათებელი კლდიაშვილის შემოქმედებისა და ამით პასუხს სცემს იმ გავრცელებულ არასწორ მოსაზრებას, რომ მწერალი თითქოს დასცინის თავის გმირებს, რომ იგი მათ მიმართ სასტიკი და დაუნდობელი მწერალია, მაშინ როცა ქართველი კლასიკოსი ცხოვრების სისასტიკის აღმწერი შემოქმედია.

ამ მართალი პოზიციის დასტურად ავტორს

მოჰყავს იმ ქართველ კრიტიკოსთა მოსაზრებები, რომელთაც სწორად ჰქონდათ გაგებული ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ძრების შედეგად ფეხქვეშ მიწამორყეული საზოგადოებრივი ფენის თავგანწირული ბრძოლა როგორც ფიზიკური, ისე სულიერი გადარჩენისათვის.

ამ პერსონაჟებს სიდუხჭირის მიუხედავად წამითაც არ სურთ, დაივიწყონ ნაქები იმერული ზრდილობა და პატივმოყვარეობა. ამ დროს კი კომუნისტური იდეოლოგიის მოთხოვნით განათლების სისტემაში წინა პლანზე იყო დაყენებული „შემოდგომის აზნაურების“ ყბადალებული თემა.

მ. ზაქარაია ისტორიულ, ფილოსოფიურ კონტექსტში ხსნის დავით კლდიაშვილის გმირთა ხასიათებს; მისი თქმით, ამის გარეშე „განზედაგვრჩებოდა ცხოვრებისეული ტრაგედიულობის გამომწვევ მიზეზთა მთელი გამა. მივიღებდით ჩვეულებრივ ფორმალურ მოცემულობებს, ხელთ შეგვრჩებოდა იმერული იუმორით გაჯერებული, რაღაც პროვინციული თავგასართობი - სატირა“.

ავტორი ხაზგასმით ასკვნის, რომ „დღეს თუ რაიმე ახალი კონტექსტის დანახვა გვინდა და კლდიაშვილის შემოქმედებაში, სწორედ ამ რუსული დაუნდობელი ჩაგვრის ნაკვალევის დადასტურება უნდა იყოს როგორც საკუთრივ ტექსტში, ასევე სტრიქონებს შორის. ამ „იმერულ კომედიაში“ ყველა უბედურებისა და გასაჭირის თავურმიზეზად ცარიზმის მოღალატეობის

შედეგად სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ეროვნული ფუნქციამოშლილობა უნდა ვივარულოთ“. ეს იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟთა მხატვრულ სახეებში უპირველესად მთელი საზოგადოების, ქვეყნის ბედუკულმართობის არსია მოცემული.

ჩვენს ინფორმაციული ხასიათს წერილში დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებთ ნაშრომში მოცემულ ყველა საკითხზე, დავით კლდიაშვილისა და უცხოელი კლასიკოსების შემოქმედების საინტერესო მიგნებებით გაჯერებულ შედარებაზე, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, ცრუ იდეოლოგიაზე დამყარებულ მოსაზრებათა ავტორისეულ კრიტიკაზე. ქართული ხასიათის ორ განსხვაებულ განმარტებაზე, რომლის ქეშმარიტ, ეროვნულ ფორმულირებას (გრ. რობაქიძე) უპირისპირდება ფსევდოდემოკრატიული მიდგომები (მ.მამარდაშვილი) და ა. შ.

ერთი სიტყვით, მურმან ზაქარაიას აღნიშნული ნაშრომი მრავალპლანიანია, რომელიც დავით კლდიაშვილის შემოქმედებას მიმოიხილავს ვრცლად, არა მხოლოდ ლიტერატურის კრიტიკის თვალთახედვით, არამედ ისტორიული და ფილოსოფიური ასპექტების ღრმა და მრავალფეროვანი ანალიზის საშუალებით. სწორედ ეს გახლავთ ამ წიგნის ღირსება და მისი გაცნობა ბევრ ახალ და საინტერესო მოსაზრებას აზიარებს სპეციალისტებსაც და მკითხველთა ფართო წრესაც.



## საქობლოს სიყვარულით გულანთეჭული



ჩვენს მრავლისმნახველ ქვეყანასა და ხალხს ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ პრობლემები და სიძნელეები არ დალევია და არ ყოფილა რაიმე განსაცდელი, რომელსაც კალმითაც და საქმითაც არ გამოხმაურებოდა ქალბატონი გულიკო ურუშაძე – ყოველმხრივ გამორჩეული, ყოველნაირად სამაგალითო ადამიანი, სამშობლოს გულანთებული პატ-რიოტი, ქართული იურიდიული სკოლის ღირ-სეული ნარმომადგენელი და, რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე.

როდესაც ჯანმრთელობა ხელს უწყობდა, ქალბატონი გულიკო ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო ტაშკენტის 25-ში, ქალბატონ ლუარა გამყრელიძესთან. ჩვენ ყოველთვის მოხიბლული ვიყავით მისი განათლებით, ერუდიციით, ინტერესთა ფართო სფეროთი, გულითადობით, სიმართლითა და სინრფელით, იმ გულით, რომელიც მას მუდამ შესტკიოდა საყვარელ სამშობლოზე.

... და აი, ასეთი გულისცემა შეწყდა მიმდინარე წლის 12 თებერვალს. ხანგრძლივად იავადმყოფა, მაგრამ ქალბატონი გულიკოს ცინცხალი აზრი და გონება ისევ და ისევ თავისი ხალხის სატკივარს დასტრიალებდა და საკუთარ სათქმელს ტელეფონით გვიზიარებდა.

ქალბატონი გულიკო ურუშაძე ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე აქტიურობითა და

მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა.

დაიბადა 1945 წლის 25 ოქტომბერს ქ. ოზურგეთში, სადაც რვა კლასის განათლება მიიღო, შემდეგ მამის სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით, სწავლა თბილისის № 60 საშუალო სკოლაში გააგრძელა. ოზურგეთშიც და დედაქალაქშიც წარმატებით გამოდიოდა სასკოლო სცენებზე, მონაწილეობდა ყველა სასკოლო ღონისძიებაში.

1964-1970 წლებში სწავლობდა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროსაც აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქალბატონმა გულიკომ იურიდიული პრაქტიკის საინტერესო გზა განვლო:

1971-1977 წლებში იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მთავარი იურისკონსულტი;

1977-1978 წლებში – საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის უფროსი იურისკონსულტი;

1978-1980 წლებში – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კვალიფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

1981-1983 წლებში – რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორი;

ათეული წლის განმავლობაში იურიდიულ სამართალს ასწავლიდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკურ თუ ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტებში.

ქალბატონი გულიკო ურუშაძე მთელი არსებით ჩაერთო ახალაღორძინებულ ეროვნულ მოძრაობაში, იყო 9 აპრილის მოვლენების მონაწილე და დაზარალებული, თავისი პროფესიული წვლილი შეიტანა სახალხო ფრონტის წესდებისა და პროგრამის შემუშავებაში, იყო მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ კოორდინატორი.

ქალბატონი გულიკოს პატრიოტული თავ-

დადების გამოვლინება იყო ქართული ენის პედაგოგად მისი მუშაობა საზღვრისპირა სოფელ ყაჩალანში (მარნეულის რ-ნი) 1991-1996 წლებში. ქართულის სწავლებასთან ერთად აქ იგი აზერბაიჯანული ეროვნების მოსწავლეებს ადგმევინებდა პიესებს ქართულ ენაზე, აზიარებდა ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს. იგი ერთადერთი ქართველი იყო მთელ სოფელში და ერთგულად იცავდა სამშობლოს ინტერესებს, მის მიწასა და ენას.

